თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკური თეორიის
საფუძვლების კათედრა

კლიმენტი ელიზბარაშვილი

# ეკონომიკური თეორიის საფუძვლები

(ლექციების მოკლე კურსი)

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი 1994

65(2ქ)
ე 562

ნაშრომში შერჩეული და [illegible] დაწვრილებითაა განხილული "ეკონომიკური თეორიის საფუძვლების" პროგრამებიდან ყველაზე უფრო თანამედროვე და აქტუალური თემები.

განკუთვნილია არაეკონომიკური სპეციალობების სტუდენტებისათვის. იგი [illegible] დახმარებას გაუწევს აგრეთვე შესაბამისი საკითხებით დაინტერესებულ ფართო მკითხველს.

რედაქტორი დოც. ა. ჩეხოშვილი

რეცენზენტები: დოც. [illegible]

დოც. შ. [illegible]

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1°°4

ე 0601000000 / 608(06)-94

# შ ე ს ა ვ ა ლ ი

ეკონომიკური თეორიის წარმოშობა-განვითარებას ერთობ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაიწყო საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებათა ძიება. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე (ძვ.წ. 384–322) დაინტერესდა შრომის მეშვეობით შექმნილი ღირებულების ფორმების გარკვევით. ცოტა უფრო ადრე მისმა წინამორბედმა ქსენოფონტემ (435–355) პირველად ახსენა "ეკონომიკა", რაც საოჯახო მეურნეობის გაძღოლას ნიშნავს ("ოიკოს" – მეურნეობა, "ნომოს" – კანონი, წესი).

შემდგომ პერიოდში, საწარმოო ძალთა განვითარების კვალდაკვალ, უფრო და უფრო იზრდებოდა ინტერესი საზოგადოებრივი მოვლენების შესწავლისადმი. ცხოვრებამ მოითხოვა "წარმოებითი ურთიერთობის" (საკუთრების ფორმები, განაწილების წესი, შრომითი კოლექტივების ურთიერთდამოკიდებულება) შესწავლა. შესაბამისად ჩნდება ტერმინი "პოლიტიკური ეკონომია". იგი პირველად ცნობილმა ფრანგმა მერკანტელისტ-ეკონომისტმა ა. მონკრეტენმა იხმარა 1615 წელს გამოცემულ წიგნში "პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატი". სიტყვა "პოლიტიკური" ნახმარი იყო "პოლიტეიის" სახით, რაც საზოგადოებრივ წყობას გამოხატავდა.

მას შემდეგ ეკონომიკური თეორიის მრავალი განმარტება გაჩნდა. ცნობილი მეცნიერი ადამ სმიტი (1723–1790) ამ თეორიის ობიექტად თვლიდა სიმდიდრეს, მაშინ როცა დავით რიკარდო (1772–1823) განაწილების წესზე იღებდა ორიენტაციას. კარლ მარქსმა (1818–1883) კი, წინა პლანზე წამოსწია ადამიანთა ურთიერთობა წარმოებაში, ე.ი. წარმოებით ურთიერთობებზე გაამახვილა ყურადღება.

თანამედროვე ეკონომიკური თეორიის განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულეს ცნობილმა ეკონომისტებმა ჯონ გელბრეიტმა და ჯონ კეინსმა. არანაკლებ დიდი პოპულარობით სარგებლობს პოლ სამუელსონისა

და ვილიამ ნორდჰაუსის სახელმძღვანელო "ეკონომიკსი", რომლის მიხედვით მთავარია სხვადასხვა საქონლის წარმოება და მოხმარება, დეფიციტური რესურსების ეფექტური გამოყენება.

ეკონომიკური თეორიის შესწავლა დაგვეხმარება, უკეთ კარგად გავერკვეთ ცხოვრებისეული მოვლენების საიდუმლოებებში.

## თემა 1. საკუთრება – ეკონომიკური ურთიერთობის საფუძველი

ძირითადი საკითხები:

1. საკუთრება, როგორც ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური კატეგორია;
2. საკუთრების ფორმები, ტიპები და სახეობები.

საკუთრება ისტორიულად განვითარებადი საზოგადოებრივი ურთიერთობაა, რომელიც გვიხასიათებს, თუ როგორ ანაწილებენ (ითვისებენ) ცალკეული პირები, სოციალური ჯგუფები, კლასები, სახელმწიფო მატერიალურ და სულიერ დოვლათს, ამ დოვლათის წარმოებისათვის აუცილებელ პირობებს. საკუთრების ესა თუ ის ფორმა განსაზღვრავს წარმოების შედეგების განაწილების წესსაც.

საკუთრების შინაარსი გარეგნულად არ ჩანს, ზედაპირულად იგი წარმოგვიდგება, როგორც ადამიანთა უფლება საკუთრების ობიექტზე, ე.ი. გარკვეულ ნივთზე, ზოგჯერ კი თვით ადამიანზეც (მაგ., მონათმფლობელობის დროს). ამ ურთიერთობას გამოხატავს ცნებები: ფლობა, [illegible], სარგებლობა.

ეკონომიკური თვალსაზრისით გარკვეული მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რეალურად ვის ინტერესებს ემსახურება საზოგადოებრივი ურთიერთობის ესა თუ ის ობიექტი. აქედან გამომდინარე, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკუთრების უფლებას.

საკუთრების უფლება არის ნივთის, ქონების მესაკუთრის იურიდიულად უზრუნველყოფილი ქცევის ფარგლები, კერძოდ, მათი სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილება.

საკუთრების უფლება უვადოა. იგი დაცულია სამართლებრივი კანონმდებლობით.

ახლა მოკლედ შევეხოთ საკუთრების წარმოშობა-განვითარების ზოგად კანონზომიერებებს.

როგორც ცნობილია, პირველყოფილ საზოგადოებაში წარმოებით ურთიერთობათა განმსაზღვრელი ფორმა იყო ჯგუფური (თემური) საკუთრება მიწაზე და ბუნების მზა პროდუქტებზე, ე.ი. "მკვებავ" ფართობზე და ბუნების სიმდიდრეზე. მაშინ ქვისა და ხის იარაღების გამოყენება შეხამებული იყო ამა თუ იმ ინდივიდის ფიზიკურ შესაძლებლობებთან. ამასთან, ისინი ფაქტიურად პირად საკუთრებად იქცეოდა, მაგრამ საერთო შრომაში და მხოლოდ კოლექტივის საერთო ინტერესების შესაბამისად გამოიყენებოდა.

მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარებამ საზოგადოება კვლავწარმოებადი მეურნეობისაკენ წარმართა. ამან შედარებით გაათავისუფლა ადამიანები ბუნებისაგან მიღებულ მზა პროდუქტებზე დამოკიდებულებისაგან. გაჩნდა შრომის იარაღების დამზადების ახალი წესები: ქვის ხერხვა და ხურღვა, ხეხვა, გაპრიალება. წარმოიშვა რთვა და ქსოვა. განვითარდა მიწაზე გადაადგილების საშუალებანი. აღმოჩენილ იქნა სხვადასხვა ლითონის (სპილენძი, ბრინჯაო, რკინა) სასარგებლო თვისებები. გამოიგონეს გუთანი, ეტლი...

ამგვარ ვითარებაში თემებმა დაიწყეს არსებობის სხვადასხვა საშუალების იმ ზომით წარმოება, რაც მათზე უშუალო ყოველდღიურ მოთხოვნილებას აღემატებოდა. ამის შედეგად გაჩნდა მწარმოებლის მოთხოვნილებებზე მეტი პროდუქტი. დაიწყო გაცვლა. მეურნეობის მთავარ დარგებად იქცა მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ხელოსნობა.

ყოველივე ამან ხელი შეუწყო მონათმფლობელური საზოგადოების წარმოებითი ურთიერთობის წარმოშობა-განვითარებას. საკუთრების ობიექტად იქცა მიტაცებული მიწები. იგი საფუძვლად დაედო მონათა მიერ ზედმეტი პროდუქტის წარმოებას. მონა თავად გახდა მონათ-

მწარმოებლის საკუთრების ობიექტი.

მონათმფლობელური წარმოების წესის წიაღში აღმოცენდა ფეოდალიზმის ელემენტები, ამაღლდა სამიწათმოქმედო ტექნიკის დონე. მიწა ფეოდალების ხელში აღმოჩნდა, გაჩნდა გლეხებისა და ხელოსნების ერთპიროვნული საკუთრებაც. თუმცა, საკუთრების ეს ფორმა ემყარებოდა პირად შრომას და არ ჰქონდა ექსპლოატატორული ხასიათი.

გლეხები მიმაგრებული იყვნენ მიწაზე, ამან წარმოშვა "გარეშე ეკონომიკური იძულება". არსებობდა აგრეთვე ფეოდალის უფლება გლეხის გაყიდვაზე. ამასთან, გლეხის სამუშაო ძალის კვლავწარმოებაზე ზრუნვას ფეოდალი თვით მასვე აკისრებდა.

ფეოდალური მეურნეობა სულ უფრო მეტად ებმებოდა სასაქონლო ბრუნვაში და ემორჩილებოდა ფულის ძალას. ამან დააჩქარა გლეხობის დიფერენციაცია, მათი დაშლა სოციალურ ჯგუფებად.

სოფლის კულაკმა თავი გამოისყიდა ფეოდალისაგან და, თავის მხრივ, უღარიბესი გლეხების ექსპლოატატორი გახდა. გაბატონებული მიწათმფლობელობისა და სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ძალდობამ დააჩქარა კაპიტალისტური წარმოების წესის "დაბადება". დაიწყო კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პროცესი (ძარცვა, არაეკვივალენტური ვაჭრობა, პროტექციონიზმი).

გაჩანაგებულ და გაძარცვულ მასებს აღარაფერი დარჩათ საკუთარი სამუშაო ძალის გარდა. სამუშაო ძალაც საქონლად გადაიქცა.

ამგვარად, წარმოიშვა წარმოების საშუალებათა და შრომის პროდუქტთა კერძო საკუთრება.

<u>საკუთრების ტიპები, ფორმები და სახეები</u>. 1965 წლიდან ყოფილ სსრკ-ში დამკვიდრებულმა "რეფორმებმა" ქვეყანა სრულ დესტაბილიზაციამდე მიიყვანა, რასაც, თავის მხრივ, ერთიანი ეკონომიკური სისტემის დაშლა მოჰყვა. ყოფილი საკავშირო რესპუბლიკები დამოუკიდებელ, სუვე-

რენტულ სახელმწიფოებად (ქვეყნებად) გარდაიქმნენ. ამის გამო ფართოდ გაიშალა სახელმწიფო საკუთრების, აგრეთვე, საკოლმეურნეო-კოოპერატიული საკუთრების პრივატიზაცია-განსახელმწიფოების პროცესი.

მსოფლიო მასშტაბით დღეისათვის არსებული საკუთრების სტრუქტურა ოთხ ძირითად ტიპად ანუ ფორმად და მრავალ სახეობად შეიძლება დაიყოს. მათგან პირველს მიეკუთვნება სახელმწიფო საკუთრება, რაც, თავის მხრივ, ხუთ ქვესახედ გვევლინება. ესენია: 1. რესპუბლიკური საკუთრება; 2. ავტონომიური წარმონაქმნების საკუთრება; 3. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული (კომუნალური) საკუთრება; 4. სახელმწიფო საწარმოთა ქონება; 5. სახელმწიფო საწარმოების შრომითი კოლექტიური წევრების ქონება.

საკუთრების მეორე ძირითად ფორმად ითვლება კოლექტიური საკუთრება, რაც, თავის მხრივ, იყოფა შემდეგ ქვესახეებად: 1. საიჯარო საწარმოს საკუთრება; 2. კოლექტიური საწარმოს საკუთრება; 3. კოოპერატივის საკუთრება; 4. სამეურნეო საზოგადოებისა და ამხანაგობის საკუთრება; 5. სააქციო საზოგადოების საკუთრება; 6. სამეურნეო ასოციაციის (გაერთიანების) საკუთრება; 7. საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ფონდების საკუთრება; 8. რელიგიურ ორგანიზაციათა საკუთრება;

საკუთრების მესამე ძირითადი ფორმა (ტიპი) ერთობლივი საკუთრების სახით ყალიბდება. იგი ოთხი სახეობის საკუთრებას აერთიანებს. ესენია: 1. ერთობლივ საწარმოთა საკუთრება; 2. უცხოეთის მოქალაქეთა საკუთრება; 3. უცხოეთის იურიდიულ პირთა საკუთრება; 4. უცხოეთის სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა საკუთრება.

დაბოლოს, მოქალაქეთა საკუთრების შესახებ. ეს, რიგით მეოთხე ძირითადი ფორმა, მოიცავს: 1. თავად მოქალაქეთა საკუთრებას;

2. შრომითი მეურნეობის საკუთრებას; 3. გლეხურ და პირადი დამხმარე მეურნეობის საკუთრებას.

საკუთრების მეოთხე, ძირითად ფორმაში ბუნებრივად ნაგულისხმევია პირადი საკუთრება, რაც თავისთავად გულისხმობს პირადი მოხმარების, კეთილმოწყობისა და დამხმარე საოჯახო მეურნეობის საგნებს, საცხოვრებელ სახლებს, შრომით დანაზოგებს. პირადი საკუთრების საფუძველი არის შრომითი შემოსავალი.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გზაზე მდგარ საქართველოში ყალიბდება საკუთრებითი ურთიერთობის სრულიად ახალი ფორმები. საკუთრების უფლების შესახებ შემუშავებულ კანონში, რომელიც 1993 წლის 15 ივლისს დაამტკიცა რესპუბლიკის პარლამენტმა, საკუთრების შემდეგნაირი ფორმები და სახეებია წარმოდგენილი:

1. კერძო საკუთრება, მათ შორის:
   ა. მოქალაქეთა საკუთრება;
   ბ. იურიდიული პირების საკუთრება;
2. სახელმწიფო საკუთრება, მათ შორის:
   ა. რესპუბლიკური საკუთრება;
   ბ. ავტონომიური რესპუბლიკების საკუთრება;
   გ. ადგილობრივი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების (მუნიციპალური) საკუთრება;
3. საზოგადოებრივ გაერთიანებათა (ორგანიზაციათა) საკუთრება, მათ შორის:
   ა. საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების საკუთრება;
   ბ. რელიგიური ორგანიზაციების საკუთრება;
4. უცხო სახელმწიფოთა, უცხოელთა, უცხოელ იურიდიულ პირთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა საკუთრება, მათ შორის:
   ა. უცხო სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა საკუ-

თრება;

ბ. უცხოელთა და უცხოეთ იურიდიულ პირთა საკუთრება;

გ. საქართველოს სახელმწიფოს, იურიდიულ პირთა და მოქალაქეთა საკუთრება.

საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრების უფლების ობიექტებია: მიწა და მისი წიაღი, წყლები, კონტინენტური შელფის რესურსები, ფლორა და ფაუნა, საწარმოები, ტრანსპორტისა და ინფორმაციის საშუალებები, საცხოვრებელი სახლები, აგარაკები, მატერიალური და სულიერი კულტურის საგნები, ფული, ფასიანი ქაღალდები, ძვირფასი ლითონები და ქვები, აგრეთვე სხვა მოძრავი და უძრავი ქონება.

საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრების უფლების სუბიექტები (მესაკუთრენი) არიან საქართველოს მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები, იურიდიული პირები და სახელმწიფო. შეიძლება არსებობდეს აგრეთვე უცხო სახელმწიფოთა, საერთაშორისო ორგანიზაციათა, უცხოელთა და უცხოეთ იურიდიულ პირთა საკუთრება, რომელზეც ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომელშიც საქართველო მონაწილეობს.

ამასთან ერთად, ქონება შეიძლება იყოს კერძო, სახელმწიფო და საზოგადოებრივ გაერთიანებათა (ორგანიზაციათა) საკუთრებაში. დაშვებულია აგრეთვე კერძო, სახელმწიფო და საზოგადოებრივ გაერთიანებათა და ამ საფუძველზე შერეული საკუთრების შექმნა.

საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრების ყველა ფორმა თანასწორია, დაცულია კანონით და ხელშეუხებელია.

## ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. ა. ანიკინი, მეცნიერების სიჭაბუკე, თარგმანი, თბ., 1989;

2. პ. სამუელსონი, ვ. ნორდჰაუსი, ეკონომიკსი, სახელმძღვანელო, თბ., 1992 წ.

3. ეკონომიკური თეორიის საფუძვლები, პროფ. გ. ადეიშვილის რედაქციით, ნაწ. I, თემა VII, თბ., 1992.

4. ა. სილაგაძე, მ. ენუქაშვილი, ი. მექვაბიშვილი, ეკონომიკური ცოდნის საწყისები, თბ., 1992.

5. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საკუთრების უფლების შესახებ, გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 25.VII. 1993.

## თემა 2. ერთობლივი ეროვნული პროდუქტი და მისი კვლავწარმოება

ძირითადი საკითხები:

1. ეროვნული სიმდიდრე, ერთობლივი პროდუქტი და ეროვნული შემოსავალი, მათი გადიდების გზები;
2. გაფართოებული კვლავწარმოების არსი, პირობები, ტემპები და პროპორციები.

საზოგადოების მასშტაბით კვლავწარმოების თეორიის დამუშავება დაწყებული იქნა კაპიტალისტური წარმოების ფორმირების პროცესში. ამ მხრივ დიდი როლი შეასრულეს ცნობილმა მოაზროვნეებმა ფრანსუა კენემ, ადამ სმიტმა და კარლ მარქსმა.

<u>ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი და მისი სტრუქტურა.</u> დროის გარკვეულ პერიოდში, როგორც წესი, ერთი წლის მანძილზე, ადამიანთა შრომითი საქმიანობით შექმნილ (წარმოებულ) მატერიალურ დოვლათს ერთობლივი (ანუ მთლიანი) ეროვნული პროდუქტი ეწოდება. იგი უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წარმოების, განაწილება-გაცვლისა და მოხმარების უწყვეტობას. ამ თვალსაზრისით ერთობლივი პროდუქტი საზოგადოებრივი კვლავწარმოების კატეგორიაა. სწორედ ამის გამო, მისი მოძრაობის ანალიზი შესაძლებელს ხდის გამოვავლინოთ ნივთობრივი და ღირებულებითი კავშირები, რომლებიც მართავენ მათ ცვლილებებსა და ზემოქმედებენ წარმოების ეფექტიანობაზე.

ერთობლივი პროდუქტი სახმარი ღირებულებისა და ღირებულების ერთობლიობაა. ამასთან, როგორც სახმარ ღირებულებათა მასა, იგი არის საზოგადოების მატერიალური და სულიერი ცხოვრების საფუძველი. სწორედ მისი მოცულობით განისაზღვრება წარმოებისა და ხალხის კეთილდღეობის განვითარების დონე.

ერთობლივი ეროვნული პროდუქტი გამოხატავს ადამიანთა საქმიანობის მთლიან ანუ ბრუტო შედეგს მათი მოღვაწეობის ყველაზე მთავარ და მნიშვნელოვან სფეროში – მატერიალური წარმოების სფეროში. იგი მოიცავს როგორც ახლად დახარჯული შრომით შექმნილი დოვლათის ღირებულებას, ისე ახალ პროდუქტზე გადატანილი წარსული შრომის ღირებულებას. რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში, ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ნაცვლად გამოიანგარიშება ერთობლივი ნაციონალური პროდუქტი, რომელშიც შედის: ეროვნული შემოსავალი, ძირითადი საწარმოო და არასაწარმოო ფონდების ამორტიზაცია, არაპირდაპირი და ზოგიერთი სხვა სახის გადასახადები.

აქედან გამომდინარე, ჩვენში წარმოებული ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და აშშ-ში წარმოებული ერთობლივი ნაციონალური პროდუქტის მოცულობათა შესადარებლად საჭიროა გარკვეული მეთოდოლოგიური პრინციპების გამოყენება. თანამედროვე სტატისტიკაში ასეთი შედარებისათვის აშშ წარმოებული ერთობლივი ნაციონალური პროდუქტიდან გამოირიცხება არასაწარმოო მომსახურება, ჩვენი ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტიდან კი – მოხმარებული ნედლეულის, მასალებისა და სათბობის ღირებულება.

ერთობლივ ეროვნულ პროდუქტს უაღრესად დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკურ კატეგორიათა სისტემაში.

თავად წარმოებისა და კვლავწარმოების პროცესი, უწინარეს ყოვლისა, ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის შექმნის პროცესია. ამიტომ მეტად საჭიროა ზუსტად ვერკვეოდეთ მის რაოდენობრივ და თვისებრივ მახასიათებლებში. ასე, მაგალითად, უნდა ვიცოდეთ, რომ ყოველგვარი შრომა არაა მატერიალური დოვლათის, ე.ი. ერთობლივი ეროვნული პროდუქტის შემქმნელი. ამ პროდუქტის შექმნაში მონაწი-

ლოებს ნაილი. ის შრომა, რომელიც მატერიალური წარმოების დარგში იხარჯება და ბუნების საგნებზე ზემოქმედებით გარკვეული სახმარი ღირებულების მქონე დოვლათს ქმნის. სავალდებულო არაა ყველა სახის დოვლათს მატერიალურ-ნივთობრივი სახე ჰქონდეს. ასე ითქმის, მაგალითად, ელექტროენერგიისა და ორთქლის ენერგიაზე, ე.წ. სამრეწველო ხასიათის (უმეტესად სარემონტო) სამუშაოებზე, სატრანსპორტო გადაზიდვებზე, საქონლის შენახვა-რეალიზაციაზე და ა.შ.

თქმულიდან გამომდინარე, ერთობლივი პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურა დამოკიდებულია ქვეყნის ტექნიკურ-ეკონომიკური განვითარების დონეზე, სახალხო მეურნეობის მოცემულ ეტაპზე გადასაწყვეტ სოციალურ-ეკონომიკურ ამოცანებზე, იმ ადგილზე, რომელიც უკავია ქვეყანას შრომის საერთაშორისო დანაწილების სისტემაში.

ახლა მოკლედ შევეხოთ ერთობლივი პროდუქტის სტრუქტურას ღირებულებითი და მატერიალურ-ნივთობრივი ფორმების მიხედვით. მათ შორის მჭიდრო ურთიერთკავშირია.

პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს საზოგადოებრივი შრომის რაოდენობასთან, კერძოდ, ახლად დახარჯულის, ანუ ცოცხალი და წარსული, ანუ განივთებული შრომის დანახარჯებთან, მეორე შემთხვევაში კი, წარმოებისა და მოხმარების საშუალებებთან.

წარსული შრომის ხარჯები გამოიხატება წარმოების პროცესში მოხმარებულ წარმოების საშუალებათა ღირებულებით (ამორტიზაცია, შრომის საგნებისა და სათბობის ღირებულება); რომელიც გადაიტანება ახლად შექმნილ პროდუქტზე, მაშინ, როცა ცოცხალი შრომის დანახარჯები შეადგენს ახლადშექმნილ ღირებულებას – საზოგადოების წმინდა პროდუქტის ღირებულებას, ანუ ეროვნულ შემოსავალს.

ამასთან, წარსული შრომით შექმნილი ღირებულება მიმართულია მოხმარებული წარმოებითი ფონდების – მატერიალური დანახარჯების

აღსადგენად, რაც შემდგომში ღებულობს ანაზღაურების ფონდის ფორმას, მაშინ როცა ცოცხალი შრომით შექმნილი ღირებულება არსებობს მატერიალური წარმოების სფეროს მუშაკთა და საზოგადოების შრომის წევრთა მოხმარებისა და ამ სფეროს დაწესებულებათა მატერიალური ხარჯების დაგროვების ფონდების ფორმით.

ერთობლივი პროდუქტის ნივთობრივი სტრუქტურის საფუძველს შეადგენს საზოგადოებრივი კვლავწარმოების ორი ქვედანაყოფი: წარმოების საშუალებათა წარმოება და მოხმარების საგნების წარმოება. პირველი წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას იწვევს, მეორე კი მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას.

<u>ეროვნული სიმდიდრე და მისი ზრდის ფაქტორები</u>. ეროვნული სიმდიდრე საზოგადოების განვითარების, მისი საწარმოო ძალების დონისა და დინამიკის, ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის დახასიათების უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიაა. ამ ცნების აღსანიშნავად გამოიყენება აგრეთვე "სახალხო სიმდიდრე", "საზოგადოებრივი სიმდიდრე", "ეროვნული დოვლათი", აგრეთვე, "ეროვნული ქონება" და "ეკონომიკური სიმდიდრე".

მთელი მატერიალური დოვლათი, რომელიც მოცემულ საზოგადოებას აქვს, მის ეროვნულ სიმდიდრეს შეადგენს. იგი თავისი წარმოშობის მიხედვით იყოფა დაგროვებული შრომის პროდუქტებად (შრომის იარაღები, ნედლეული, მოხმარების საგნები) და წარმოების პროცესში ჩართულ ბუნების სიმდიდრედ (დამუშავებული და დასამუშავებლად გამოსადეგი მიწები, სასარგებლო წიაღისეულთა საბადოები, ტყეები, წყლები და სხვ). საზოგადოებრივ წარმოებაში თავისი გამოყენების მიხედვით მატერიალური დოვლათი, როგორც ზემოთ ითქვა, იყოფა წარმოების საშუალებებად (წარმოების იარაღები, ნედლი მასალები და სხვ) და მოხმარების საგნებად (სურსათი, ტანსაცმელი, ბინა და სხვ.). რაც

უფრო სწრაფად ვითარდება საზოგადოებრივი წარმოება, მით უფრო იზრდება როლი და მნიშვნელობა ეროვნული სიმდიდრის იმ ნაწილისა, რომელიც წინა შრომის შედეგია. შრომის პროდუქტების დაგროვების დონე საზოგადოების ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია.

ნივთიერი სიმდიდრის კვლავწარმოების საქმეში დიდ როლს ასრულებს საზოგადოების მუშაკთა მიერ შექმნილი წარმოებითი გამოცდილება, ცოდნა და კვალიფიკაცია.

ამასთან, ქვეყნის ეროვნული სიმდიდრე განისაზღვრება როგორც სახალხო მეურნეობის ძირითადი საწარმოო ფონდების, ისე ძირითადი არასაწარმოო ფონდების, მატერიალური საბრუნავი საშუალებებისა და მოსახლეობის საშინაო ქონების ღირებულების ჯამით.

თქმულის საილუსტრაციოდ შეიძლება მივუთითოთ მონაცემებზე, რომლებიც გვიხასიათებენ საქართველოს ეროვნული სიმდიდრის დინამიკასა და სტრუქტურას ბოლო 30 წლის მანძილზე. 1960 წელს, მაშინ მოქმედი ფასების მიხედვით, რესპუბლიკის ეროვნული სიმდიდრის ღირებულება 8,6 მილიარდ მანეთს შეადგენდა. აქედან 6,4 მილიარდი ძირითადი ფონდები იყო, მათ შორის, მარტო საწარმოო ფონდებზე მოდიოდა 3,5 მილიარდი მანეთი. მატერიალური საბრუნავი საშუალებების ღირებულება 1,1 მილიარდ მანეთს შეადგენდა, ზუსტად ამდენივე იყო მოსახლეობის საშინაო ქონება. 1990 წლისათვის ეროვნული სიმდიდრის ღირებულება 73,3 მილიარდ მანეთამდე გაიზარდა, საიდანაც 68,9 ძირითად ფონდებზე მოდიოდა, 14,4 მილიარდი – მატერიალურ საბრუნავ საშუალებებზე, 16,7 მილიარდი მანეთი კი, – მოსახლეობის საშინაო ქონებაზე.

ეროვნული სიმდიდრის სტრუქტურა, საკუთრების ნიშნის მიხედვით, იმავე, 1990 წლისათვის შემდეგნაირად ხასიათდებოდა: სახელმწიფოს

წილად მოდიოდა 62,3 პროცენტი, კოოპერატიულ საწარმოთა წილად – 9 პროცენტი, ხოლო პირად, ე.ი. საოჯახო საკუთრების წილად – 28,7 პროცენტი.

ამგვარი მონაცემების ანალიზისა და შეფასების დროს აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ჯერჯერობით რესპუბლიკაში ზუსტად ვერ არის დადგენილი ბუნებრივი რესურსები, კერძოდ, მოპოვებულ-შესწავლილი და პერსპექტიული წიაღისეული მარაგები, აგრეთვე, მიწისა და ტყის მასივების ღირებულება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ეროვნული სიმდიდრე, იგივე, 1990 წლის ბოლოსათვის შეფასებული იყო, დაახლოებით, 126 მილიარდ მანეთად, საიდანაც 44,4 პროცენტი სწორედ ბუნებრივი სიმდიდრის წილად მოდიოდა.

სახალხო მეურნეობის საწარმოო ფონდები, ესე იგი, წარმოების საშუალებანი, იყოფა: სახალხო მეურნეობის ძირითად საწარმოო ფონდებად და წარმოების საბრუნავ საშუალებათა მარაგად.

სახალხო მეურნეობის ძ ი რ ი თ ა დ წარმოებით ფონდებს შეადგენენ მატერიალური წარმოების ყველა დარგში მოქმედი შრომის საშუალებანი (წარმოებითი შენობები, მანქანები, ჩარხები, მოწყობილობა, ნაგებობანი და სხვ.).

წარმოების ს ა ბ რ უ ნ ა ვ ს ა შ უ ა ლ ე ბ ა თ ა მარაგი წარმოადგენს შრომის საგნებს, რომლებიც საწარმოებს და სხვა ორგანიზაციებს აქვთ როგორც წარმოების პროცესში, ისე მარაგში (ნედლეული, მასალები, სათბობი და სხვ.).

სახალხო მეურნეობის ა რ ა წ ა რ მ ო ე ბ ი თ ი ფ ო ნ დ ე ბ ი არის ქონება, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ემსახურება არაწარმოებითი მოხმარების მიზნებს: საბინაო ფონდი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა – სკოლების, თეატრების, კლუ-

ბების, საავადმყოფოების და სხვ.— შენობები მათი მოწყობილობით.

ეროვნულ სიმდიდრედ ითვლება *მოხმარების საგანთა მარაგი*, წარმოებათა მატერიალური რეზერვები და *სადაზღვევო მარაგი*, რომლებიც შეიცავენ როგორც წარმოების საშუალებებს, ისე მოხმარების საგნებს.

ეროვნული სიმდიდრის შემადგენლობაში შედის აგრეთვე *მოსახლეობის* პირადი ქონება.

ამრიგად, ეროვნული სიმდიდრე, შეიცავს რა თაობათა მიერ შექმნილ მატერიალურ დოვლათს, ასახავს საზოგადოების მთელი წინა განვითარების შედეგებს. მისი ოდენობა დადებით გავლენას ახდენს ერთობლივი პროდუქტის გაფართოებული კვლავწარმოების სიდიდეზე და ტემპებზე. რაც უფრო დიდია ეროვნული სიმდიდრის მოცულობა, ე.ი. რაც უფრო მაღალია საზოგადოების მიერ დაგროვილი შრომის საშუალებების ტექნიკური დონე, დაგროვილი შრომის საგნების ხარისხი და ტექნიკური რესურსები, მით უფრო უკეთესი მატერიალური შესაძლებლობები აქვს საზოგადოებას გაფართოებული კვლავწარმოებისათვის.

<u>ეროვნული შემოსავალი და მისი გადიდების გზები</u>. ეროვნული შემოსავალი არის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ის ნაწილი, რაც რჩება მისგან მოცემულ წელს მოხმარებული წარმოების საშუალებების გამოკლების შემდეგ. ამასთან, იგი (ეროვნული შემოსავალი), როგორც ეკონომიკური კატეგორია, არის შრომით შექმნილი საზოგადოების წმინდა პროდუქტი და გამოიყენება წარმოების გაფართოებისა და უშუალოდ ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისათვის.

საზოგადოებაში ეროვნული შემოსავლის გადიდება ხდება ორი ფაქტორის: 1) საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და 2) მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულ მუშაკთა რიცხვის გადიდების ხარჯზე. ცივილიზებულ სამყაროში ეროვნული შემოსავლის

ნამატის ძირითადი მასა მიიღება შრომის ნაყოფიერების ზრდით, რაც გაფართოებული კვლავწარმოებისა და დაგროვების მთავარი წყარო, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების საფუძველია.

ეროვნული შემოსავლის შემდგომში განაწილების პროცესში, რაც უმთავრესად სახელმწიფო ბიუჯეტის საშუალებით ხდება, მისი ნაწილი იქცევა არაწარმოებითი დარგებისა და იქ მომუშავე მუშაკების შემოსავლად. ამასთან, საზოგადოება წინ ვერ წავა, თუ წლითიწლობით არ დააგროვებს, არ გააფართოებს წარმოებას. აქედან გამომდინარეობს ეკონომიკური აუცილებლობა, რომ სახელმწიფოს ხელში თავმოყრილი იყოს ეროვნული შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი ფულადი სახსრების ფონდის სახით, ეს ფონდი თითქმის მთლიანად იქმნება სახელმწიფოს ცენტრალიზირებული წმინდა შემოსავლისაგან.

სახელმწიფოს ხელში სახსრების თავმოყრისა და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მათ განაწილებაში მთავარ როლს ასრულებს სახელმწიფო ბიუჯეტი.

საზოგადოების მთელი ეროვნული შემოსავალი იყოფა მოხმარების და დაგროვების ფონდებად.

მ ო ხ მ ა რ ე ბ ი ს ფ ო ნ დ ი ეროვნული შემოსავლის ის ნაწილია, რომელიც ხმარდება მშრომელთა მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, აგრეთვე, საზოგადოების სხვა მიმდინარე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. მოხმარების ფონდი იქმნება, უწინარეს ყოვლისა, იმ პროდუქტით, რომელსაც წარმოების-მუშაკთა აუცილებელი შრომა ქმნის. გარდა ამისა, მოხმარების ფონდის არსებით ნაწილს ქმნიან სახელმწიფო, კოლმეურნეობები, კოოპერაციული გაერთიანებანი იმ ზედმეტი პროდუქტით, რომელიც სოციალურ-კულტურულ საჭიროებებს ხმარდება.

დ ა გ რ ო ვ ე ბ ე ბ ი ს  ფ ო ნ დ ი  საზოგადოების ეროვნული შემოსავლის ის ნაწილია, რომელიც ხმარდება წარმოების გაფართოებასა და სრულყოფას, აგრეთვე, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების მშენებლობას.

დაგროვების ფონდის უმეტესი ნაწილი ხმარდება წარმოების გაფართოებას, კაპიტალურ მშენებლობას მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე და ა.შ.

დაგროვების ფონდის მეორე ნაწილი ხმარდება კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების კაპიტალური მშენებლობის მიზნებს – სკოლების, საავადმყოფოების, კომუნალური მომსახურების დაწესებულებების; საცხოვრებელი ბინების, ინტერნატების, მოხუცებულთა სახლებისა და ა.შ. მშენებლობას.

ბოლოს, დაგროვების ფონდის მესამე ნაწილი ქმნის საზოგადოების ს ა რ ე ზ ე რ ვ ო, ანუ ს ა დ ა ზ ღ ვ ე ვ ო ფონდს: ნედლეულის, საწვავის, სურსათის სახელმწიფო რეზერვების სახით, რომლებიც შესაძლებელს ხდის შეფერხებათა თავიდან აცილებას კვლავწარმოების პროცესში.

ეროვნული შემოსავლის ნაწილი იხარჯება აგრეთვე ქვეყნის თ ა ვ დ ა ც ვ ი ს საჭიროებისათვის.

<u>გაფართოებული კვლავწარმოების არსი, პირობები, ტემპები და პროპორციები</u>. კვლავწარმოების თეორიის ძირითადი დებულებანი – – მარტივი და გაფართოებული კვლავწარმოების შესახებ, ისევე როგორც ერთიანი ეროვნული პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის შესახებ, საზოგადოებრივი წარმოების საშუალებათა წარმოებად და მოხმარების საგნების წარმოებად დაყოფის შესახებ, წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდის შესახებ, ზედმეტი პროდუქტის, როგორც დაგროვების წყაროს შესახებ და დაგრო-

ვების, როგორც გაფართოებული კვლავწარმოების წყაროს შესახებ, ერთობლივი პროდუქტის სხვადასხვა ნაწილებს შორის გარკვეული პროპორციების აუცილებლობის შესახებ – ხელ თავიანთ მნიშვნელობას ინარჩუნებენ ყველა ფორმაციაში.

ყოველი საზოგადოების არსებობისა და განვითარების პირობაა სწორედ მატერიალური დოვლათის მუდმივი განახლება, ე.ი. კ ვ ლ ა ვ წ ა რ მ ო ე ბ ა.

საზოგადოებრივი პროდუქტის კვლავწარმოების პროცესი მოიცავს წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების სტადიებს, რომელიც დიალექტიკურ კავშირში უნდა განვიხილოთ. ეს [illegible] ნიშნავს, რომ წარმოების პროცესის განუწყვეტელი მიმდინარეობისათვის სამუშაო ძალა, წარმოების საშუალებები და მზა პროდუქცია ისე უნდა განაწილდეს, რომ უზრუნველყოფილ იქნეს განუწყვეტელი სამეურნეო საქმიანობა, და მაინც, საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესში განმსაზღვრელია წარმოება.

თავისი შინაარსით სოციალისტური კვლავწარმოება წარმოადგენს მატერიალური დოვლათის შექმნისა და მოხმარების, სამუშაო ძალისა და წარმოებით ურთიერთობათა მოძრაობა–განვითარების ერთიანობას.

კვლავწარმოების პროცესი, მთლიანად აღებული, არის, უწინარეს ყოვლისა, ერთობლივი პ რ ო დ უ ქ ტ ი ს, ესე იგი, მატერიალური დოვლათის მთელი მასის – წარმოების საშუალებისა და მოხმარების საგნების – კ ვ ლ ა ვ წ ა რ მ ო ე ბ ი ს პროცესი. ერთობლივი პროდუქტის კვლავწარმოების პროცესში წამყვანი როლი ეკუთვნის წარმოების საშუალებების და, უწინარეს ყოვლისა, შრომის იარაღების კვლავწარმოებას. შრომის იარაღების განუწყვეტელი განვითარება და სრულყოფა ტექნიკური პროგრესის აუცილებელი პირობაა. შრომის იარაღებთან ერთად ხდება წარმოების საშუალებათა სხვა ფორ-

ნესჯების კვლავწარმოებაც. ფართოვდება ძველი და შენდება ახალი საფაბრიკო – საქარხნო შენობები, იქმნება ახალი სატრანსპორტო საშუალებები, ლიკვიდდება ნედლეულის წარმოება და ა.შ. უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოების საშუალებების ისეთ ელემენტთა კვლავწარმოებას, როგორიც არის ქიმიური ნედლეული, ელექტროენერგია, ატომური ენერგია და სხვ.

გაფართოებული კვლავწარმოების მთავარი ამოცანაა ერთობლივი პროდუქტის ზრდის მაღალი, მყარი ტემპების მიღწევა, რათა შესრულდეს ძირითადი ეკონომიკური მოთხოვნები.

იმისათვის, რომ პროდუქციის წარმოება ხორციელდებოდეს განუწყვეტლივ და სულ უფრო მზარდი მასშტაბით, აუცილებელია მისი ისეთი განაწილება, რომელიც უზრუნველყოფს დახარჯული წარმოების საშუალებების ანაზღაურებას და მოხმარებისა და დაგროვების ფონდების შექმნას.

ერთობლივი პროდუქტის რეალიზაცია ხორციელდება მისი შემადგენელი ნაწილების ფუნქციური დანიშნულების შესაბამისად და მოწოდებულია უზრუნველყოს ამ ნაწილების ანაზღაურება და წარმოების გაფართოება.

ეკონომიკურ ლიტერატურაში დასაბუთებულია გაფართოებული კვლავწარმოების პროპორციულობის ძირითადი პირობა. ეს თანაფარდობები შემდეგნაირი ფორმულით (უტოლობით) გამოისახება:

1. $\text{I}(v+m) > \text{II}\,c$;
2. $\text{I}(c+v+m) > \text{I}\,c + \text{II}\,c$;
3. $\text{I}(v+m) + \text{II}(v+m) > \text{II}(c+v+m)$

ამ ფორმულებს შორის იმდენად ახლო კავშირია, რომ მეორე და მესამეს გამარტივებით ვღებულობთ პირველს. მართალია, კ. მარქსმა ეს სქემები ააგო კაპიტალისტურ მეურნეობაში გაფართოებული კვლავ-

წარმოების პირობების შესაბამისად, მაგრამ მათ არანაკლები მნიშვნელობა აქვთ ჩვენს დროში.

წარმოდგენილი სქემების (ფორმულების) ანალიზი გვიჩვენებს გარკვეულ კანონზომიერებებს, კერძოდ:

1. საწყისი წლის (ან ციკლის) პირველი ქვეგანაყოფის პროდუქტის მოცულობა ტოლია მომდევნო წლის მოხმარებული წარმოების საშუალებების (ანაზღაურების ფონდის) მოცულობისა;

2. აბსოლუტური სიდიდე, რითაც აქ მოტანილი ფორმულების მარცხენა მხარეები აღემატებიან მარჯვენას, წარმოადგენს [illegible] და იმავეს და უდრის პირველი ქვედანაყოფის პროდუქტის იმ ნაწილს, რომელიც გამოიყენება წარმოების გაფართოებისათვის, ე.ი. დასაგროვებლად;

3. ყოველ მომდევნო წელს აბსოლუტური სიდიდე, რითაც პირველი ქვეგანაყოფის $V+m$ აღემატება მეორეს $C$, უდრის პირველი ქვედანაყოფის პროდუქტის წლიურ მატებას;

4. ყოველ მომდევნო წელს ანაზღაურების ფონდის (მოხმარებული წარმოების საშუალებები) ზრდის ტემპი უდრის, წინა წლის პირველი ქვედანაყოფის პროდუქტის ზრდის ტემპს.

გაფართოებული კვლავწარმოების ანალიზისათვის მთელი ერთობლივი პროდუქტი იყოფა ორ ქვედანაყოფად:

I. წარმოების საშუალებათა წარმოებად, ე.ი. საქონლად, რომელიც შეიძლება დაიხარჯოს მხოლოდ პროდუქტიულ მოხმარებაზე, და II. მოხმარების საშუალებათა წარმოებად, ე.ი. საქონლად, რომელიც იხარჯება პირად მოხმარებაზე.

ამ სქემებში არსებულ კანონზომიერებათა საფუძველზე შეიძლება [illegible], როგორც ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის, ისე ეროვნული შემოსავლის ღირებულებითი და ნატურალ-ნივთობრივი შეც-

გენდლის, როგორც სტატისტიკური, ისე საგეგმო გაანგარიშებანი. ამის გამო ჩვენ (ამ სქემებს) მიუხედავად იმისა, რომ მასში გათვალისწინებული არ არის ექსპორტ-იმპორტი, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე გაფართოებული კვლავწარმოების არსის, პროპორციებისა და ტემპების დახასიათებისათვის.

გაფართოებული კვლავწარმოების ანალიზი გვიჩვენებს, რომ I ქვედანაყოფის პროდუქციას ისეთი ნატურალური ფორმა აქვს, რომ სრულიად არ გამოდგება პირადი მოხმარებისათვის. იგი შემოსილია "წარმოების საშუალებათა რკინის პერანგით", ე.ი. წარმოადგენს ფოლადს, ცემენტს, ქვანახშირს, ჩარხებს, ელმავლებს, მანქანებსა და იარაღებს, სხვადასხვა სახის ნედლეულს, მაშინ, როცა II ქვედანაყოფის პროდუქცია (სურსათ-სანოვაგე, ჩასაცმელ-დასახური, ავეჯი, ჭურჭელი და ა.შ.) გამოიყენება მხოლოდ პირადი მოხმარებისათვის[1].

ფრიად მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ 90-იანი წლების დასაწყისში ყოფილ სსრ კავშირში მიღებული წარმოების საშუალებათა საერთო რაოდენობიდან, დაახლოებით, 71-72 პროცენტი გამოყენებული იყო პირველ ქვედანაყოფში, 28-29 პროცენტი კი – მეორე ქვედანაყოფში. ამასთან, ძველი წარმოების საშუალებები (ე.ი. პირველი ქვედანაყოფი) იყოფოდა შრომის იარაღებად (20 პროცენტი) და შრომის საგნებად (80 პროცენტი).

---

1 როცა I და II ქვედანაყოფებზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ მთელი მატერიალური წარმოების სფერო, მაშინ როცა ცალკეულ დარგებში წარმოებული პროდუქცია, განსაკუთრებით სამრეწველო პროდუქცია, იყოფა "ა" და "ბ" ჯგუფებად. თუმცა "ა" ჯგუფის დარგებშიც იწარმოება გარკვეული ოდენობის მოხმარების საგნები, "ბ" ჯგუფის დარგებში კი – წარმოების საშუალებები.

ახლა ასევე მოკლედ განვიხილოთ თანაფარდობა საზოგადოებრივი წარმოების ორ ქვედანაყოფს შორის.

ძირითადი ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა შესაბამისად, კვლავწარმოების პროცესში უნდა მყარდებოდეს აუცილებელი პროპორციები წარმოების საშუალებათა წარმოებასა და მოხმარების საგნების წარმოებას შორის, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგს შორის, წარმოებასა და მიმოქცევას შორის, დაგროვებას, მოხმარებასა და რეზერვებს შორის და ა.შ.

გაფართოებული კვლავწარმოების უმნიშვნელოვანესი პროპორციაა სწორი თანაფარდობა საზოგადოებრივი წარმოების I და II ქვედანაყოფს შორის. ამასთან, მთელ მეურნეობაში განსაზღვრულ როლს ასრულებს I ქვედანაყოფი, რომელიც წარმოების საშუალებებს აწარმოებს. ამით გამოიხატება წარმოების უპირატესი ზრდის კანონის მოთხოვნები, თანაც მას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს დროში. არადა, სწორედ I ქვედანაყოფის უფრო სწრაფი ზრდა, II ქვედანაყოფთან შედარებით, წარმოადგენს წარმოების ყველა დარგში უახლესი ტექნიკის ფართოდ დანერგვისა და, შრომის ნაყოფიერების სისტემატური გადიდების ბაზაზე, წარმოების განუწყვეტელი აღმავლობის უზრუნველყოფის აუცილებელ პირობას. სხვანაირად რომ ვთქვათ, მოხმარების საგნების წარმოების სისტემატური გადიდებისა და ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების უზრუნველყოფა შეუძლია წარმოების საშუალებათა წარმოების მხოლოდ უპირატეს და, ამასთან, სწრაფ ზრდას. მძიმე ინდუსტრიის განუწყვეტელი და სწრაფი ზრდა, რომელიც წინ უსწრებს სახალხო მეურნეობის სხვა დარგების განვითარებას, აუცილებელი პირობაა სოფლის მეურნეობის, მსუბუქი მრეწველობისა და კვების მრეწველობის მყარი აღმავლობისა.

როგორ ხდება გაცვლა საზოგადოებრივი წარმოების I და II ქვედანაყოფს შორის და თითოეულ მათგანს შიგნით ? ამისათვის საჭიროა, ჯერ ერთი, წარმოების გაცვლა I ქვედანაყოფის სხვადასხვა დარგს შორის. მაგალითად, ქვანახშირისა და ნავთობის მრეწველობა სათბობს აძლევს მანქანათმშენებელ დარგებს და მათგან იღებს საჭირო მოწყობილობას. მეტალურგია, აწვდის რა სამშენებლო ინდუსტრიას მისთვის საჭირო ლითონს, თავის მხრივ, იყენებს სამაღნო მრეწველობის ნედლეულს ლითონის გამოდნობისათვის და ა.შ. ამასთან, რამდენადაც წარმოების საშუალებები საქონელია, საწარმოებს შორის მათი მოძრაობა ხდება ყიდვა-გაყიდვის, ესე იგი საქონელმიმოქცევის წესით, ამ საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დადგენილი წესის შესაბამისად; მეორე, მიმდინარეობს მოხმარების საგნების გაცვლა II ქვედანაყოფის სხვადასხვა დარგს შორის. II ქვედანაყოფში წარმოებულ მოხმარების საგანთა ერთი ნაწილი ხმარდება ამ ქვედანაყოფის მუშაკთა პირად მოხმარებას; მესამე, მიმდინარეობს გაცვლა I და II ქვედანაყოფებს შორის. I ქვედანაყოფში დამზადებულ წარმოების საშუალებათა ნაწილი უნდა მოხმარდეს მწყობრიდან ნაწილობრივ ან მთლიანად გამოსულ შრომის საშუალებათა ანაზღაურებას და ნედლეულის, სათბობისა და სხვა მასალების დახარჯული მარაგის გადიდებას, რომლებიც აუცილებელია გაფართოებული კვლავწარმოებისათვის. II ქვედანაყოფში წარმოებულ მოხმარების საგანთა ნაწილი სავაჭრო ქსელის საშუალებით გაიცვლება I ქვედანაყოფის მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე.

და ბოლოს, უნდა ითქვას, რომ გაფართოებული კვლავწარმოების შედეგად "მიიღება" ეკონომიკური პოტენციალი, რომელიც გვიჩვენებს ზედმეტი პროდუქტის იმ ოდენობას, რაც სწორედ გაფართოებული კვლავწარმოებისათვის გამოიყენება, მისი ნაწილი კი "პირის" მოხმარებაში.

## ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. პ. სამუელსონი, ვ. ნორდჰაუსი, ეკონომიკსი, სახელმძღვანელო, თავი VI, VIII, X, თბ., 1992;
2. ეკონომიკური თეორიის საფუძვლები, პროფ. გ. ადეიშვილის რედაქციით, ნაწ. II, თემა XXII, თბ., 1992;
3. კ. ელიზბარაშვილი, ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის გაფართოებული კვლავწარმოება, თბ., 1993;
4. ა. თეთრაული, კვლავწარმოების ტიპები და პროპორციები, თბ., 1986.
5. ი. არჩვაძე, საქართველოს ეროვნული სიმდიდრე და მისი ელემენტები, თბ., 1992.

## თემა 3. საადგილმამულო ურთიერთობა

ძირითადი საკითხები:

1. აგრარული ურთიერთობის არსი;
2. მიწის რენტა და მისი ფორმები;
3. საადგილმამულო ურთიერთობა საქართველოში;

მიწა მატერიალური წარმოების აუცილებელი პირობაა. იგი სოფლის მეურნეობაში გვევლინება წარმოების მთავარ საშუალებად. ამასთან ერთად, საზოგადოებაში წარმოიშობა სპეციფიკური ეკონომიური ურთიერთობანი ადამიანებს შორის, სახელდობრ: ურთიერთობა სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებლებსა და მიწის მესაკუთრეებს, მიწათმფლობელებსა და მის გამომყენებლებს შორის. ასეთი ურთიერთობანი იწოდებიან აგრარულ ურთიერთობად.

მიწა ფეოდალურ წყობილებაში იყო ფეოდალების მიერ ყმა გლეხების ექსპლოატაციისა და ზედმეტი შრომის მითვისების საშუალება, რამდენადაც იგი მათ საკუთრებას შეადგენდა.

მიწაზე ფეოდალური საკუთრების კაპიტალისტურად გარდაქმნის მთავარ დამახასიათებელ თავისებურებას ზოგ რიგ ქვეყნებში (საფრანგეთი, აშშ-ში და სხვ.) წარმოადგენდა ის, რომ გაიზარდა კერძო საკუთრება შესყიდულ მიწაზე. წარმოიშვა და განვითარდა კაპიტალისტური მსხვილი მიწათსაკუთრება. ეს უკანასკნელი შემდგომში კიდევ უფრო გაფართოვდა, რადგან მემამულეთა მიწების დიდი ნაწილი გადავიდა ბანკების, მრეწველების, კულაკების, ვაჭრების, მევახშეების ხელში.

ფეოდალური მიწის საკუთრების კაპიტალისტურად გადაქცევის პროცესი ცალკეულ ქვეყნებში ღებულობდა სხვადასხვა კონკრეტულ ფორმას. მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების ორი ძირითადი გზა

არის ცნობილი: პირველი, როდესაც ძველი, მემამულური მეურნეობა კი არ ისპობა, არამედ ძირითადად ინარჩუნებს ძალას, ხოლო რეფორმების გატარების შედეგად, თანდათანობით ხდება მათი გადაქცევა კაპიტალისტურ მეურნეობად. სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების ასეთი გზით ხასიათდებოდა გერმანია, იტალია, რუსეთი, იაპონია და მთელი რიგი სხვა ქვეყნები; მეორე, სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების პროცესში ბატონყმობის ყველა ნაშთი ისპობა ბურჟუაზიული რევოლუციით, რაც ხელს უწყობს საწარმოო ძალთა სწრაფ განვითარებას. ამის საუკეთესო დადასტურებაა საფრანგეთის 1787-1794 წლების რევოლუცია, რომელმაც მოსპო ფეოდალური მიწათმფლობელობა. თავადაზნაურობისა და სამღვდელოების მიწების კონფისკაციის შედეგად მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი ბურჟუაზიას ჩაუვარდა ხელში. ამერიკის შეერთებულ შტატებში 1861-1865 წწ. სამოქალაქო ომმა გამოიწვია სამხრეთი შტატების მონათმფლობელური ლატიფუნდიების მოსპობა და სოფლის მეურნეობის კაპიტალისტური გზით განვითარება. ამით უფრო დაჩქარდა სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალთა ზრდა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაცია-ცენტრალიზაცია.

ფეოდალიზმის ეპოქაში ზედმეტი შრომის მითვისება წარმოებდა მიწის რენტის შემდეგი სამი ფორმით: შრომამიგებითი, რენტა პროდუქტებით და ფულადი რენტის სახით. კაპიტალისტური მიწის რენტა მოიცავს უშუალო მწარმოებლის არა მთელ ზედმეტ შრომას, არამედ მხოლოდ მის ნაწილს.

ამრიგად, კაპიტალისტური მიწის რენტა, განსხვავებით ფეოდალურისაგან, ემყარებოდა არა უშუალო ბატონობისა და მორჩილების ურთიერთობას, არამედ კაპიტალისტური ექსპლოატაციის ურთიერთობას, რომელიც დამყარებულია იურიდიულად თავისუფალ, მაგრამ ეკონომიკურად დამოკიდებულ სასოფლო-სამეურნეო დაქირავებული მუშების ექსპლოატაცია-

ხე. ამასთან, თუ ფეოდალური რენტა ემყარებოდა ორი კლასის არსებობას, კაპიტალისტური მიწის რენტა გულისხმობდა სამი კლასის ურთიერთობას, კერძოდ: მიწათმფლობელებს, კაპიტალისტურ-მოიჯარეებსა და სასოფლო-სამეურნეო მუშებს.

არსებობს მიწის რენტის ორი ძირითადი ფორმა, მათგან პირველს აბსოლუტურს უწოდებენ, მეორეს კი – დიფერენცირებულს. აბსოლუტური რენტა დაკავშირებულია მიწის კერძო, მონოპოლისტურ საკუთრებასთან, რაც, თავის მხრივ, იწვევს, აგრეთვე, დიფერენცირებულ რენტას.

დიფერენციული (სხვაობითი) რენტა მიიღება უფრო ხელსაყრელი პირობების გამო განსხვავებული შრომის ნაყოფიერების საფუძველზე. იგი წარმოადგენს სხვაობას ინდივიდუალურ ფასსა და წარმოების იმ საერთო ფასს შორის, რაც უარესი მიწის ნაკვეთებზე წარმოების პირობებით განისაზღვრება.

ამრიგად, დიფერენცირებული რენტის წყაროა ზედმეტი ღირებულება, მიზეზი მონოპოლია მიწაზე, პირობა კი განსხვავება ნიადაგის ნაყოფიერებაში.

კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში არსებობს დიფერენციალური რენტის ორი სახე: დიფერენციული რენტა პირველი და დიფერენციული რენტა მეორე.

მიწის ნაკვეთები თავისი თვისებებით ერთნაირი არ არის. ზოგნი ხასიათდებიან მაღალი ნაყოფიერებით და თანაბარ პირობებში მნიშვნელოვნად უკეთეს შედეგს იძლევიან. ასეთ პირობებში, ე.ი. მაღალი მოსავლიანობის შედეგად წარმოიშობა დიფერენციული რენტა პირველი. მაშინ, როცა დიფერენციული რენტა მეორე მიიღება ერთსა და იმავე მიწის ნაკვეთზე შრომისა და კაპიტალის დამატებითი ხარჯვის შედეგად მიწათმოქმედების შემდგომი ინტენსიფიკაციის საფუძველზე.

ეკონომისტთა შორის დ. რიკარდოს უდიდესი დამსახურება ეკუთვნის

რენტის საკითხში. მან, ა. სმიტთან შედარებით, ჯერ გადადგა ნაბიჯი, პირველმა დააკავშირა რენტის თეორია ღირებულების თეორიასთან. მაგრამ, რიკარდომ მაინც ვერ შესძლო რენტის საკითხის გადაწყვეტა, რადგან მის ეკონომიურ მოძღვრებაში შრომითი ღირებულების თეორია არ იყო სრულყოფილად დასაბუთებული.

რიკარდოს რენტის თეორიის მნიშვნელოვან ნაკლს წარმოადგენდა ისიც, რომ იგი უკავშირდებოდა ეგრეთ წოდებულ "ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონს". ამით უარყოფდა დიფერენციალურ რენტის თეორიას.

საადგილმამულო ურთიერთობაში ჯეროვანი მნიშვნელობა ენიჭება მიწის კადასტრის არსებობას. იგი არის სარწმუნო ცნობათა ერთობლიობა მიწის ბუნებრივი, სამეურნეო და სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ.

მიწის კადასტრი გულისხმობს, აგრეთვე, მიწის ნიადაგის ბონიტირებასა და ეკონომიკურ შეფასებას, ე.ი. მისი შედარებითი შემოსავლიანობის დონის განსაზღვრას. სხვანაირად რომ ვთქვათ, მიწის ეკონომიკური შეფასება გამოხატავს განსხვავებულ ბუნებრივ - ეკონომიკურ პირობებში სხვადასხვა მიწის შემოსავლიანობას და ადგენს, თუ რამდენად მაღალი ღირებულებისაა ესა თუ ის მიწა. ამ პროცესს საფუძვლად უდევს თეორია ნიადაგის ბუნებრივი და ხელოვნური ნაყოფიერების ურთიერთობის შესახებ.

მიწა ადამიანის შრომის შედეგი არაა. ამიტომ მას არც ღირებულება აქვს. მაგრამ იგი საკუთრების ობიექტია და საქონელბრუნვაში შედის - მას ყიდიან და ყიდულობენ. აქედან გამომდინარე, მიწას ფასი აქვს.

კაპიტალისტური ქვეყნების მაგალითზე მიწის ფასი ცვლადი კაპიტალის ის თანხაა, რომელიც ბანკში შეტანის შემდეგ მის მფლობელს ყოველწლიურად მისცემს პროცენტის სახით მიწის რენტის ტოლ შემოსა-

ვალს.

მიწის ფასი იანგარიშება ფორმულით: $მ.ფ. \frac{\text{რენტა}}{\text{ბანკის პროცენტი}} \times 100$

მიწის ფასი სულ უფრო და უფრო მატულობს, რადგან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე მოთხოვნილების გადიდება სისტემატურად ზრდის რენტის მოცულობას.

ყოფილ სსრ კავშირში, მათ შორის საქართველოში, სადაც მიწა საერთო-სახალხო საკუთრებად ითვლებოდა და იგი ყიდვა-გაყიდვას არ ექვემდებარებოდა, მიწის ფასის კატეგორია არ არსებობდა.

ახლა კი, როცა ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს მიწის კერძო საკუთრების დასამკვიდრებლად, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მასზე სწორი გადასახადების შემოღებას.

<u>საადგილმამულო ურთიერთობა საქართველოში</u>. ამ საკითხს უშუალო კავშირი აქვს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ 1992 წლის იანვარში მიღებულ დადგენილებასთან - "საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ".

ვფიქრობ, მანამ ამ დადგენილების არსსა და მნიშვნელობას შევეხებით, საჭიროა ზოგადად მაინც გავეცნოთ ჩვენში საადგილმამულო ურთიერთობასა და ბოლოდროინდელი სოფლის მეურნეობის მდგომარეობის სურათს, ასევე რეფორმის დაწყების აუცილებლობის ძირითად მიზეზებს.

დავიწყოთ იმით, რომ რუსეთის ცხოვრებას მიმდევარი ქართველი ხალხი ჯერ კიდევ, 1862 წელს მოწვეულ აღმოსავლეთ საქართველოს სათავადაზნაურო კრებისაგან მოითხოვდა გლეხებისათვის მიწის განსაზღვრული რაოდენობის მიცემას. ადგილობრივ მემამულეთა (ისინი 550-მდე იყვნენ - კ.ე.) საპირისპიროდ, ამგვარ მოთხოვნებს მხარი დაუჭირეს ახალი თაობის წარმომადგენლებმა - თერგდალეულებმა, რომლებიც ჯერ კიდევ პეტერბურგში სწავლობდნენ.

ისტორიას მწარე მოგონებად შემორჩა თავადაზნაურთა მხრივ დიდი ილიას დევნა იმის გამო, რომ იგი მოითხოვდა გლეხებისათვის მიწის გადაცემას.

მეფის მთავრობამ გადაწყვიტა დაეტოვებინა ქართველი გლეხებისათვის მიწის მცირე ნაკვეთები, იმ პირობით, რომ ამ ნაკვეთებით სარგებლობისათვის მათ გარკვეულ ვადამდე მემამულეებისათვის დიდი გადასახადი ეძლიათ. ამ ვადის გასვლის შემდეგ შეეძლოთ გამოესყიდათ მათგან ნაკვეთები და თვითონ გამხდარიყვნენ მისი მესაკუთრენი. ამ წესით, "განთავისუფლებულ" გლეხებს "დროებით განთავისუფლებული გლეხები" ეწოდებოდათ.

საგლეხო რეფორმამ, მისი სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობის მიუხედავად, რაც უპირატესად პირად თავისუფლებაში გამოიხატა, გლეხობა მოატყუა და კიდევ უფრო შეავიწროვა. არადა, რეფორმის გატარებამდე ყმა გლეხები სარგებლობდნენ 84 ათას 665 დესეტინა მიწით, რეფორმის შემდეგ კი მათ დაუტოვეს მხოლოდ 55 ათას 679 დესეტინა, დანარჩენი "ჩამოაჭრეს" და მემამულეებს გადასცეს. ამით თითოეულ დროებით ვალდებულ გლეხს საშუალოდ დარჩა 3,4 დესეტინა, მაშინ როცა რეფორმამდე ყმა გლეხის სარგებლობაში იყო 5,2 დესეტინა.

ამასთან, კანონით გლეხებს არ მისცემიათ არც ტყე და არც საძოვრები. მათი სარგებლობისათვის მემამულეთათვის მძიმე გადასახადები დააწესეს.

ქართველ გლეხს, სამწუხაროდ, არც მიწის რევოლუციურმა ნაციონალიზაციამ, კერძოდ, მასზე სახელმწიფოებრივი საკუთრების შემოღებამ გაუმართლა. პირიქით, 70-წლიანმა "საბჭოთა დიქტატურამ" წაღიანად დაარღვია სოფლის ყოფა-ცხოვრება. მიწის უდიდესი მასივები კოლმეურნეობა - საბჭოთა მეურნეობებმა დაიკავეს. გლეხი ვერ უხრე-

წველყოფდა ოჯახის შენახვას, სტოვებდა სოფელს და ახლო მდებარე წარმოება-დაწესებულებებში იწყებდა მუშაობას.

მერეც, მიწათმოქმედების ე.წ. "საბჭოურმა სისტემამ" გაუმართლებლად შეცვალა სავარგულთა სტრუქტურა, უპირატესობა მიენიჭა არა იმდენად სასურსათო, რამდენადაც ტექნიკურ კულტურებს (ჩაი, ციტრუსი, დაფნა, ტუნგი.)

მართალია, ჩაის, ციტრუსების და სხვა სუბტროპიკული კულტურებიდან მიღებული შემოსავალი ბევრჯერ აღემატებოდა ერთწლიანი კულტურებისაგან (სიმინდი, ხორბალი) მიღებულ შემოსავალს, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი დიდი ნაწილი "საკავშირო ბიუჯეტში" მიდიოდა.

ყოველივე ამის ფონზე ერთობ დიდ ინტერესს იწვევს 1918—1921 წლების საქართველოს საადგილმამულო ურთიერთობა.

1917 წელს საქართველოში ვენახს ეკავა 37622 დესეტინა ფართობი (ერთი დესეტინა — 1,093 ჰა). იმავე წელს ყურძნის საერთო მოსავალმა შეადგინა ხუთი მილიონ 884 ათასი ფუთი (ერთი ფუთი 16,38 კგ.). დაწურული ღვინის რაოდენობა განისაზღვრებოდა ოთხი მილიონ 734 ათას 932 ვედროთი (ერთი ვედრო — 12,3 ლიტრი).

მაშინ ჩაის პლანტაციების საერთო ფართობი ათას ჰექტარს ძლივს აღწევდა. იგი ძირითადად ოზურგეთისა და აჭარის ბარის რაიონებში ხარობდა. ჩაის ფოთლის მაშინდელი წლიური მოსავალი დაახლოებით 1600 ტონით განისაზღვრებოდა. 1921 წელს მოწეული იქნა სამი მილიონ 740 ათასი გირვანქა (ერთი გირვანქა — 409,5 გრამი) ჩაის ფოთოლი.

ჯეროვანი ადგილი ეკავა მეთამბაქოეობას, მეაბრეშუმეობასა და მებამბეობას. 1920 წლის მონაცემებით, თამბაქოს ნარგავები გაშენებული იყო 2257 დესეტინაზე, ბამბის პლანტაციებს კი 1200 დესეტინა ეთმობოდა. მებამბეობას "მისდევდნენ" ქუთაისის, ერივანის,

ბორჩალოს და სიღნაღის ზახრებში.

გარდა აღნიშნულისა, მოყავდათ ხორბალი, ქერი, ჭვავი, შვრია, წიწიბურა, ფეტვი, ღომი, ლობიო, ბრინჯი, კარტოფილი, მზესუმზირა, კანაფი, საკვები ჭარხალი და სხვა კულტურები.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ანექსირებული საქართველოს სა-ადგილმამულო ურთიერთობა მთლიანად დაექვემდებარა სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობის მიერ 1917 წლის 8 ნოემბრის მიღებულ დეკრეტს მიწის შესახებ, რითაც, ფაქტობრივად განისაზღვრა მიწათ-მფლობელობისა და მიწათსარგებლობის ახალი, საბჭოური პრინციპები. გაუქმდა მიწის კერძო საკუთრება, აიკრძალა მისი ყიდვა-გაყიდვა, იჯარით გაცემა და დაგირავება.

ყოველივე ამას მძიმე შედეგებიც მოჰყვა. ძირითადად ამის გამო ახლა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა მინიმალურადაც ვერ აკმაყოფი-ლებს არსებულ მოთხოვნებს.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესებისა და მრავალწლიანი ნარგავების დაბალი მოსავლიანობა საგრძნობლად ზღუდავს მათი გამო-ყენება-მოხმარების შესაძლებლობებს. ასევე ითქმის საძოვარ-საბა-ლახოებისა და საკვების ნაკლებობაზე, რაც მეტისმეტად უარყოფითად მოქმედებს მეცხოველეობის პროდუქტიულობის დონეზე.

აქედან გამომდინარე, გასაკვირი როდია, რომ ჩვენში წლით-წლობით კლებულობს ძირითადი სურსათ-სანოვაგის მოხმარება. მართლაც, შედარებით ბოლოდროინდელი მონაცემებით ხორცეულის ფაქტიური მოხმა-რება მოსახლეობის ერთ სულზე გადაანგარიშებით 29 კგ-ს არ აღემა-ტება, მაშინ როცა ნორმა დაახლოებით 64 კგ-ს უდრის, რძის წლიური მოხმარება ჩვენში 289 კგ-ით განისაზღვრება, მაშინ როცა ესტონე-თში 407 კგ-ია, სომხეთში 446 - კგ-ს აღწევს და ა.შ.

ახლა მოკლედ შევეხოთ მიწის რეფორმის ზემოთ ხსენებული დადგე-

წილების არსსა და მნიშვნელობას. ზოგიერთი მას მიწის პრივატიზაციას არქმევს, ზოგიერთი მიწის კერძო საკუთრებას და ა.შ. ფაქტობრივად, ეს ასე არ არის. დადგენილების სათაურში ხსენებული "რეფორმა" სწორად გამოხატავს საკითხის არსს, კერძოდ, იმას, რომ: ჯერ ერთი, რეფორმა გარკვეულ ცვლილებებს გულისხმობს, და არა პრივატიზაცია-განსახელმწიფოებრიობას; მეორე, კერძო საკუთრება არის არა მარტო ფლობის, არამედ განკარგვა-გამოყენების შესაძლებლობა, და, აქედან გამომდინარე, ყიდვა-გაყიდვის ობიექტი; მესამე, მიღებული დადგენილება ეხება არა საერთოდ მიწებს, არამედ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას, თანაც მის ნაწილს, კერძოდ, არსებული საკარმიდამო ნაკვეთების დაახლოებით გასამმაგებას; მეოთხე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწები ამიერიდან იყოფა სახელმწიფო მიწის ფონდად და მიწის რეფორმის ფონდად. ამ უკანასკნელიდან ეწყობა სხვადასხვა ფორმის მეურნეობები ნათვის საკუთრებაში მიწების გადაცემით; მეხუთე, დაწყებული რეფორმით პრაქტიკაში შემოდის მიწის მფლობელისა და მიწის მოსარგებლის სრულიად ახალი ცნებები, რომელთა სამართლებრივ-ეკონომიკურ საფუძვლებს დასჭირდება სპეციალური კანონი. იგი პარლამენტმა უნდა მიიღოს.

ახლა ცოტა უფრო დაწვრილებით შევეხოთ მიმდინარე მიწის რეფორმის არსს და მნიშვნელობას. უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ რეფორმა ემსახურება სოფლის მეურნეობაში საბაზრო ურთიერთობის დამკვიდრებასა, და, აქედან გამომდინარე, სასურსათო პროდუქტებზე სად-გოსარი დეფიციტის შეჩერებას. მეორეს მხრივ, მისი პრაქტიკული განხორციელება იქნება რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის საიმედო გარანტი და იმის საქვეყნოდ აღიარება, რომ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში, არსებული მიწა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული სიმდიდრე და მისი კუთვნილებაა.

დადგენილების შესაბამისად, მიწა კერძო საკუთრებაში, მფლობელობასა და სარგებლობაში გადაეცემათ მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს. იმათ კი, ვინც უცხოელი მოქალაქეა, ან საერთოდ მოქალაქეობა არა აქვს, გადაეცემათ დროებით სარგებლობაში.

რას ნიშნავს დროებითი სარგებლობა? იმას, რომ: ჯერ ერთი, ასეთი სარგებლობის ვადად დაწესებულია სამი წელი; მეორე, შესაბამის მოქალაქეს არა აქვს უფლება მასზე რაიმე ნაგებობის აშენებისა და მრავალწლიანი ნარგავების გაშენებისა (ასეთი წესი აქამდეც არსებობდა); მესამე, მიწათმოსარგებლეს არა აქვს უფლება მიწის ნაკვეთი გადასცეს მისგან გამოყოფილ ახლად შექმნილ ოჯახს. ამასთან, არ აქვს მემკვიდრეობისა და დაქირავებული შრომის გამოყენების უფლება და ა.შ.

მიწის კერძო მესაკუთრეს, ე.ი. მუდმივ მფლობელს, მოსარგებლისაგან განსხვავებით, შეუძლია იგი გადასცეს მემკვიდრეს, გასცეს იჯარით და გამოიყენოს დაქირავებული შრომა. ამასთან, ამგვარი ოჯახის (კომლის) კაპიტალის შეცვლის შემთხვევაში მიწის მოქმედი ნორმა არ იცვლება. თანაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ახლო მომავალში რესპუბლიკის პარლამენტი მიიღებს კანონს, რომელიც დაარეგულირებს ყიდვა-გაყიდვასა და გაჩუქების პროცესებს.

მიწის რეფორმის სწორად განხორციელების თვალსაზრისით, ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს საკარმიდამო ნაკვეთების ზღვრული ნორმების ცოდნასა და, აქედან გამომდინარე, კონკრეტული პირობების და შესაძლებლობების გათვალისწინებას. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა დააწესა საკუთრებაში, მფლობელობასა და სარგებლობაში გადასაცემი საკარმიდამო მიწის ზღვრული ნორმები. სოფლად (კემივად მცხოვრებ და სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ) ეძლევათ: ბარისა და ზეგანის რაიონებში 1,25 ჰექტრამდე მიწის ნაკვეთი, მთის რაი-

ონებში კი – ხუთ ჰექტარამდე.

ამასთან, სოფლად მცხოვრებლებს, რომლებიც სხვა სფეროებში მუშაობენ, მიიღებენ: ბარისა და ზეგნის რაიონებში 0,5 ჰექტარამდე, მთის რაიონებში კი – სამ ჰექტარამდე მიწის ნაკვეთებს.

რაც შეეხება ქალაქის მცხოვრებლებს, რომლებსაც სურთ სოფლად მიიღონ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ეძლევათ: ბარისა და ზეგნის რაიონებში 0,15 ჰექტარი, მთის რაიონებში კი – ერთ ჰექტარამდე. შემდეგ მომხდარი საოჯახო და სხვა სახის დემოგრაფიული ცვლილებები მხედველობაში არ მიიღება. ისინი დაკმაყოფილდებიან მიწის სარეზერვო ფონდის ფარგლებში.

მიწის რეფორმა სხვა სახის ღონისძიებებსაც ითვალისწინებს. ასე, მაგალითად, ამიერიდან კომლის გაყრა განხორციელდება მასში ორი და მეტი სრულწლოვანი შვილის არსებობის შემთხვევაში. ამასთან, ერთ-ერთი შვილი რჩება კომლის მემკვიდრედ და მას ცალკე საკარმიდამო მიწის ნაკვეთი არ გამოეყოფა. ყოველივე ეს იმასაც ნიშნავს, რომ ერთშვილიანი კომლის შემთხვევაში საკარმიდამო მიწის ნაკვეთი არ გამოიყოფა.

ჩვენი აზრით, ურიგო არ იქნება სტუდენტმა-ახალგაზრდობამ იცოდეს, რომ ამიერიდან, თუ კომლს მიწების აღრიცხვის ზონარგაყრილ წიგნში, რეგისტრირებულ ფართობთან შედარებით, აღმოაჩნდება მეტი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, მაშინ დადგენილი საკარმიდამო მიწის ზღვრული ნორმის შევსების შემდეგ დარჩენილი მიწის ნაკვეთი გადაეცემა სარეზერვო ფონდს.

ერთ დროს, განსაკუთრებით, 60-70-იან წლების მიჯნაზე ფართო ხასიათი მიიღო სასოფლო-სამეურნეო მიწების არადანიშნულებისამებრ გამოყენების მავნე პრაქტიკამ. ფართობების უნებართო მართვამ ბევრი

საკარგული "გაანიავა", ყოველგვარი დასაბუთების გარეშე დაიტაცეს იგი ფაბრიკა-ქარხნებმა, სატრანსპორტო და სხვა სპეციალიზებული სუბიექტ-ობიექტებმა, მიმდინარე რეფორმა ამ გარემოებასაც ითვა- ლისწინებს. რაიონულ და სასოფლო კომისიებს უფლება ეძლევათ მოსა- ზღვრე ტერიტორიებზე, მსგავსი შემთხვევების ლიკვიდაციის მიზნით, საკითხი დააყენონ ზემდგომ რესპუბლიკურ ორგანოებში. ასეთ უდავოდ გაუმჯობესდება საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფის საქმე.

მიწის მიმდინარე რეფორმა შემდეგნაირ მნიშვნელოვან პირობასაც ითვალისწინებს: თუ საკარმიდამოდ გამოყოფილი მიწის ნაკვეთი ზე- დიზედ ორი წლის განმავლობაში არ იქნება ათვისებული და გამოყენე- ბული, იგი კომლს ჩამოერთმევა და გადაეცემა სარეზერვო მიწის ფო- ნდში.

კიდევ ერთი საკითხი იპყრობს ჯეროვან ყურადღებას, კერძოდ, რე- ფორმის "მოცვის" ზონა და მისი განხორციელების სპეციფიკა. უნდა ითქვას, რომ მიწის რეფორმის ფონდის პარალელურად არსებობს, და, ალბათ, დიდხანს ასე იქნება, სახელმწიფო მიწის ფონდი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მეთესლეობის, სანერგე მეურნეობისა და სხვა მრავალი სახის საცდელ-ექსპერიმენტული და საკვლევი სამუშაოების განვითარება. ამავე ფონდს დაქვემდებარება უმნიშვნელოვანესი კულ- ტურებით დაკავებული მასივები და ფართობები, აგრეთვე, მსხვილი სპეციალიზებული და მექანიზებული მეურნეობები.

საჭიროა იმის აღნიშვნაც, რომ საქართველოში მიმდინარე მიწის რეფორმას ერთობ წინააღმდეგობრივი ხასიათი აქვს. სპეციალისტთა გარკვეული ნაწილი მიწაზე კერძო საკუთრების შემოღების წინააღმდე- გია. მათი აზრით, იგი თავად კაპიტალისტური წარმოებისათვისაც კი არ არის აუცილებელი, რადგან აძნელებს სოფლის მეურნეობაში კაპიტა- ლის შეღწევას. ამასთან, იმოწმებენ იმ ფაქტს, რომ საქართველოს მთასა

და ბაზში მიწის კერძო მფლობელობა არც არის ყოფილა. მას ფლობდა ან თემი ერობა და ა.შ.

მეორე, მიწის კერძო საკუთრების მოწინააღმდეგეთა აზრით, ახლა ჩვენ დასავლეთისა და თვით ამერიკაშიც ვხედავთ ფერმერებს წვრილი და საშუალო გლეხური მეურნეობების ულმობელი ლიკვიდაცია, რადგან შეუძლებელი ხდება მათი მომარაგება თესლით, სარგავი მასალით, შხამქიმიკატებით, მინერალური სასუქებით, მოხარეული პირუტყვით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკითა და ინვენტარით და ა.შ. იმავე მსჯელობით, მიწის კერძო საკუთრების დამკვიდრება გამოიწვევს მის ფულად მიმოქცევაში ჩართვას და, ამრიგად, ხელს შეუწყობს სპეკულაციის განვითარებას ...

აქედან გამომდინარე, ახლო მომავალში უნდა განხორციელდეს მიწის ისეთი ყაიდის მასშტაბიანი რეფორმა, რომელიც რესპუბლიკის საადგილმამულე ურთიერთობას უფრო ეროვნულს, ეფექტურსა და იოლად სამართავს გახდის.

## ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა


1. ეკონომიკური თეორიის საფუძვლები, პროფ. გ. ალეიშვილის რედაქციით, ნაწ. II, თემა XXI, თბ., 1992.
2. საქართველოს ისტორია, საკითხავი წიგნი, მეორე გამოცემა, თბ., 1990;
3. დადგენილება "საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ", იხ. გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 2.II.92;

## თემა 4. "ეკონომიქს-ი": არსი და მნიშვნელობა

ძირითადი საკითხები:

1. ზოგადი დებულებები;
2. მაკროეკონომიკა:
   ა. წარმოებისა და ფასების მერყეობა;
   ბ. ფული, სარგებლის განაკვეთი და დეფიციტი;
3. მიკროეკონომიკა: მიწოდება, მოთხოვნა და საქონლის ბაზარი;
4. ეკონომიკური ზრდა და საერთაშორისო ვაჭრობა.

სახელმძღვანელო "ეკონომიკსი", რომლის ავტორები არიან ცნობილი ამერიკელი მეცნიერ-ეკონომისტები პოლ სამუელსონი და ვილიამ ნორდჰაუსი, ეპოქისად პოპულარულია თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში. ქართველი საზოგადოებრიობა მის რეფერატულ შინაარსს პირველად გაეცნო ჟურნალ "ეკონომიკის" ფურცლებზე. ამჟამად იგი ცალკე წიგნადაცაა გამოცემული.

სახელმძღვანელო ოთხი ძირითადი ნაწილისა და ორმოცი თავისაგან შედგება.[1] მან XX საუკუნის მეორე ნახევრიდან გამოდევნა ასეთი წლობით "წოქმული" ტერმინი "პოლიტიკური ეკონომია". ამასთან, ყოფილ საბჭოთა ლიტერატურაში "ეკონომიქს-ის" ერთნაირი თარგმანი არ არსებობს. ზოგან მას ეკონომიკური თეორია უწოდეს, ზოგან-ეკონომიკური ანალიზი, ზოგან – თეორიული ეკონომიკა და ა.შ.

სახელმძღვანელოს წინასიტყვაობის მიხედვით, მის ავტორებს მიზნად დაუსახავთ ნათლად, საინტერესოდ და თანამედროვე დონეზე ახსნან "ეკონომიქსის" ძირითადი პრინციპები, განმარტონ ამერიკისა და მსოფლიო ეკონომიკური სისტემების ძირითადი ცნებები.

1 "ეკონომიქსში" გადმოცემული მაკრო და მიკრო ეკონომიკის ძირითადი საკითხები მიმოხილულია ამ ნაშრომის მომდევნო, მე-6 თემაში.

ამასთან, იქვე აღნიშნულია, რომ "ეკონომიქს"-ი დიდ ყურადღებას უთმობს ყველა სკოლას: პოსტკეინსურ ეკლექტიზმს; მონეტარიზმს; რაციონალურ ლოდინს; ჩიკაგოს ლიბერტარიანიზმს; მარქსიზმს და რადიკალურ ეკონომიკას.

სახელმძღვანელოს ავტორები საინტერესო რჩევასაც აძლევენ სტუდენტებს იმის შესახებ, თუ რა არის საჭირო იცოდნენ ადამიანებმა XXI საუკუნეში. მათი თქმით, სახელმძღვანელოში ასახულია ისეთი ინტელექტუალური გიგანტების აზრი, როგორებიცაა ადამ სმიტი და კარლ მარქსი, ჯონ მეინარდ კეინსი და მილტონ ფრიდმანი, ჯეიმს ტობინი და რობერტ ლუკასი. თუმცა იმ ქვეყნებში, სადაც "კაპიტალი" ეკონომიკურ სახარებას წარმოადგენს, მსოფლიო მოსახლეობის მესამედი (მილიარდზე მეტი) ადამიანი ცხოვრობსო — დასძენენ ისინი.

სახელმძღვანელოს მიხედვით, ეკონომიქსი არის მეცნიერება იმის შესახებ, თუ ადამიანები და საზოგადოება როგორ ირჩევენ იმ დეფიციტური რესურსების გამოყენების წესს, რომელთაც შეიძლება მრავალმიზნიანი დანიშნულება ჰქონდეთ, რათა აწარმოონ სხვადასხვა საქონელი და გაანაწილონ ის ამჟამად და მომავალში საზოგადოების სხვადასხვა ინდივიდებს, ჯგუფებს შორის.

ეკონომიქსი საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ საკითხს მოიცავს. მისი ავტორების აზრით, ყველა ეკონომიკური სისტემისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საქონლის წარმოებისათვის გაწეულ დანახარჯებს, აგრეთვე, მიწას, ბუნებრივ რესურსებს, შრომას, კაპიტალს, მოსახლეობის ტრადიციებს, ინსტინქტს, ბრძანებებს და ბაზარს.

გასათვალისწინებელია რესურსების პერეფერიენცია, ე.ი. მთლიანად დატვირთულმა ეკონომიკამ ერთი სახის საქონლის წარმოების ზრდის უნდა შეამციროს რომელიმე სხვა. აქედან გამომდინარე, შენაცვლება ცხოვრების კანონად არის მიჩნეული.

ეკონომიკაში სრული დასაქმების, საწარმოო შესაძლებლობის ზღვარი ასახავს საზოგადოების არჩევანს. ამასთან, მთავარი საზრუნავია ეფექტიანობა, უმუშევრობა და უმუშევრობის ზღვარი. საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ აშშ-მა 1940 წლის შემდეგ თავისი ცხოვრების დონე აამაღლა სწორედ უმუშევრობის მკვეთრად შემცირებითა და შესაძლებლობების ზღვრებთან მიახლოებით. სხვა სიტუაცია შეიქმნა რუსეთში (სსრკ-ში). აქ არ იყო უმუშევრობა და დაუტვირთაობა. ამიტომ მას მოძრაობა მოუხდა "საზღვრის გასწვრივ", ე.ი. წარმოების გადაყვანა სამოქალაქოდან სამხედრო პროდუქციის წარმოებაზე.

თუ მხედველობაში მივიღებთ საზოგადოების ძირითად პრობლემებს, იმას; თუ რა ვაწარმოოთ, როგორ ვაწარმოოთ, ვისთვის ვაწარმოოთ, მაშინ საჭირო გახდება საბაზრო, მბრძანებლური და შერეული ეკონომიკის მექანიზმები.

საბაზრო მექანიზმი მეურნეობის ორგანიზაციის ისეთი ფორმაა, რომლის დროსაც, ეკონომიკის ძირითადი პრობლემების გადაწყვეტის მიზნით, ინდივიდუალური მომხმარებლები და მწარმოებლები ბაზრის მეშვეობით ერთმანეთზე ზემოქმედებენ.

მბრძანებლური ეკონომიკის დროს რესურსების კონცენტრაციას განსაზღვრავს მთავრობა. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს ეკონომიკურ როლს. აქ თავს იყრის სამი ფუნქცია: ეფექტიანობა, სამართლიანობა, სტაბილურობა, აგრეთვე გადასახადები. ეს არის რეგულირების მნიშვნელოვანი ფორმა.

"ეკონომიკაში" ფიზიკური კაპიტალის განსაზღვრა. იგი არის ხარჯების ნაწილი და შრომის პროდუქტი, კაპიტალი ზრდის მწარმოებლურობას, ეს მართებულია ყველა ქვეყნისათვის, მათ შორის, ამერიკული კაპიტალიზმისა და საბჭოური კომუნიზმისათვის. თუმცა არსებობს განსხვა-

ვებაც, კერძოდ ის, რაც ამერიკული სისტემისათვის გამონაკლისია (წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრება), კომუნისტური საზოგადოებისათვის წარმოადგენს წარმოების წესს. აქ შემოსავალი სახელმწიფოს ეკუთვნის და არა უშუალოდ ინდივიდს. სახელმწიფო განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა განაწილდეს ეს შემოსავალი. აშშ-ში კი, ინდივიდუალური კაპიტალისტი ღებს სარგებელს, დივიდენდს, მოგებას. თუმცა მესაკუთრის უფლება შეზღუდულია. აქაც საზოგადოება განსაზღვრავს მემკვიდრეობის უფლებას, გადასახადებს და ა.შ.

"ეკონომიქს"-ში გაშუქებულია მოთხოვნისა და მიწოდების საფუძვლები და საბაზრო მექანიზმი, ნაჩვენებია, რომ მიწოდებისა და მოთხოვნის ძალებმა გამოიწვია კვების ჩვევებში რევოლუცია. თუ ასწლეულის წინ სჭარბობდა კარტოფილი, პური, ფქვილი და ა.შ., ახლა ოჯახებს აქვთ ბევრი ყუათიანი სურსათ-სანოვაგე. თანაც ნაყიდი საქონლის რაოდენობა დამოკიდებულია ფასზე, რაც უფრო მაღალია იგი, მით ნაკლებს ყიდულობ, და პირიქით. ამ ურთიერთობას ეწოდება "მოთხოვნის გრაფიკი" ანუ "მოთხოვნის მრუდი".

რა არის მიწოდება? იგი არის თანაფარდობა საბაზრო ფასებსა და საქონლის რაოდენობას შორის. ამასთან, ერთობლივი ეროვნული პროდუქტის (ეეპ) გასაზომად იყენებენ საბაზრო ფასებს. თუმცა იგი ვერ არის საიმედო, რადგან ინფლაცია ფასებს სულ უფრო და უფრო ზრდის. ამგვარი ცვლილებების დასახასიათებლად იყენებენ სპეციალურ ინდექსებს.

უკანასკნელ წლებში მოთხოვნის ეკონომიკურ თეორიას აკრიტიკებენ. ალტერნატივის სახით რეკლამდება მიწოდების თეორია. მისი მთავარი ნიშნებია: 1. კეინსის დოქტრინის უარყოფა, ე.ი. მოკლევადიანი ეკონომიკური სტაბილიზაციიდან საშუალოვადიანზე გადასვლა; 2. აქცენტი მიწოდების გაზრდის ღონისძიებებზე;3. გადასახადების

შემცირება, დაგროვებისა და შრომის ისეთი სტიმულირება, რომელიც საბოლოო ანგარიშით გაზრდის გამოშვებას.

XX საუკუნის სამრეწველო ციკლებმა საერთო ნიშნები შეიძინა – ესაა პიკი და კრიზისი. ამასთან ერთად, ციკლების სიხშირე მუდმივი არ არის. მთაგრეხილის მსგავსად, ხან ზევით მიიწევს, ხან კი ეცემა.

ყოველივე ამის გამო უმუშევრობა თანამედროვე საზოგადოების ცენტრალური პრობლემაა. უმუშევრობის მაღალი დონე ნიშნავს რესურსების ნაწილობრივ გამოუყენებლობას და მოსახლეობის დაბალ შემოსავლებს. ეს ამწვავებს სოციალურ სიტუაციებს, ოჯახურ [illegible], ამასთან, საზოგადოებაში ემოციურ დაძაბულობას ზრდის..

არსებობს უმუშევრობის შემდეგი სამი სახე: ფრიქციული, ე.ი. სამუშაოს შეცვლასთან დაკავშირებული; სტრუქტურული, ე.ი. როცა სამუშაო ძალის მიწოდება და მასზე მოთხოვნა ერთმანეთს არ ემთხვევა და ციკლური. განასხვავებენ აგრეთვე უმუშევრობის ბუნებრივ დონეს, რაც ინფლაციით განისაზღვრება. თავის მხრივ, ინფლაცია ვითარდება ფასებისა და ხარჯის საერთო დონის პირობებში. ინფლაციის სამი სახეობა არსებობს: ზომიერი, ჭენებადი და ჰიპერინფლაცია. ზომიერი ინფლაციის დროს ფასები ნელა იზრდება (წელიწადში 10 პროცენტამდე). ჭენებადი ინფლაციის დროს ფასები წლიურად 20-დან 200 პროცენტამდე იზრდება. ამასთან, კონტრაქტების უმეტესობა მიბმულია ფასების ზრდასთან, ან უცხოურ ვალუტასთან (მაგალითად, აშშ-ის დოლართან). ფული იწყებს სწრაფ მატერიალიზაციას საქონელში და უკვე აღარ პასუხობს სარგებლის ჩვეულებრივ განაკვეთს.

ჰიპერინფლაციის დროს მიმოქცევაში [illegible] ფული და ფასები ასტრონომიულად იზრდება, ფასებისა და ხელფასის დამახინჯება კატასტროფულია, საზოგადოების საუკეთესოდ უზრუნველყოფილი ფენების კეთილ-

ჯილდოებაც კი იწვევს.

„ეკონომიქს"-ში ფართოდ არის წარმოდგენილი ბიზნესისა და კორპორაციების წარმოქმნა-განვითარების კანონზომიერებანი. ნაჩვენებია, რომ ნებისმიერ მოქალაქეს ყველას შეუძლია დაიწყოს ბიზნესი, საჭიროა დაიქირაოს ადამიანთა განუსაზღვრელი რაოდენობა, სესხად აიღოს ფული და ა.შ.

ამჟამად აშშ-ში დომინირებს ხუთასი უმსხვილესი კორპორაცია. მსოფლიოს 50 უმსხვილესი კომპანიიდან 20 ამერიკულია.

მონოპოლიების საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევა ემყარება ხუთ ძირითად პრინციპს, კერძოდ: კანონმდებლობის გატარებას, ფასების კონტროლს, სახელმწიფო საკუთრების ზრდას, ეკონომიკის რეგულირებას და ანტიტრესტულ პოლიტიკას.

ძველ ტრადიციულ საზოგადოებაში შემოსავლები და სიმდიდრე შედარებით თანაბრად ნაწილდებოდა. სამრეწველო რევოლუციის დროს საზოგადოება დაიყო კაპიტალისტებად და მუშებად, ორ კლასად, რომლებიც ხასიათდებოდა შემოსავლებში არსებითი ეკონომიკური უთანაბრობით. ეს ტენდენცია ჯერ კიდევ კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა დაასაბუთეს „კომუნისტური პარტიის მანიფესტში". მაგრამ ყველა მათი პროგნოზი ტენდენციის თვალსაზრისით არ გამართლდა. კერძოდ, დებულება — „მდიდრები უფრო მდიდრდებიან, ღარიბები კი უფრო ღარიბდებიან" — ისტორიულმა და სტატისტიკურმა გამოკვლევებმა ვერ დაადასტურეს: ევროპასა და ამერიკაში მინიმალური ცხოვრების დონე მნიშვნელოვნად ამაღლდება.

დღეს აზიისა და აფრიკის ღარიბ ქვეყნებში მოსახლეობის ცხოვრების დონე ბევრად დაბალია, ვიდრე ის სამრეწველო რევოლუციამდე დასავლეთის ქვეყნებში იყო: 70-იანი წლების შუა პერიოდში ერთობლივი ეროვნული პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე ინდოეთში 15-ჯერ ნაკლე-

ბი იყო, ვიდრე ამერიკაში. თვით აშშ-ის სამხრეთის შტატების მცხოვრებთ უფრო ნაკლები შემოსავლები აქვთ, ვიდრე მათ თანამოქალაქეებს ჩრდილოეთის შტატებიდან და დასავლეთის სანაპიროებიდან.

„ეკონომიქსის" ავტორები სიმდიდრის განსაზღვრავენ, როგორც ფულის მარაგს. იგი წარმოადგენს რაღაც პერიოდის მანძილზე (ჩვეულებრივ წელიწადში) გამომუშავებული ან მიღებული ფულის საერთო ჯამს. აშშ-ში წმინდა ეროვნული სიმდიდრე (1984 წ. ფასებით) შეფასებული იყო 7800 მლრდ. დოლარად, რომელთაგან 1120 მლრდ. დოლარი ეკუთვნოდა მოსახლეობის მხოლოდ 5 პროცენტს. ასეთივე უთანაბროდ ნაწილდება ეროვნული სიმდიდრე დიდ ბრიტანეთში.

თანამედროვე ეკონომიკური სისტემის საზიარო მიზანია თანასწორად უზრუნველყოს განათლებისა და პოლიტიკურ უფლებებში თავისი შეხედულებების რეალიზაცია. მაგრამ როგორ ავხსნათ შემოსავლებში განსხვავებანი? საქმეა, რომ მხოლოდ ადამიანების უნარისდა ნიჭით. მთავარია მათი პროფესიული არაერთგვაროვნება. რომელ პროფესიას მოაქვს ყველაზე სქელი ფული? უკანასკნელ წლებში უმეტესად დიდერობენ ექიმები, რომლებიც წელიწადში (მაგალითად, 1984 წელს). საშუალოდ 120 ათას დოლარს ღებულობდნენ. რით აიხსნება ეს? იმით, რომ სამედიცინო სასწავლო დაწესებულებები არ ამზადებენ საკმარისი რაოდენობის ექიმებს, რომ მათ პროფესიული მომზადებისათვის მრავალი წელი სჭირდებათ, რომ ასეთ მომსახურებაზე მოთხოვნა სისტემატიურად იზრდება.

შემოსავლების უთანაბრობაში შესამჩნევ როლს ასრულებს საკუთრება და სიმდიდრე, რომელიც მემკვიდრეობის, ან საწარმოთა საქმიანობის შედეგია (ჰარბორს მემკვიდრეობის უფლება). ამით ნათელი ხდება, თუ ვის ხარჯზე ივსება საზოგადოების ელიტარული ფენა. ამერიკული კომპანიის ტიპიური ადმინისტრატორი ნუშის, ან ფერმერის

თეორიიდან არაა გამოსული; როგორც ჩანს, ნამდვილი ბიზნესმენი და სპეციალისტი იყო.

"ეკონომიქს"-ში ცალკეა გამოყოფილი სარგებელი, მოგება და კაპიტალი. კაპიტალის თეორია მიკროეკონომიკური ანალიზის ერთ-ერთი რთული ნაწილია, რადგან მისი ძირითადი იდეების გაგება შესაძლოა ფინანსებისა და ბიზნესის თეორიის ელემენტარული საფუძვლების პირობებში.

ეკონომიკური თეორია იკვლევს ყველა საწარმოო ფაქტორის სამ კატეგორიად დაყოფას. ესენია: 1) განსაზღვრული ოდენობით არსებული შეზღუდული რესურსები; 2) არსებული ეკონომიკური პირობების შესაბამისი შრომის რესურსები; 3) ეგრეთ ეკონომიკური სისტემით წარმოებული კაპიტალი.

ხელფასის, სარგებლისა და რენტის გარდა, ეკონომისტები ხშირად განიხილავენ შემოსავლის ცალკე ფორმას – მოგებას, რომელიც გამოისახება, როგორც სხვაობა ფირმის საერთო შემოსავლებისა და მისი დანახარჯების ჯამს შორის. 1983 წ. ამერიკელი კორპორაციების მოგება (გადასახადების გადახდის შემდეგ) 120 მლრდ დოლარს შეადგენდა. კორპორაციებმა გადაიხადეს 76 მლრდ დოლარი გადასახადებისა და 72 მლრდ დივიდენდების სახით. ამასთან, მოგების საშუალო ნორმა (მოგების შეფარდება დანახარჯებთან) უკანასკნელი 15 წლის მანძილზე თითქმის 3 პროც. შეადგენდა.

რაც შეეხება მოგებას, იგი კაპიტალისტური ეკონომიკის კ. მარქსის მოძღვრების ცენტრში იმყოფება. ადრინდელი შეხედულების ეკონომისტების, რომ ყველაზე მარქსისტული თეორია ჩამოყალიბდა ზეპირ რიკარდოს თეორიას. კ. მარქსის მიზანი იყო ახსნა მოგების, როგორც კაპიტალისტების "უშრომელი შემოსავლის", ბუნება. თავის თეორიაზე დაყრდნობით მარქსმა აღწერა საზოგადოების კლასების სოცი-

ალიზმზე, საზოგადოებაზე, სადაც "ექსპროპრიატორების ექსპროპრია-ციით" მუშები თვით ითვისებენ ზედმეტ ღირებულებას.

კ. მარქსის დროინდელი კაპიტალისტების მიზანი დაგროვება იყო. თუმცა კაპიტალის დაგროვების ზრდის კვალობაზე მოგების დონე მცირდება; ზედმეტი ღირებულების მიღებისაკენ სულ უფრო მეტ მისწრაფებას მუშათა კლასი მიჰყავს გაღატაკებამდე, წარმოშობს შრომისადმი ზიზღს. "შრომის სარეზერვო არმიის" ზრდა ხელს უშლის ხელფასის ზრდას და მას საშუალებას არ აძლევს გადააჭარბოს საარსებო საშუალებათა მინიმუმს. ამასთან, ინვესტიციებიდან შემოსავლების შემცირებას კაპიტალისტები გაჰყავს კოლონიებში, და, როგორც შემდგომ ლენინმა დაასაბუთა, განვითარდება იმპერიალიზმის სტადია. ბოლოს და ბოლოს, დეპრესიის კატაკლიზმები კაპიტალიზმს სიკვდილამდე მიიყვანს. საზოგადოებრივი წარმოება მონოპოლიზებული ხდება ერთადერთ ტრესტად, მუშები რევოლუციას ახდენენ.

გავიდა ათეული წლები და თვალნათელი გახდა, რომ დრამა მარქსის მიერ დაწერილი სცენარის მიხედვით, არ გათამაშდა. მუშები ხარობდნენ მზარდი რეალური შემოსავლებით და შემცირებული სამუშაო დღით, ხოლო მუშათა კლასის წილი ეროვნულ შემოსავალში იზრდებოდა. შემოსავლების დონეს არ ჰქონდა შემცირების ტენდენცია, რადგან ტექნიკური სიახლეები ინარჩუნებენ შინაგანი ინვესტიციების დონეს.

რაც შეეხება საწარმოო ციკლს, აქ მარქსის წინასწარმეტყველება თითქოს მტკიცდება, წარმოშობილი დიდი დეპრესიებით. მაგრამ შეეძლო კი მარქსს განეჭვრიტა, რომ კეინსის "საერთო თეორია" დასახავდა მაკროეკონომიკისა და დასაქმების წარმატებულ გზას?

მარქსისეული ეკონომიკის მოკლე ნარკვევს მხოლოდ მიახლოებითი წარმოდგენა შეუძლია მოგვცეს მისი შემოქმედის წინააღმდეგობ-

რიგი ტიპურის შესახებ.

აქედან გამომდინარე, სოციალიზმი როგორც დოქტრინა, სათავეს იღებს მარქსისა და XIX საუკუნის რადიკალური მოაზროვნეთა გამოკვლევებიდან. სოციალიზმი – საზოგადოების შუალედური მდგომარეობაა წმინდა კაპიტალიზმსა და საბჭოთა კომუნიზმს შორის. სოციალისტური თეორიების უმეტესობას ახასიათებს შემდეგი ნიშნები: საწარმოო რესურსებზე სახელმწიფო საკუთრება, კერძო საკუთრება შეზღუდულია. ამასთან, სოციალიზმის დროს დაგეგმვის მექანიზმი გამოიყენება ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის კოორდინაციისათვის, მუშებისა და საზოგადოების მიერ განხორციელებული "სამრეწველო პოლიტიკის" საფუძველზე.

"ეკონომიკს"-ის ავტორთა აზრით, თუ თანამედროვე სოციალიზმის მრავალი პრინციპი შეესაბამება ამერიკულს, ამაში გასაკვირი არაფერია. მცირეოდენი გადაჭარბებით ჯ. გელბრეიტი და იან ტინბერგენი თანამედროვე სამრეწველო სახელმწიფოებს კონვერგენციულს უწოდებენ. ახალი სამყარო არ არის კაპიტალისტური, მასში ჭარბობს შერეული ეკონომიკები. არადა კ. მარქსი თვლიდა, რომ კაპიტალიზმი სოციალიზმში ტრანსფორმირდება და ეს გადასვლა თავდაპირველად უფრო განვითარებულ ქვეყნებში მოხდებაო. გარდამავალი ფაზის შემდეგ სოციალიზმი კომუნიზმად იქცევაო.

ფაქტობრივად ეს ლენინისეული ექსპერიმენტი ბოლშევიკებმა დაიწყეს ეკონომიკურად ჩამორჩენილ რუსეთის ხელისუფლების ხელში ჩაგდებით. 1917 წლიდან საბჭოთა კავშირში შეიქმნა ტოტალიტარული სახელმწიფო და ეკონომიკური [illegible].

"ეკონომიკს"-ში შესწავლილია საბჭოთა ეკონომიკა, რადგან თანამედროვე სამყაროში ძლიერდება რა იდეოლოგიური და სამხედრო მეტოქეობა, დასავლეთის ქვეყნების ლიდერები დაინტერესებული იყო ყო-

ფილ სსრ კავშირში ეკონომიკურ მოვლენებზე, იქ მიმდინარე რეფორმე-ბზე და ალტერნატიულ სოციალისტურ მოდელებზე.

მისი ავტორების აზრით, ე. ლიბერმანის იდეებზე დაფუძნებული 60-იანი წლების რეფორმა საკმაო და რადიკალური იყო, თუმცა არ ითვალისწინებდა, რომ მისი განვითარება ლანგეს გზით (ალბერტ ლანგე, 1828–1875, გერმანელი ეკონომისტი მარქსიზმს ევოლუციური სოციალიზმის თეორიას უპირისპირებდა – კ.ე.), ე.ი. საბაზრო სო-ციალიზმის გზით, უნდა წასულიყო.

ამ წელზე ბევრი ხნის წინ ფ. ლისტმა (1841) ნაშრომში "პოლი-ტიკური ეკონომიის ეროვნული სისტემა" საზოგადოების ისტორია სტა-დიებად დაყო. ფ. ლისტის, კ. მარქსის და სხვა ეკონომისტების თეორიების შესაბამისად, საზოგადოების ევოლუცია ერთი მიმართულე-ბით ხდება და თანდათანობით განიცდის პროგრესს.

პრიმიტიული კულტურები, რომელთა საფუძველსაც წარმოადგენდა ნადირობა და მიწათმოქმედება, შეიცვალა ფეოდალიზმით. შუა საუკუ-ნეებში ჩამოყალიბდა მიწის საკუთრებას დაფუძნებული ბრძანებლური მმართველობა. რენესანსმა და რეფორმიზმმა მოამზადა სამრეწველო რევოლუცია და ფეოდალიზმი შეიცვალა კაპიტალიზმით. მარქსიზმის მიმდევრები თვლიდნენ, რომ კაპიტალიზმმაც უნდა დატოვოს არენა და ადგილი დაუთმოს სოციალიზმს ან კომუნიზმს. თუმცა მოვლენები ყო-ველთვის ვერ ერგება ისტორიკოსების და ეკონომისტების მიერ შე-მუშავებულ სქემებს. ვიქტორიანული კაპიტალიზმი (ე.ი. ძველ რო-მაული, ბიოლოგიური – კ.ე.) შეიცვალა კეთილდღეობის სახელმწიფოთი.

XX საუკუნის მეორე ნახევრის უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა იაპონიის, გერმანიის, იტალიის, სკანდინავიის ქვეყნების, [illegible] იგი ამერიკის ეკონომიკური ზრდის ტემპები. მათ უკუაგდეს ბევ-რი სოციალური წინასწარმეტყველება, რომლებიც თვლიდნენ, რომ კა-

პიტალიზმი. "ჟანგბადის ბალიშის შემწეობით დგას ფეხზე". XX საუკუნის მესამე მეოთხედის რეალიები მოწმობს, რომ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა უკეთ ფუნქციონირებს, ვიდრე წინა წლებში, ან კომუნისტური ეკონომიკის პირობებში.

ამასთან ერთად, 70-იან წლებში წარმოიშვა სტაგფლაცია (შეჩე-რება – კ.მ.), რომელიც ვერც ერთმა სწავლულმა ვერ იწინასწარმეტყველა. ჩვენ ვცხოვრობთ იდუმალებით აღსავსე მსოფლიოში.

ხოლო ხანებში გამოიკვეთა ეკონომიკური განვითარების შვიდი ძირითადი ტენდენცია, კერძოდ:

1. მოსახლეობა იზრდებოდა სწრაფად, მაგრამ უფრო დაბალი ტემპებით, ვიდრე კაპიტალის დაგროვება, რის შედეგადაც ამაღლდა კაპიტალშეიარაღება.

2. თვალსაჩინოდ შეინიშნებოდა რეალური ხელფასის ზრდის ტენდენცია;

3. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხელფასის დამოკიდებულება საკუთრებაზე საერთო შემოსავალთან უმნიშვნელოდ იცვლებოდა;

4. კაპიტალზე შემოსავლის დონის დაცემის ნაცვლად (სარგებლის რეალური დონე), შეინიშნებოდა მისი მერყეობა საქმიან ციკლში;

5. მოგების დონე, მისი მუდმივად ნელი ზრდის ნაცვლად, 1900 წლიდან ეცემოდა;

6. ეროვნული დანაზოგების დონე ეროვნული წარმოების მოცულობის მიმართ ხანგრძლივი დროის განმავლობაში უცვლელი იყო;

7. უკანასკნელი 85 წლის მანძილზე ეროვნული პროდუქტი მეტ-ნაკლებად მუდმივი ტემპებით იზრდებოდა.

თქმულის მიუხედავად, პლანეტაზე მცხოვრები 5 მილიარდი ადამიანიდან, ერთი მილიარდი აბსოლუტურ სიღარიბეში ცხოვრობს. ზოგიერთი ერი მოსახლეობის სიმცირით გამოირჩევა, ზოგიერთი პირიქით, დიდი

რიცხოვნობით, თანაც მაღალი სიმჭიდროვით. ამ გარემოებათა ახსნას უკავშირდება სახლთმოსახლეობის თეორია.

მოსახლეობის ეკონომიკასთან კავშირის უფრო ადრინდელ მკვლევართა ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო თ. მალთუსი. მისი წიგნი "სახლთმოსახლეობის პრინციპების შესახებ" (1798 წ) ღირსშესანიშნავ მოვლენად იქცა, რადგან დიდი გავლენა მოახდინა სახლთმოსახლეობის თეორიის განვითარებაზე. მალთუსმა პირველმა გამოიყენა ბ. ფრანკლინის დასკვნები ამერიკულ კოლონიებში მოსახლეობის დაახლოებით ყოველ 25 წელიწადში გაორკეცების შესახებ და დაასკვნა, რომ მოსახლეობის ზრდა გეომეტრიული პროგრესით უნივერსალური ტენდენცია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოსახლეობა იმდენად სწრაფად იზრდება, რომ ადამიანები დედამიწაზე მეტად შეზღუდულად გრძნობენ თავს.

ამ "რეცეპტების" მიხედვით, ზოგიერთ ქვეყანაში აქტიურად გამოიყენებოდა შობადობაზე კონტროლის სხვადასხვა ღონისძიება: საგანმანათლებლო კომპანიიდან სტერილიზაციამდე. მოქმედებაში იყო ყველაფერი, ძალიან ხშირად უგულებელყოფდნენ რელიგიის პოსტულატებსაც კი. კლასიკურ მაგალითად გამოდგებოდა ჩინეთი – 1 მლრდ-ზე მეტი მოსახლეობით. შედეგებმაც, თუმცა ნელა, მაგრამ თავი მაინც იჩინა – მოსახლეობის ზრდა სტაბილური გახდა. ინდოეთის მოსახლეობის ორი მესამედის ბრძოლა სიღარიბესთან ჯერ კიდევ შობადობის შემცირების ღონისძიებებით იფარგლება..

აზიისა და აფრიკის ზოგიერთი ღარიბი ქვეყანა დაჩაგრულია ბუნებითაც, თავისი რესურსები ძლივს ჰყოფნის მინიმალური უზრუნველყოფისათვის. ამიტომ განვითარებადი ქვეყნების ვალი 70-იან წლებში განუწყვეტლივ იზრდებოდა. ზოგიერთ განვითარებად სახელმწიფოში მთელი ექსპორტი საგარეო ვალებით შთაინთქა.

თქმულიდან გამომდინარე, "ეკონომიკს"-ის მიხედვით, საერთაშორისო

ვაჭრობა სასიცოცხლოდ აუცილებელია. ის ერისათვის ხელმისაწვდომს ხდის საქონლის დიდ მასებსა და მრავალფეროვნებას, ვიდრე ეს შესაძლებელია საკუთარი წარმოების ჩარჩოებში. საერთაშორისო ვაჭრობას საფუძვლად უდევს რესურსებში, გემოვნებასა და ტექნოლოგიებში ქვეყნებს შორის სხვადასხვაობა.

ამ საქმეში დიდია ტარიფებისა და კვოტების გავლენა. ტარიფი - ეს იმპორტზე დაწესებული ტაქსაა. მაგალითად, აშშ-ში ავტომობილებზე ტარიფი 1,7 პროცენტს უდრის. კვოტა იმპორტის მოცულობის ზღვარია. აშშ-ში კვოტა ისეთ საქონელზე არსებობს, როგორიცაა ყველი, ტე-ქსტილი, ძროხის ხორცი.

ამრიგად, - ნათქვამია "ეკონომიკს"-ის ეპილოგში, მომავალი ჩვენთან უფრო ბნელია, ვიდრე ამჟამად. ძველმოდური პრობლემები მალე ისტორიის ბარგი იქნება, ნაცვლად ამოტივტივდება ახალი და გაუთვალისწინებელი. შემცირებათ უმუშევრიანობასა და მეცნიერული აღმოჩენე-ბის ძალებს შორის ბრძოლის პრობლემა რჩება. ნაცვლად ისტორია ნომა-ვალს მეტყველებს, ჩვენ შევძლებთ ცალკეული ეკონომიკური შეჯიბრებითობის კაპიტალიზმების განვითარებას მომავალ ათწლეულებში. თუ კი ეკონომიკუ-რი პროგრესი გაგრძელდება, მაშინ ბევრი კლასიკური ეკონომიკური შეხედუ-ლება წამოაყენებს ცალკეული ჯგუფის ცხოვრების გაუმჯობესების ეკონომი-კურ საკითხებს: რისთვისაა საჭირო? როგორ გამოვიყენებთ ეკონო-მიკური პროგრესით გამოთავისუფლებულ რესურსებსა და დროს?

ასეთია ცხოვრების წინსვლისა და განვითარების დიალექტიკა:

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

პ. სამუელსონი, ვ. ნორდჰაუსი, ეკონომიკსი, სახელმძღვანელო, ძირითადი შინაარსი, თბ., 1992.

# თემა 5. საბაზრო ეკონომიკა და მისი ძირითადი ა ს პ ე ქ ტ ე ბ ი

ძირითადი საკითხები:

1. მარკეტინგის კონცეფცია;
2. საბაზრო ეკონომიკის არსი და ფუნქციონირება;
3. ღირებულების კანონი;
4. რეგულირებადი ბაზრის მექანიზმი;
5. ფასწარმოქმნა;
6. საბაზრო ურთიერთობის გამოცოცხლება;
7. ბაზრის რესპუბლიკური ასპექტები.

**მარკეტინგის კონცეფცია.** ცნება "მარკეტინგმა" ინგლისური "მარკეტ"-იდან (ბაზარი, რინოკ) აიღო სათავე და თანამედროვე ეკონომიკური საქმიანობის სისტემად იქცა, კომერციის სული და გული გახდა.

ფერმინსა ლექსიკონში "მარკეტინგი" განმარტებულია, როგორც ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც მოიცავს საქონლისა და მომსახურების მოძრაობას მწარმოებლიდან მომხმარებლამდე.

მარკეტინგის სამშობლო აშშ-ია. პირველად ეს ტერმინი გამოიყენეს 1902 წელს კალიფორნიის სასწავლებელში, 1905 წელს კი პენსილვანიის უნივერსიტეტში. მაშინ მარკეტინგი გულისხმობდა ვაჭრობის, გაცვლისა და განაწილების პრობლემებში ჩაკიდებულ ლექციების კურსს.

მას შემდეგ მარკეტინგმა ცენტრალური ადგილი დაიკავა კონცერნების, სუპერ-მონოპოლიებისა და დიდი გაერთიანებების საქმიანობაში.

და მაინც, მარკეტინგის, როგორც მეცნიერება-საქმიანობის ერთიანი, დასრულებული კონცეფცია ჯერ კიდევ არაა შექმნილი. იგი სხვადასხვანაირად არის განმარტებული.

ამ თვალსაზრისით ერთობ დიდ ინტერესს იწვევს ამერიკელი სოციოლოგის რ. ბარტელსის წიგნი "მარკეტინგის თეორია და მეტათეორია". აქ მარკეტინგი დახასიათებულია, როგორც XX საუკუნის უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური ფენომენი. მისი აზრით, მარკეტინგის მიზანია მთელი საზოგადოების (მილიონერის, უმუშევრის, მონოპოლისტის, დაქირავებული ნეგრის ...) მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ლ. როჯერსმა 1968 წელს ლონდონში გამოცემულ წიგნში – "მარკეტინგი" კონკურენციულ ეკონომიკაში" – გაარჩია თეორიული და პრაქტიკული მარკეტინგი, ახსნა მარკეტინგის ბიზნეს – მენეჯმენტთა კავშირი. მისმა კოლეგამ და თანამოაზრემ, ეკონომისტმა კ. ფოლ-კერმა მარკეტინგი მიიჩნია როგორც მოთხოვნა-მიწოდებას შორის წონასწორობის ძირითადი საშუალება.

ამერიკელი პროფესორის, პ. დრაკერის განმარტებით, მარკეტინგი მოიცავს წარმოებას, გაცვლას, განაწილებას, მომსახურებასა და მოხმარებას*.

მარკეტინგის კონცეფციის შედარებით გაშლილი დასაბუთებაა გადმოცემული მარკეტინგის ამერიკული ასოციაციის ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენლის პროფესორ ფილიპ კოტლერის წიგნში "მარკეტინგის საფუძვლები". ამავე პრობლემას ეძღვნება ლ. ევანსისა და ბ. ბერმანის სქელტანიანი წიგნი "მარკეტინგი". იგი ახლახან ინგლისურიდან თარგმნეს რუსმა სპეციალისტებმა. ამ ნაშრომში სრული სიცხადით არის გადმოცემული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა წარმოებისა და მყიდველთა მოთხოვნათა ბალანსის აუცილებლობა, მომხმარებელთა ქცევისა და ეფექტური ვაჭრობის პრინციპები, მოწინავე ფირმების გამოცდილება და სხვ.

* რუსულ ლიტერატურაში მარკეტინგი პირველად მოიხსენიეს 1974 წელს, ქართულში კი 1976 წელს (იხ. ჟურნ. "ეკონომისტი", 1974, № 3,

გვ. 12-22).

მარკეტინგის თანამედროვე კონცეფციის აქტუალურ საკითხებს მიუძღვნეს თავიანთი ნაშრომები და სტატიები ქართველმა სწავლულმა ეკონომისტებმა: პროფ. ლ. ძნელაძემ, გ. პაპავამ, რ. მითაიშვილმა, ც. თერთაულმა, გ. ჯოლიამ, ს. გელაშვილმა, ი. მესხიამ, ი. აბესაძემ, ჯ. ჩხიკვაძემ და სხვებმა.

ამრიგად, მარკეტინგის კონცეფცია ერთობ საგულისხმო ევოლუციას განიცდის. მისი სრულყოფა ეფუძნება წარმოების ზრდას, მეწარმეობის განვითარებას, კომერციულ საქმიანობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მარკეტინგის კონცეფციის ფორმირებას საფუძვლად უდევს პოტენციური მომხმარებლის საჭიროებათა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების იდეა.

მარკეტინგის კონცეფცია თავის თავში შეიცავს საბირჟო საქმიანობის განვითარებას. ამ პროცესს ერთობ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ბაბილონსა და ძველ ეგვიპტეში ირჩევდნენ ისეთ მუდმივ ადგილს, სადაც იმართებოდა განსაზღვრული სახის ბაზრობები. თუმცა პირველი საერთაშორისო ბირჟა, რომელიც თანამედროვე ყაიდის სავაჭრო ფუნქციას ესადაგებოდა, გაჩნდა 1531 წელს ბელგიის ქალაქ ანტვერპენში. მის საკუთარ, მუდმივ შენობას ამშვენებდა წარწერა: "ყველა ენის ხალხთა სავაჭრო". ამასთან შედარებით თანამედროვე ხასიათის მქონე ბირჟები წარმოიშვა XVIII საუკუნეში, ჯერ დიდ ბრიტანეთში, ცოტა მოგვიანებით კი, აშშ-ში და გერმანიაში. იმავე საუკუნის ბოლოს ისინი "გამოჩნდნენ" შვეიცარიაში და იაპონიაში.

მაშინ ბირჟები მეორეხარისხოვან როლს ასრულებდნენ. საბირჟო საქმიანობის ძირითად მასას წარმოადგენდა მცირე რაოდენობის სახელმწიფო ქაღალდები. საქმის ვითარება შეიცვალა XIX საუკუნის

დასაწყისიდან, კერძოდ მას შემდეგ, როცა კაპიტალის დაგროვებამ სწრაფად იწყო ზრდა. ამ პროცესთან ერთად მატულობდა რანტიეთა, ე.ი. იმ ადამიანთა რიცხვი, რომელთაც „აინტერესებდათ" იოლი საქმიანობა, კერძოდ, სამეთვალყურეო ყოფნა. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო მევახშეობას, იმას, რასაც დიდი ილია, დაუნდობლად კიცხავდა და გმობდა.

ყოველივე ამის შესახებ იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ უფრო დაზუსტებით ვთქვათ: მატერიალური დოვლათის შექმნის პროცესისაგან დაშორებული წმინდა-ფულის კომერცია, რომელიც ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში სულ უფრო და უფრო ფართო მასშტაბებს ღებულობს, მეტისმეტად უარყოფითად მოქმედებს სამომხმარებლო ბაზრის ნამდვილ დანიშნულებაზე: ზრდის დეფიციტს, აძვირებს პროდუქციას, ქაოსს იწვევს ეკონომიკაში. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საბაბით „მომუშავე" კომერციული მაღაზიები სწორედ მევახშეობის გზით „აღწევენ" სამრეწველო საქონლისა და სურსათ-სანოვაგის ფასების უსაზღვრო ზრდას.

ასეთია მარკეტინგული კონცეფციიდან გამომდინარე მოვლენების მოკლედ მიმოხილული ზოგადი შედეგები.

საბაზრო ეკონომიკის არსი და მნიშვნელობა. ბაზარი – საზოგადოებრივი შრომის ნივთიერი გაცვლის პროცესი – იყო, არის და კვლავაც იქნება საკუთრებითი ურთიერთობის არსებობის ძირითადი პირობა. ბაზრის მეშვეობით საქონელმწარმოებელნი სხვისი შრომის პროდუქტს მხოლოდ საკუთარი პროდუქტის გასხვისების გზით ითვისებენ და ამგვარად ფულის პატრონნი ხდებიან. ფულით საქონელს ყიდულობენ, საქონლით კი ფულს. მაშინ, თანამედროვე პირობებში სწორედ ბაზარი ხდება საკუთრების განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზაციის ძირითადი გზა.

ბაზარი გაცვლის დასაწყისიც არის და დასასრულიც. ამიტომ ის სიმდიდრეც, რომლისკენაც ქრემატისტიკა (ფულის შეძენის ხელოვნება – – კ.ე.) მიისწრაფვის, უსაზღვროა. ამდენად არამც და არამც არ შეიძლება ქრემატისტიკის ეკონომიკასთან შერევა. პირველი, როგორც ითქვა, ფულის გამრავლებას გულისხმობს, მეორე კი მისგან განსხვავებულ რამეს – საერთო კეთილდღეობას. თუმცა ისინი ერთმანეთში გადადიან და ეს, სამწუხაროდ, თავისუფალი ვაჭრობის (ფასების) პირობებში "ბაზარნიკებს" საბაბს აძლევს ფულის შენახვა და მისი უსაზღვრო გამრავლება ეკონომიკის საბოლოო მიზნად მიიჩნიონ.

აქ, ალბათ, ურიგო არ იქნება გავიხსენოთ არისტოტელეს შეხედულება ამ საკითხზე: ქრემატისტიკა ორგვარია. ერთი ვაჭრობას ეკუთვნის, მეორე კი ეკონომიკას. უკანასკნელი აუცილებელი და ქების ღირსია, ხოლო პირველი დაფუძნებულია რა მიმოქცევაზე, სამართლიანად არის გაკიცხული, რადგან იგი არ არის ბუნებრივი და ურთიერთმოტყუებაზეა აგებული. ამიტომ მევახშეობა ყველას სამართლიანად სძაგს, რადგან აქ თვით ფულია შეძენის წყარო და არ იხმარება იმისათვის, რისთვისაც იყო შემოღებული.

დიახ, ის რაც ანტიკურ ხანაში იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა, დღეს არ [illegible] თანამედროვეებმა. ამის გარდა ზოგიერთმა ბაზრის ცნებაში თითქმის უარყო ცნობილი თეორია იმასთან დაკავშირებით, რომ ფასების განმსაზღვრელია არა მითიური სურვილი და საბაზრო დახლი, არამედ მიმოქცევის საშუალებათა მასა, ე.ი. შექმნილი მატერიალური დოვლათი.

ამრიგად, საბაზრო ურთიერთობის მომხრეთა ბანაკი არაერთგვაროვანია. მისი ნაწილი სრულ თავისუფლებას მოითხოვს: ვაე, ფასებიც სპონტანურად მიწოდებისა და მოთხოვნების შესაბამისად განისაზღვროს.

საკითხის განხილვას ართულებს ისიც, რომ თავი იჩინა სხვადასხვა შინაარსის თეორიათა ურთიერთდაპირისპირების ტენდენციამ. ასე იქმნის, მაგალითად, "თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე" და "რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაზე". პირველი თეორია რამდენიმე საუკუნის განმავლობაში იქმნებოდა და საკმაოდ მკაფიოდ ჩამოყალიბდა, მაშინ როცა, რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის თეორია მხოლოდ XX საუკუნეში შეიქმნა და ახლაც სრულყოფის პროცესშია.

თქმულიდან გამომდინარე, დისკუსიის მონაწილე სპეციალისტები დიამეტრულად განსხვავებულ შეფასებებს იძლევიან. ერთმა ნაწილმა, მაგალითად, საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის პროცესს "ჩრდილოვანი ეკონომიკის" ოქროს ხანა" უწოდა. მათი აზრით, საყოველთაო საქონლად ქცეული ფული ძალაა, რომელიც უსამართლო ომს გამოგვიცხადებს.

საბაზრო ეკონომიკის შეფასებისას წინა პლანზე დგება კერძო საკუთრების შემოღებისა და გავრცელების საკითხი. ამასთან, უპირატესობა ენიჭება შერეულ ეკონომიკას, კერძოდ: მწარმოებელთა თავისუფალ ასოციაციებს, სააქციო საზოგადოებებს, საწარმოო და სამომხმარებლო კოოპერაციას, მოიჯარეთა და მეწარმეთა გაერთიანებებს, ე.ი. ყოველივე იმას, რამაც უნდა დაგვაძლევინოს სახელმწიფო საკუთრების საყოველთაო ბატონობასთან და მის მონოპოლიურ მდგომარეობასთან დაკავშირებული ნეგატიური შედეგები. სწორედ ეს არის საკუთრების განსახელმწიფოებრიობის გზა.

ამრიგად, ბაზარი განაპირობებს რა ჩვენში დამკვიდრებული მეურნეობრიობის ძირეულ გარდაქმნას, უაღრესად პრინციპულ ცვლილებებს გამოიწვევს წარმოებით ურთიერთობაში და, საბოლოო ანგარიშით, მთელი ეკონომიკის თვისებრივად ახალი სახის ფორმირებაში. არადა, მსოფლიო პრაქტიკა ცხადყოფს, თანამედროვე რეგულირებადი სისხლსავსე

ბაზრის გარეშე შეუძლებელია საწარმოო კოლექტივების, ცალკეული ადამიანების ეკონომიკური თავისუფლება, საწარმოო დამოუკიდებლობა. ამასთან ერთად, ამ ფუნდამენტური გარდაქმნების პირობებში მეტად მკაფიოდ უნდა ვხედავდეთ ყველა რეალობას: ეკონომიკურსაც, პოლიტიკურსაც, ფსიქოლოგიურსაც და ეროვნულსაც. და, რაც მთავარია, უნდა გავითვალისწინოთ არა მარტო საკუთარი გამოცდილება, არამედ მსოფლიო ცივილიზაციის განვლილი გზაც.

საბაზრო ეკონომიკა თავისთავად არ არის და ვერც იქნება ყველა ჩვენი ნაკლის დაძლევისა და აყვავების საშუალება. იგი მხოლოდ მაშინ იძლევა სათანადო ნაყოფს, სადაც რეალურად ერწყმის ახალი ტექნოლოგიების ათვისებასა და სტრუქტურული პოლიტიკის განხორციელებას. საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად საქართველოს სჭირდება ისეთი სრულყოფილი პროგრამა, რომელიც პრაქტიკულად უზრუნველყოფს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ზრდასა და, აქედან გამომდინარე, ჩვენი ცხოვრების დონის ამაღლებას.

<u>ღირებულების კანონი.</u> ღირებულების კანონი სასაქონლო წარმოების ეკონომიკური კანონია. მისი მოთხოვნის შესაბამისად, საქონელთა გაცვლა უნდა ხდებოდეს მათ წარმოებაზე დახარჯული საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის მიხედვით. მაგრამ, იმის გამო, რომ მოთხოვნილებისა და მიწოდების თანაფარდობაში მერყეობათა გავლენით საქონელთა ფასები ხშირად იხრება მათი ნამდვილი ღირებულებიდან ზევით ან ქვევით, ამას ზოგან, ზოგრი და ზოგჯერ ღირებულების კანონის რაღაც ნაკლად მიიჩნევენ. ფაქტობრივად ასე არ არის. ღირებულებიდან ფასების გადახრა ღირებულების კანონის რაღაც ნაკლოვანების შედეგი კი არ არის, არამედ, პირიქით, მისი განხორციელების ერთადერთი შესაძლებელი წესია. ამავე, როგორც მსოფლიო მეცნიერების განვითარების ბოლოდროინდელი პრაქტიკა ადასტურებს, საზოგადოება-

ში, სადაც წარმოება ბრმად მოქმედთა ხელშია, მხოლოდ ბაზარზე ფასების სტიქიური მერყეობა ატყობინებს საქონელმწარმოებლებს, თუ რა პროდუქტებია წარმოებული ჭარბი ან ნაკლები რაოდენობით მოსახლეობის გადახდისუნარიან მოთხოვნილებასთან შედარებით. ამ შემთხვევაში მხოლოდ ღირებულების გარშემო ფასების სტიქიური მერყეობა აიძულებს საქონელმწარმოებლებს გააფართოონ, ან შეამცირონ ამა თუ იმ საქონლის წარმოება. ფასების მერყეობის გავლენით საქონელმწარმოებლები ისწრაფვიან იმ დარგებისაკენ, რომლებიც მოცემულ მომენტში უფრო ხელსაყრელი ჩანს.

ისტორიიდან გამომდინარე. აღსანიშნავია, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა სწრაფი ტემპით არ იწყება. მას ერთი ხანგრძლივი ისტორია აქვს. ბაზარმა გამოიარა ათასწლოვანი ევოლუცია: საქონლის სტიქიური გაცვლიდან ღრმად ორგანიზებულ მექანიზმამდე. ამასთან, იგი დაკავშირებულია სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის წარმოშობა-განვითარებასთან და სწორედ მასზე დაფუძნებული ღირებულების კანონის მოთხოვნასთან.

ჯერ კიდევ ანტიკური ქვეყნის დიდმა მკვლევარმა არისტოტელემ (IV ს. ძვ. წ. აღ.) ღირებულების ფორმას, ისე როგორც აზროვნების, საზოგადოებისა და ბუნების მრავალ ფორმას, პირველმა გაუკეთა ანალიზი. გაცვლა, – ამბობდა იგი, – არ შეიძლება ტოლობის გარეშე, ხოლო ტოლობა – თანაზომადობის გარეშე. თუმცა მონურ შრომაზე დამყარებული ბერძნული საზოგადოების ისტორიულმა შეზღუდულობამ, რომელშიც იგი ცხოვრობდა, საშუალება არ მისცა ეთქვა, რომ აღნიშნული ტოლობის საფუძველი ადამიანის შრომაა. არისტოტელეს შემდეგ, მრავალი საუკუნის მანძილზე, ეს "საიდუმლოება" ამოუხსნელი იყო. ამიტომ XVII საუკუნეში ინგლისელი მეცნიერის უილიამ პეტის მოძღვრების ერთ-ერთ სერიოზულ თემად იქცა ღირებულების ახსნა. ანა-

ლოგიური თეორიები თავისებურად აისახა ე.წ. კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის განვითარებაში. მანუფაქტურული პერიოდის დიდმა ეკონომისტმა ადამ სმიტმა (1723–1790) ღირებულების სხვადასხვაგვარი განსაზღვრა მოგვცა. დავიდ რიკარდომ (1772–1823) კი თეორიულად დაასაბუთა მისი შინაარსი: – ღირებულებას მხოლოდ შრომა განსაზღვრავსო.

თუმცა მალე, ღირებულების სფეროში მომუშავე ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლებმა წამოაყენეს მოთხოვნის და მიწოდების, წარმოების ხარჯებისა და სარგებლიანობის თეორიები. მეტიც, ფრანგმა ეკონომისტმა სეიმ (1767–1832) ღირებულების წყაროდ გამოაცხადა "წარმოების სამი ფაქტორი": შრომა, კაპიტალი, მიწა. ეს დასჭირდა იმისათვის, რომ ეთქვა: ამ სამი ფაქტორიდან თითოეულის მფლობელი იღებენ თავიანთ "კუთვნილ" შემოსავალს: მუშა – ხელფასს, კაპიტალისტი – მოგებას (ანუ პროცენტს), მიწათმფლობელი – რენტას. ამიტომ, მისი აზრით, არავითარი წინააღმდეგობა არ არის წარმოებასა და მოხმარებას შორისო. სამი ფაქტორის ამ ვულგარულ თეორიას დღესაც სხვადასხვა ჰანგზე ამღერებენ სუბიექტურ-ფსიქოლოგიური მიმართულების მქონე ეკონომისტები.

სამრეწველო გადატრიალების ეპოქაში ცალკეული წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის წარმომადგენლებიც შეჩერდნენ ღირებულების პრობლემებზე. ამ თეორიას საპატიო ადგილი ეკავა, მაგალითად, პრუდონის (1809–1865) ეკონომიკურ მოძღვრებაში.

ღირებულების შრომითმა თეორიამ განსაკუთრებული ადგილი დაიკავა კარლ მარქსის (1818–1883) შემოქმედებაში. საქონლის, მის სახმარ ღირებულებასა და ღირებულებას შორის წინააღმდეგობის გამოკვლევისას მან აღმოაჩინა საქონელში მოქცეული შრომის ორმაგი ხასიათი. ეს არის, ერთი მხრივ, კონკრეტული შრომა, რომელიც საქონ-

ლის სახმარ ღირებულებას ქმნის, და, მეორე მხრივ, აბსტრაქტული შრომა, რომელიც მის საცვლელ ღირებულებას ქმნის. შრომის ორადი ხასიათის გამოაშკარავებით ახსნა მან თავისებურად კაპიტალისტური წარმოების წესის ყველა ძირითადი მოვლენა, ცხადყო, რომ ღირებულება ნივთი კი არ არის, არამედ ადამიანთა წარმოებითი ურთიერთობაა, რომელიც ნივთობრივი გარსითაა დაფარული. ამით მან გახსნა საქონლური ფეტიშიზმის საიდუმლოება, დამაჯერებლად გამოიკვლია მისი ისტორიული განვითარება გაცვლის პირველი ჩანასახებიდან საქონლური წარმოების სრულ ბატონობამდე.

ღირებულების კანონი არის თუ არა წარმოების რეგულატორი? -

არც თუ ისე შორეულ წარსულში ამ კითხვის საპასუხოდ ეკონომისტ-ები მოწვეულნი კითხვას, გაარკვევდა ის, თუ რომელ ფორმაციას ეხებოდა საქმე: კაპიტალიზმს თუ სოციალიზმს. აქედან გამომდინარე, ღირებულების კანონის მოქმედების დასახასიათებლად ვამბობდით, რომ:

- იქ საქონელთა წარმოებას ახორციელებენ განკერძოებული კერძო საქონელმწარმოებლები, აქ კი, პირიქით, საქონლური წარმოება ჩაყენებულია ჩარჩოებში;

- იქ მოქმედებს კონკურენციისა და ანარქიის კანონი, აქ კი, პირიქით, ღირებულების კანონის მოქმედება შეზღუდულია სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების კანონის მოქმედებით;

- იქ არსებულ წარმოებასა და გაცვლას სტიქიური ხასიათი აქვს, აქ კი, პირიქით, ყველაფერი ორგანიზებულია სოციალისტური სახელმწიფოს მძლავრი მეურნეობრივი საქმიანობით;

- იქ წარმოება ბრმად მოქმედი კერძო მესაკუთრეთა ხელშია და, ამდენად, ყოველთვის სტიქიურად მიმდინარეობს, აქ კი, პირიქით, სახელმწიფო წარმართავს წარმოებას და გეგმიანი წესით აწესებს ფასებს;

- იქ ღირებულების კანონი მოქმედებს, როგორც სტიქიური ძალა

და, ამდენად, ბატონობს ადამიანებზე, აქ კი, პირიქით, სწორედ იგი ეხმარება მუშაკებს, რათა რაციონალურად უხელმძღვანელონ წარმოებას;

– იქ ღირებულების კანონის გარდუვალი თანამგზავრია კრიზისები და უმუშევრობა, აქ კი, პირიქით, მისი მეშვეობით ვაღწევთ წარმოების ზრდის მაღალ ტემპებს;

აი ასეთი და სხვა მსგავსი არგუმენტების შემდეგ ხმამაღლა გავიძახოდით, რომ ღირებულების კანონი, იქ, კაპიტალისტური მეურნეობის ფარგლებში არა მარტო წარმოების, არამედ ფასების დაწესების რეგულატორიცააო, აქ კი, პირიქით, ასე, რომ იყოს, მაშინ პირველ რიგში განვითარდებოდა ყველაზე რენტაბელური დარგები და საწარმოებიო.

ყოველივე თქმულის გამო, "ვამტკიცებდით", რომ იქ, მაქსიმალური კაპიტალისტური მოგებისათვის ბრძოლა მშრომელთა მასიურ სილატაკეს იწვევსო, მაშინ როცა ჩვენში საბჭოთა სახელმწიფო თანმიმდევრულად ახორციელებს მოხმარების საგნების, ფასების შემცირების პოლიტიკას, ხალხის კეთილდღეობის ამაღლების ინტერესებისათვისო.

დიახ, სწორედ სასაქონლო ფულადი ურთიერთობისა და, აქედან გამომდინარე, ღირებულების კანონის არსის ასეთმა ხელოვნურმა შეზღუდვებმა, ფორმალურმა შეფასებებმა და მისი მოთხოვნების მიჩუმათებამ მიიყვანა ქვეყანა საგანგებო ღონისძიებამდე, რეგულარულად სახალხო ეკონომიკის შეწოლებისა და აღორძინება-განვითარების აუცილებლობამდე. არადა, ჩვენში ათეული წლების მანძილზე "გულმოდგინედ" დანერგილი ბიუროკრატიულ – ადმინისტრაციული მართვის წესი "ბოჭავდა" ღირებულების კანონის მოთხოვნებსა და ინიციატივას.

ღირებულების კანონის მოქმედების სწორად შეცნობა და ეფექტურად გამოყენება ხელს უწყობს საწარმოო ძალთა სწრაფ განვითარებას.

როგორ ხდება ეს? როგორც უკვე ითქვა, საქონლის ღირებულების სიდიდე საზოგადოებრივად აუცილებელი შრომით განისაზღვრება. ამიტომ საქონელმწარმოებელნი, რომელნიც პირველნი იყენებენ უფრო სრულყოფილ ტექნიკასა და მართვის საუკეთესო მეთოდებს, თავიანთ საქონელს აწარმოებენ ნაკლები ხარჯებით და ყიდიან საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის შესაბამისი ფასებით. ამით ისინი იღებენ ნამატ წილს და სამართლიანად მდიდრდებიან. ეს დანარჩენ საქონელმწარმოებლებს აიძულებს, რომ თავიანთ საწარმოებში შემოიღონ ტექნიკური და ტექნოლოგიური გაუმჯობესებანი. ამრიგად, ცალკეულ საქონელმწარმოებელთა დაქსაქსული მოქმედების შედეგად, რომლებიც პირად სარგებლობას ესწრაფვიან, ხდება ტექნიკური პროგრესი, ვითარდება საზოგადოების საწარმოო ძალები.

რეგულირებადი ბაზრის მექანიზმი. ასპარეზგახსნილი ბაზრის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭიროა ისეთი მოქნილი ეკონომიკური მექანიზმი, რომელიც ვერ შეაფერხებს სამომხმარებლო საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების უწყვეტ პროცესს. ასეთმა მექანიზმმა თავიდან უნდა აგვაცილოს ის სამწუხარო და ნეგატიური ტენდენციები, რაც ჩვენთან არის დამკვიდრებული რესურსებით მომარაგების პრაქტიკაში, კერძოდ, დეფიციტის სისტემატიური ზრდა წარმოების საშუალებებზე და ნედლეულზე.

ამიტომ საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლისას უფრო მეტად მოგვიწევს ზრუნვა იმისათვის, რომ ვიპოვოთ საჭირო რესურსები, ვაჭარი და მუშტარი. ვეძებოთ მათთან ყიდვა-გაყიდვის ურთიერთმისაღები პირობები. ამასთან, ნათლად გაირკვეს, რა უნდა ქნას საწარმომ, რომელსაც აღარავინ გამოუყოფს ფონდებსა და ლიმიტებს. ამისათვის საჭიროა კონიუნქტურისა და მარკეტინგის კარგად ცოდნა. ამას კი სათანადო კადრები სჭირდება. არადა, ვაჭრობა, ზოგიერთს რომ ჰგონია, მარტო გა-

ცვლის მასიური ფორმა კი არ არის, არამედ, უპირველეს ყოვლისა, წარმოების მამოძრავებელი და რეგულატორია. ტყუილად კი არ ამბობენ: გასაღება წარმოების გაგრძელებააო.

თანამედროვე ცივილიზებული ბაზრის ძირითადი ცნებები (საქონელი, მოთხოვნა, რეკლამა, შეფუთვა, ნიშანდება, გაცვლა, გარიგება, ბაზარი) მძაფრად გამოხატავენ თვით საქონლის ხარისხის მთავარ მახასიათებლებს, პროდუქციის კონკურენტუნარიანობასა და კომერციული საქმიანობის მექანიზმს.

თქმულის მიუხედავად, სამწუხაროდ, ჩვენი მეწარმე კოლექტივების დიდი ნაწილი, რომლებმაც საბაზრო მოთხოვნების საფუძველზე უნდა მართონ თავიანთი საქმიანობა, ცუდად ერკვევა საერთო სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის, კერძოდ, ფასზე დაფუძნებული ღირებულების კანონის მოთხოვნათა საკითხებში. ეს იმას ნიშნავს, რომ თეორიული საფუძველი აკლია მთავრობის მიერ შემოთავაზებულ რეგულირებად ბაზრის მექანიზმს. ამიტომ კარგად უნდა შევისწავლოთ თანამედროვე ცივილიზებული ბაზრის მასტიმულირებელი პრინციპები.

საბაზრო ეკონომიკა მოითხოვს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარებასაც, კერძოდ, ჩვენში დესტაბილიზებული საინვესტიციო პოლიტიკის მოწესრიგებას. ეს არის ერთ-ერთი სფერო, რომელიც ჩვენ თვალწინ ნთქავს და ყლაპავს რესურსების უზარმაზარ მასას. საჭიროა შეიზღუდოს საინვესტიციო მოთხოვნა, ე.ი. დაბანდებები "ხანგრძლივ მშენებში". უნდა დამუშავდეს მხოლოდ ისეთი სამშენებლო პროექტები, რომლებიც სწრაფად უკუგებას მოგვცემს და თანაც მოკლე ვადაში შესრულდება. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, საბაზრო ურთიერთობის პირობებში ასეთი პროექტების დამკვეთმა თავისი ფული არ უნდა "ჩაფლოს მიწაში". დამკვეთს ჩვენი ფული არ უნდა გაქრეს.

როგორც ცნობილია, საინვესტიციო პოლიტიკის განუყოფელი ნაწი-

ლად ითვლება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი. ამიტომ საბაზრო ურთიერთობა ამ სფეროსაც "იმორჩილებს", სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობის ორგანიზაციის ყველაზე მიღებული ფორმა ხდება სამეურნეო-ანგარიშიანი ხელშეკრულებანი. ამით ასეთ ნამუშევართა შედეგების რეალიზაცია ხდება როგორც საქონელი, რაც, თავის მხრივ, საფუძვლად დაედება საბაზრო კონკურენციას, ე.ი. მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს.

ამასთან, არამც და არამც არ შეიძლება ფუნდამენტურ გამოკვლევათა დეცენტრალიზაცია. მას პატრონობა უნდა გაუწიოს სახელმწიფომ. მათი დაფინანსების ძირითადი წყარო უნდა იყოს ასიგნებანი სახელმწიფო ბიუჯეტებიდან.

რეგულირებადი საბაზრო ურთიერთობა მოითხოვს საერთო აგროსამრეწველო კომპლექსის, კერძოდ, სასურსათო მომარაგების გაუმჯობესებას, იმას, რომ შეწყდეს, ერთი მხრივ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესასყიდი ფასების ზრდა, მეორე მხრივ, თავისუფალ სახელშეკრულებო ფასებზე გადასვლამ გამოიწვიოს სამომხმარებლო ბაზრის ავსება სურსათ-სანოვაგით. ამისათვის საჭიროა სოფლად მეურნეობის ახალი ფორმების (იჯარა, ასოციაციები, გლეხური მეურნეობა) შექმნის გვერდით შევინარჩუნოთ და განვავითაროთ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, გავადიდოთ მათგან სურსათის შესყიდვა, შევქმნათ საიმედო სასურსათო რეზერვები და გარდამავალი მარაგები.

**ფასწარმოქმნა**. ფასწარმოქმნა იყო, არის და კვლავაც დიდხანს იქნება ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქცია. ეს არის ფასების ჩამოყალიბების, მათი დონისა და თანაფარდობის პროცესი. საქონლის ფასის სიდიდესა და ცვლილებას საფუძვლად უდევს ღირებულება. იგი წარმოადგენს მიზიდულობის ცენტრს, რომლის ირგვლივ სა-[illegible]ი ფასები ქანაობს და რომლის სიმეტრიის ხაზი მუდმივი აწევ-დაწე-

ვა თანატოლეება (კ. მარქსი).

ფასი საქონლის ღირებულების ფულადი გამოსახვა, ანუ მასში გასაგნობრივებული შრომის ფულადი სახელწოდება. იგი საქონლის ღირებულების მაჩვენებელია. თავისთავად ფულს ფასი არ აქვს. ამიტომ არ შეიძლება, მაგალითად, ფულადი სახელწოდება ოქროს ფასად ჩაითვალოს, ან კიდევ არ შეიძლება ითქვას, რომ 0,8 გრამი ოქრო დოლარის ფასია, ვინაიდან დოლარის ოქროშემცველობა შეადგენს 0,8 გვ. ოქროს.

ფულისა და მისი ფუნქციების შეფასებაზე დიდად არის დამოკიდებული ფასწარმოქმნის მთელი სისტემა. მეტიც, თანამედროვე ეკონომიკის რღვევა თავის კონცენტრირებულ გამოხატულებას პოულობს სწორედ ფულის სულ უფრო მზარდი ინფლაციით (გაუფასურება – კ.ც.).

ამგვარად, ფასწარმოქმნას საკვანძო მნიშვნელობა აქვს მართვის ეკონომიკური მეთოდების განვითარებაში. აქ ბევრი გადაუჭრელი საკითხია დაგროვილი. მოდერნიზაციის საბაბით მატულობს მანქანებისა და მოწყობილობის ფასები, მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება. ასორტიმენტული ძვრები, "მთლიან მაჩვენებელს" გამოდევნება, ნედლეულის არასწორი შეფასება და სამუშაო ძალისადმი არაკომპეტენტური დამოკიდებულება, ხშირად იწვევს სამომხმარებლო საქონლის ფასების დაუსაბუთებელ გადიდებას.

სამეურნეო, სახელმწიფო და საინჟინრო ორგანოები ხშირად ამას ისე უყურებენ, ვითომ ვერ ამჩნევენ, ფაქტიურად, თვითონ არიან დაინტერესებული ფასების "თამაშის" გზით მიაღწიონ წარმოების მოცულობის გადიდებას. ეს მეტად საშიში ტენდენციაა. ფასების ხელოვნური გადიდება ვერ კურნავს ეკონომიკურ სენს, პირიქით, ხრწნის მუშაკებს, აფერხებს ტექნიკურ პროგრესს და ა.შ.

გადიდებული ფასები, რომლებსაც საფუძვლად უდევს ხანგრძლივი

მიღწევა, ფარავს ნაკლოვანებებს წარმოების ტექნოლოგიასა და ორგანიზაციაში, წარმოშობს აგრეთვე დამოკიდებულებას მეურნეობის გაძღოლის ეკონომიკური მეთოდების ძიებისადმი.

ფასწარმოქმნის სისტემა კიდევ უფრო მეტი თავისებურებებით გამოირჩევა სოფლის მეურნეობაში. იქ მოქმედი დამზადებისა და შესყიდვის ფასები უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე პროდუქციის საერთო მოცულობა.

ფასწარმოქმნის სრულყოფა გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, ფასების არსებით დაახლოებას შრომის საზოგადოებრივად აუცილებელი დანახარჯების დონესთან, პროდუქციისა და მომსახურების ხარისხთან. ისინი უფრო აქტიურად უნდა ასტიმულირებდნენ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, რესურს-დაზოგვას, ნაწარმის ტექნიკურ-ეკონომიკურ და სამომხმარებლო თვისებების გაუმჯობესებას, ყოველივე ახლის დანერგვას, ხელს უწყობდნენ მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერებას.

ახლა რაც შეეხება საცალო ფასებს, ეს ყველაზე რთული პრობლემაა. იგი არის მაგარ კვანძად შეკრული, როგორც სახელმწიფოს, ისე თითოეული ოჯახის, თითოეული ცალკე ადამიანის ეკონომიკური ინტერესებით. როგორც ცნობილია, 50-იან წლებში და 60-იანი წლების დამდეგს ჩამოყალიბებული საცალო ფასების სისტემა მეტად მოძველებული იყო. საცალო ფასების, კერძოდ, სასურსათო საქონლის ფასები არ შეესაბამებოდა შეცვლილ ეკონომიკურ პირობებს. 1950-იან წლებთან შედარებით ყოფილ სსრკ-ში წარმოებული ეროვნული შემოსავალი 6,5-ჯერ იყო გაზრდილი, სასურსათო საქონლის საცალო ფასების სახელმწიფო დოტაციები კი 80-ჯერ, ამგვარი ვითარება მეტად უარყოფითად მოქმედებდა წარმოებაზე, ასუსტებდა სამეურნეო ანგარიშის მოთხოვნებს, იწვევდა სხვა არასასურველ შედეგებს.

ყოველივე ამან მოითხოვა ფასწარმოქმნის სრულყოფა.

თქმულის მიუხედავად, ჯერ 1991 წლის 2 აპრილიდან ყოფილ სსრ კავშირში ფასების მიუყოლილმა რეფორმამ, შემდგომ პერიოდში კი ჩვენთან დაწყებულმა ფასების ლიბერალიზაციამ ყოველგვარ საფიქრალსა და საფიქრებელს გადააჭარბა. ფაქტობრივად ეს იყო საცალო ფასების კოლოსალური ზრდა. ასეთი რეფორმით ნაკარნახევი კომპენსაცია იმაზე მნიშვნელოვნად ნაკლებია, რის გადახდაც უწევს მოსახლეობას. ამიტომ ახლა არსებული მაღალი საცალო ფასები ძალზე მძიმე ტვირთად აწევს მოქალაქეთა საოჯახო ბიუჯეტს.

ფასწარმოქმნის მექანიზმი (სისტემა) უნდა ითვალისწინებს ფასების სამ ძირითად სახეს: ფიქსირებულს, რეგულირებადს და თავისუფალს.

ამასთან, ფიქსირებული, ე.ი. წინასწარ განსაზღვრული ფასების არსი ის არის, რომ ამ ფასებზე მწირად სახელმწიფო რესურსებიდან მიღებული საქონლის გაყიდვის უფლება არავის აქონდეს. ამიტომ მათ ზღვრულ ფასებსაც უწოდებენ. აქ უნდა შევიდეს, უპირველეს ყოვლისა, სურსათ-სანოვაგის ძირითადი მასა, თეთრეული, ქსოვილები, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, ბავშვთა საქონელი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონელი, აგრეთვე რკინიგზის, საავიაციო და საზღვაო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის ტარიფები, კავშირგაბმულობის მომსახურება.

მეორე, ე.ი. რეგულირებადი ფასების მქონე საქონლის ხვედრითი წილი შედარებით მცირეა, დაახლოებით, საქონბრუნვის 15 %. ამგვარი ფასები უნდა ვრცელდებოდეს ახალმოდურ ნაწარმზე, მაღალხარისხოვან საბავშვო საქონელზე, მსუბუქ ავტომობილებზე, ხე-ლსაწყოებზე, მაცივრებზე, ტელევიზორებზე, ავეჯზე, აგრეთვე, სასმელებზე (ღვინოები, კონიაკი, ლიქიორი, ლუდი), საპარფიუმერიო საქონელზე, ტროპიკულ ხილზე, ციტრუსებზე და ა.შ.

რაც შეეხება მესამე სახის, კერძოდ, თავისუფალი ანუ საბაზრო-

კრედიტზე ფასებით შეფასებულ საქონელს, მისი ხვედრითი წონა, და-ახლოებით, 30 პროცენტი უნდა იყოს. ამგვარი საქონლის ნუსხაში შე-ვა: სელის ქსოვილები, ბუნებრივი აბრეშუმი, ქიმიური ბოჭკოების ახალი მოდური ნაწარმი, ტყავის ფეხსაცმელი, საფეიქრო-საგალანტერიო ნაწარმი, საათები, მუსიკალური საგნები, ალკოჰოლური სასმელები და მინერალური წყლები, ბოცვრის ხორცი, ცოცხალი თევზი და ზოგიერთი სხვა საქონელი.

<u>საბაზრო ეკონომიკის გამოცდილება</u>. როგორც ცნობილია, თანამე-დროვე საბაზრო ეკონომიკის გამოცდილების ფორმირებისათვის განვითა-რებულ ქვეყნებს საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი დასჭირდათ. ჩვენში ამ გზის შემოკლება შეიძლება სწორედ მათი გამოცდილების მაქსიმა-ლური გათვალისწინებით.

თანამედროვე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში, განსაკუთ-რებით შეერთებულ შტატებში, იაპონიაში, დიდ ბრიტანეთში, გერმა-ნიაში უდიდესი ყურადღება ექცევა წარმოების მართვის სრულყოფის ღო-ნისძიებებს. მართვის თეორიის განვითარების მთავარ მიმართულებაში იქ წამყვანი ადგილი უკავია იმ პრინციპებსა და კონცეფციებს, რომ-ლებიც ჯერ კიდევ ამ საუკუნის პირველ მეოთხედში ჩამოყალიბდა. მა-თი თანამედროვეობის მოქმედებაში მთავარი ყურადღება გადატანილია ამ თეორიათა განხორციელების მექანიზმზე. შემთხვევითი არაა, რომ, მაგალითად, შეერთებულ შტატებში მარტო ფსიქოლოგიურ და სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებზე იხარჯება უფრო მეტი სახსრები, ვიდრე მეცნიერული მუშაობის დაფინანსებაზე მათემატიკის და სოფლის მეურნეობის დარგ-ში ერთად აღებული.

ამჟამად მსოფლიო მასშტაბით ჩამოყალიბდა საბაზრო ეკონომიკის რამდენიმე ძირითადი მექანიზმი (მოდელი), რომელთაგან აღსანიშნავია

ე.წ. ამერიკული, იაპონური და შვედური მოდელები.

ამერიკული მოდელი აგებულია მეწარმეობის გააქტიურების ყოველმხრივ "წახალისებაზე" და მოსახლეობის "აქტიური ნაწილის" გამდიდრებაზე. ხალხის ფართო ფენების მასობრივი ორიენტაცია მიმართულია პირად წარმატებაზე. აქ "სოციალური თანასწორუფლებიანობის" ამოცანის მიღწევა საერთოდ არ განიხილება. მთავარია მასობრივი ეკონომიკური კეთილდღეობისაკენ მისწრაფება და სხვ.

იაპონური მოდელი გულისხმობს, მოსახლეობის ცხოვრების დონესთან შედარებით, შრომის ნაყოფიერების ზრდის მაღალ ტემპებს, ე.ი. შრომის მაღალი ნაყოფიერების მიღწევას და ამ გზით პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, მსოფლიო ბაზარზე მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

შვედური მოდელის მიხედვით, წინა პლანზე დგას ძლიერი სოციალური პოლიტიკა, ე.ი. ქონებრივი უთანასწორობის შემცირება.

მთელი რიგი ქვეყნები ღიად თუ ფარულად იყენებენ საბაზრო ურთიერთობის ამერიკულ მოდელს. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი წლებიდან მოყოლებული აყალიბებენ ამერიკული ტიპის ბიზნესის სკოლებს, კოლეჯებს და საკონსულტაციო ფირმებს. მიწვეული ჰყავთ დიდი რაოდენობით ამერიკელი სპეციალისტები სასწავლო მუშაობის ორგანიზაციისათვის.

1990 წლის ნობელის პრემიის საპატიო წოდების მფლობელები ეკონომიკის დარგში (დაარსდა 1969 წელს) გახდნენ სწორედ აშშ-ის ის მეცნიერები, რომლებიც საერთოდ ბაზრის, კერძოდ, საფინანსო-საბაზრო ურთიერთობის სფეროში მუშაობენ.

ახლა ცოტა რამ საბაზრო ურთიერთობაში იმ უახლესი მოვლენების შესახებ, რომელსაც საკუთრების ჯგუფურ ფორმას და ზეკაპიტალისტურსაც კი უწოდებენ. ეს არის საწარმოთა ისეთი სისტემები, რომლებიც

შრომითი კოლექტივების ჯგუფურ საკუთრებას ექვემდებარება. საკუთრების ეს ფორმა არსებითად განსხვავდება კოოპერაციული და აქციონერული საკუთრებისაგან, რადგან: ჯერ ერთი, მასში "მუშაობს" შემდეგნაირი სამართლებრივი პრინციპი: "ვინც არ მუშაობს, ის არ (ვერ) ჭამს"; მეორე, გამორიცხავს დაქირავებული შრომის მანკიერებებსა და ავტორიტარულ-ბიუროკრატიულ მეთოდებს; მესამე, ვერ (არ) უშვებს ექსპლოატაციურ კონკურენციას.

ამგვარად, ჯგუფურ საწარმოთა შრომითი კოლექტივებისათვის კანონზომიერებითაა დაწესებული შეღავათიანი გადასახადები. ამიტომ მშრომელები გაცილებით მაღალ ანაზღაურებას ღებულობენ და ქმნიან ე.წ. "სახალხო სალაროებს", რათა დააგროვონ თავიანთი საინვესტიციო ფონდები. ასეთი "ბანკი-ფონდები" ქმედით კონკურენციას უწევენ კაპიტალის ბაზარს.

ჯგუფური საკუთრების ამ ფორმებს "გაერთიანებულ კერძო საკუთრებასაც" უწოდებენ. მათში მუშები და მოქალაქეები წინასწარ შეაქვთ თავისი კაპიტალი და განაღდებით იღებენ 5 ლარეულების წინასწარ დადგენილ ნაწილს. საწარმოდან წასვლის შემთხვევაში ისინი კარგავენ მართვაში და მოგების განაწილებაში მონაწილეობის უფლებას.

საკუთრებისა და ბაზრის ამ ახალ ფორმათა გამოცდილების შესწავლას დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენში წარმოების განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზაციის თვალსაზრისით. არადა, როგორც ზემოთ აღინიშნა, საწარმოთა დიდი ნაწილი ფუნქციონირებს თვით შრომითი კოლექტივების მიერ "გამომუშავებული" მოგების ანარიცხების საფუძველზე.

ამასთან, ქართველ სწავლულ ეკონომისტთა აზრით, არ შეიძლება საზღვარგარეთ განვითარების გახმაურებული მოდელების ბრმა რეციპირება და პირწმინდად გამოყენება. ისინი ჩვენ არ გვარგებს. სხვადასხვა

ქვეყნის გამოცდილებიდან უნდა შევქმნათ საკუთარი მოდელი.

როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, ბევრ რამეში ისეთი რამეც იჩენს თავს, რისთვისაც მზად არა ვართ. ამიტომ საჭიროა საკუთარი სიტუაციების მაქსიმალური გათვალისწინება.

ბაზრის ისტორიული ასპექტები. საქართველო საბაზრო ურთიერთობის თვალსაზრისით, შეიძლება კლასიკური ქვეყნების ჯგუფს მივაკუთვნოთ. მისი გეოგრაფიული მდებარეობისა და, რაც მთავარია, სამეურნეო განვითარების გამო, ბაზრის წარმოშობის პირობების – შრომის საზოგადოებრივი დანაწილება – ათვლის წერტილების შორეულ წარსულში გვხვდება. ისტორიამ შემოგვინახა ფაქტები, როცა ერთი სახეობის ნაწარმი პროდუქტი სხვა პროდუქტზე იცვლებოდა, როცა ეს პროცესი ადგილს უპოვებდა საქონელ-გაცვლას ფულის მეშვეობით, როცა ვაჭრობა ადამიანთა საქმიანობის განსაკუთრებულ სფეროდ იქცევა.

ჩვენში საბაზრო ურთიერთობის მაღალი დონის ფაქტად უნდა მივიჩნიოთ ქალაქი, რომელიც ფეოდალურ საქართველოში "ბაზრის" სახელწოდებით არსებობდა. იგი მდებარეობდა ქ. ბელაქნიდან 16 კილომეტრის დაშორებით (ახლანდ. აზერბაიჯანი). XVI–XVII საუკუნეებში ქალაქი "ბაზარი" კახეთის სამეფოს მნიშვნელოვანი სავაჭრო ეკონომიკური ცენტრი ყოფილა. შაჰ-აბასის ლაშქრობების გამო ქალაქმა თანდათან დაკარგა მნიშვნელობა, გაუკაცრიელდა და ნანგრევებად იქცა.

საქართველოში საბაზრო ურთიერთობის გენეტიკურ ტრადიციებზე და ქართველი კაცის ვაჭრულ ნიჭიერებაზე მიგვანიშნებს შემდეგი ფაქტი. 1991 წლის გვიან გაზაფხულზე, აშშ-ში, ბიზნესის წარმოებაში ტალანტების გამოსავლენად მოწყობილ კონკურსში, სადაც 15 ათასი სტუდენტი მონაწილეობდა, პირველ წარმატებას მიაღწია ჰარვარ-

ქის უნივერსიტეტში სასწავლებლად წარგზავნილმა ჩვენმა თანამემა-მულემ ბესიკ სიხარულიძემ, რომელსაც არც არასოდეს უსწავლია ბირჟის კანონები და ეკონომიკის თავისუფალი წარმართვის არავითარი გამოცდილება არ გააჩნია.

თანამედროვე ყოვლის მომცველი რესპუბლიკური ბაზარი სამ სახედ იყოფა. ესენია: ადგილობრივი, ეროვნული (საშინაო) და მსოფლიო (საგარეო) ბაზრები. რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოთა კონკრეტული მსჯელობის საგანია, გულისხმობს ისეთ მექანიზმს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს, როგორც ადგილობრივი და ეროვნული ბაზრის, ისე საგარეო-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობის განმტკიცება. ჩვენთვის მხოლოდ ერთ-ერთისადმი უპირატესობის მინიჭებას პერსპექტივა არ აქვს.

საქართველოსათვის საჭიროა ისეთი ეროვნულ-რეგიონალური ბაზარი, რომელიც დაეყრდნობა საკუთარ ფულს, აგრეთვე საბაჟო, საგადასახადო და საბანკო სისტემებს.

დღეისათვის საქართველოში საკუთარი (ეროვნული) ფულის შემოღების საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ამ კონცეფციას ჰყავს მომხრეები და მოწინააღმდეგეებიც. საკუთარი ფულის მიმოქცევა სასარგებლოა, რადგან: ჯერ ერთი, იგი ხელს შეუწყობს ფინანსების განმტკიცებას და ეკონომიკურ აღმავლობას; მეორე, რესპუბლიკა თავად გახდება საკუთარი ფულადი რესურსების განმკარგულებელი, საშუალება ექნება განახორციელოს იმგვარი ფინანსური პოლიტიკა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება მისი სახალხო მეურნეობის განვითარების ინტერესებს; მესამე, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში იგი საშუალებას მოგვცემს დავიცვათ ჩვენი ეკონომიკა სხვა რესპუბლიკებსა და ქვეყნებში შექმნილი ეკონომიკური კატაკლ-

ქსერის არასასურველი ზემოქმედებისაგან; მეოთხე, შეასუსტებს "ჩრდილოვანი ეკონომიკის" პოზიციები; მეხუთე, იგი უზრუნველყოფს შრომელთა სოციალური გარანტიების დაცვას, ხელს შეუწყობს მათი კეთილდღეობის ამაღლებას; მეექვსე, შექმნის რესპუბლიკის საკრედიტო სისტემის ეფექტიანი საქმიანობის პირობებს; მეშვიდე, - დამოუკიდებელი საერთაშორისო ეკონომიკური და სავალუტო ოპერაციების განვითარებას და, ამის საფუძველზე, კონვერტირებადი ვალუტის რეზერვების ზრდას.

ამრიგად, საკუთარი, ქართული ფული ისევე საჭიროა, როგორც, მაგალითად, ჰიმნი, დროშა და გერბი.

ახალი ქართული ფულის შემოღების ერთ-ერთ წინაპირობად შეიძლება ჩაითვალოს 1993 წლის აპრილიდან კუპონების შემოღება, რასაც რამდენადმე გაამართლა დამახინჯებული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა. ლუმა ჩვენ ძალიან მძიმედ იკაფავს გზას, მალე დაიწყო მისი სწრაფი გაუფასურება. ამ პროცესს მრავალი ფაქტორი უწყობს ხელს, მათ შორის ერთ-ერთი და მნიშვნელოვანია სამამულო პროდუქციის დეფიციტი. ამის გარდა დღევანდელი კუპონი, ისე როგორც მის პარალელურად მოქმედი მანეთი, ბანკის სალაროებს არა სრულად უბრუნდება, რაც, თავის მხრივ, კუპონების დამატებით ემისიას (გამოშვება - - ქ.ე.) მოითხოვს. კუპონების ბრუნვადობას აფერხებს ისიც, რომ საქმიანმა, ე.წ. "ბიზნესმენთა" გარკვეულმა წრეებმა დაიწყეს ნაღდი მასობრივი შესყიდვა, რათა სარფიანად გამოიყენონ საკუთრების განსახელმწიფოებრიობა - პრივატიზაციის პროცესში.

ყოველივე ზემოთქმულის გარდა, ერთობ გართულებულია მომხმარებლისათვის საჭირო ფულის დაზოგვის შესაძლებლობა. მოშლილია აღრიცხვა-ანგარიშსწორების სისტემა, უმართავი ხდება ინფლაციის პროცესი და ა.შ.

ამიტომ საჭიროა დროზე შემუშავდეს ფულად-საკრედიტო ურთიერთო-ბათა სტაბილიზაციის კომპლექსური პროგრამა, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს რესპუბლიკის ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადაყვანის საფუძვლიანად დასაბუთებული კონცეფციის შემუშავებას.

## ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. ეკონომიკური თეორიის საფუძვლები, პროფ. გ. ადეიშვილის რედაქციით, ნაწ. II, თემა XVII, თბ., 1992.
2. პ. სამუელსონი, ვ. ნორდჰაუსი, ეკონომიკსი, სახელმძღვანელო, თავები XII და XVI, თარგმანი, თბ., 1992.
3. ა. თეთრაული, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და ბიზნესის განვითარების კანონზომიერებანი საქართველოში, ნაწ. I, თბ., 1992.

## თემა 6. მაკროეკონომიკა და ინდიკატიური დაგეგმვა

### ძირითადი საკითხები:

1. მაკროეკონომიკა: არსი და მნიშვნელობა;
2. ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატიური დაგეგმვა;
3. სახელმწიფოს ეკონომიკური როლი.

"ეკონომიკა" ბერძნული წარმოშობის ტერმინია და ვიწრო გაგებით მეურნეობას ნიშნავს. ჩვეულებრივ, ეკონომიკა არის საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობათა ერთობლიობა.

თავიანთი ცხოვრების საზოგადოებრივი წარმოებისას ადამიანები ერთმანეთთან ამყარებენ განსაზღვრულ, აუცილებელ, მათი ნებისაგან დამოუკიდებელ ურთიერთობას – წარმოებით ურთიერთობას, რომელიც მათ მატერიალურ მწარმოებლურ ძალთა განვითარების განსაზღვრულ საფეხურს შეესაბამება. ამ წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა შეადგენს საზოგადოების ეკონომიკურ სტრუქტურას, რეალურ ბაზისს, რომელზედაც იურიდიული და პოლიტიკური ზედნაშენი აღმართება და, რომელსაც საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრული ფორმები შეესაბამება (კ. მარქსი).

საწარმოო ძალები და მათი შესაბამისი წარმოებითი ურთიერთობები ქმნიან წარმოების გარკვეულ წესს, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების განვითარების ისტორიულ საფეხურს – საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას.

საზოგადოების ამ ეკონომიკური სტრუქტურის საფუძველზე იქმნება იურიდიული და პოლიტიკური ზედნაშენი (სამართლებრივი ნორმები, შეხედულებები, სახელმწიფოებრივი ორგანოები), რომელსაც მოჰყვება საზოგადოების რელიგიური, ზნეობრივი, მხატვრული და მეცნიერული .

შეხედულებანი.

თქმულიდან გამომდინარე, გასაგებია, ჯერ ბაზისი უნდა ყალიბდებოდეს, მერე კი ზედნაშენი. ისტორიული განვითარება გვარწმუნებს, რომ ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია წინა ფორმაციაში ჩნდებოდა. ჯერ ყალიბდებოდა ბაზისი, მერე კი იცვლებოდა ზედნაშენი, რომელიც, თავის მხრივ, აქტიურად აფორმებდა ეკონომიკაში უკვე მომხდარ ცვლილებებს.

გარდა აღნიშნულისა, ეკონომიკას განმარტავენ, როგორც სახალხო მეურნეობის დარგთა ერთობლიობას, რომელიც ასახავს შესაბამისი წარმოების წესის დამახასიათებელ ნიშნებს, ქვეყნის თავისებურებებს. რაც ამ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობით, ისტორიული ტრადიციებით და საწარმოო ძალთა განვითარების დონითაა განპირობებული. იგი მოიცავს მატერიალური წარმოებისა (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი და სხვ.) და არაწარმოების სფეროს (განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, კულტურა და ა.შ.), რაც, თავის მხრივ, ცალკეულ საწარმოებად და ორგანიზაციებად ფუნქციონირებს.

კლასიფიკაციის ამგვარი სისტემა უდევს საფუძვლად მაკრო და მიკრო ეკონომიკას. მაკრო (ბერძნულად "მაკროს") ნიშნავს დიდს, გრძელს. იგი რთული სიტყვის ნაწილია და "მიკროს" (ბერძნულად პატარა) საპირისპიროდ გამოიყენება.

სამუელსონისა და ნორდჰაუსის "ეკონომიკს"-ის მიხედვით, მაკრო-ეკონომიკა დაკავშირებულია ერთ მთლიან ეკონომიკასთან. ეს არის მსჯელობა წარმოების, დასაქმების, უმუშევრობის, ფასებისა და სხვა გლობალური პრობლემების შესახებ.

მაკრო და მიკრო-ეკონომიკა ურთიერთმოქმედებენ. როგორც ფსიქოლოგიის ელემენტარული ცოდნის გარეშე ვერ გაიგებთ ბრბოს ქცევას, ასევე მაწარმოებლისა და მომხმარებლის მიკრომექანიზმის არსის ახსნე-

და ვერ გაანალიზებთ ეკონომიკის მაკრომოძრაობას – ნაშრომში "ეკონომიქს"-ში. ამიტომ მაკროეკონომიკური პრობლემები დიდ როლს ასრულებს ერის მიღწევებსა და მარცხში. ქვეყანამ თავის მდგომარეობაზე შეიძლება იმოქმედოს ეკონომიკური პოლიტიკით, კერძოდ, ხარჯებით, გადასახადებით, ფასებით და ა.შ.

ამასთან, თანამედროვე მაკროეკონომიკა მოიცავს სხვადასხვა სიმართლეებას, მაიკან ერის, კერძოდ, კონკურენციული ბაზრის ფასებით რეგულირებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

მაკროეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების შესწავლისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სტატისტიკას. სწორედ მისი მეშვეობით ხდება ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის შესწავლა და შეფასება. თუმცა, სამწუხაროდ, ბრძანებლურ-ადმინისტრაციული მმართველობის პრინციპებზე აგებული საბჭოური სტატისტიკა და, მათ შორის, მაკროეკონომიკური სტატისტიკაც, აშკარად ჩამორჩა ცივილიზებულ სამყაროში მიღებულ თანამედროვე მიდგომებს და სტანდარტებს. ამის შედეგად, დღეისათვის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მდგომარეობის ამსახველი მაკროეკონომიკური სტატისტიკური მოდელი პრაქტიკულად არ არსებობს, მსოფლიოში გვაქვს ისეთი მოდელი, რომელიც საშუალებას იძლევა კომპლექსურად განვიხილოთ ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენები და პროცესები, რეალური გვეჩვენებინა მატერიალური და ფინანსური რესურსების ნაკადების მოძრაობისა და ურთიერთკავშირებისათვის.

ამჟამად არსებობს ეკონომიკის, მისი ორგანიზაციული ფორმებისა და სტრუქტურის დამახასიათებელი კომპლექსური მაჩვენებლების ალგორითმისა და გაანგარიშების საერთო ოფიციალური მეთოდი, რაც დიდი ხანია წარმატებით გამოიყენება მსოფლიოს 150-ზე მეტ ქვეყა-

ნაში, - ესაა სტატისტიკურ პრაქტიკაში ე.წ. "ეროვნული ანგარიშე-ბის" გამოყენება, რომელიც, თავის მხრივ, საბოლოო პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის წარმოების, განაწილების, გადანაწილებისა და გამოყენების კრებსით ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემას წარმოა-დგენს.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა ორმაგი ჩაწერის პრინციპს ეყრდნო-ბა და ახასიათებს პროდუქტის შექმნის, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების მთელ პროცესს. მასში აისახება ის მატერიალური და ფინანსური ნაკადები, რომლებიც ახასიათებენ ეკონომიკურ სუბიექ-ტებს შორის ურთიერთკავშირებს და წარმოადგენენ სახელმწიფოს მა-რთვის ობიექტებს.

ამრიგად, სულ უფრო ცხადი ხდება, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკო-ნომიკური განვითარების პროგნოზირების ჩამოყალიბებულმა პრაქტი-კამ ვერ შექმნა ეკონომიკური პროცესების სახელმწიფოებრივი რეგუ-ლირების მექანიზმი. ამიტომ საჭირო გახდა შემოღებულ იქნას ქვე-ყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგე-გმვის ქმედითი სისტემა.

## ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვა

დაწყებულმა საბაზრო ურთიერთობათა [illegible]-განვითარებამ გამოიწვია სახელმწიფოებრივი ჩარევის აუცილებლობა ისეთ მნიშვნე-ლოვან საკითხებში, როგორიცაა: ქვეყნის განვითარების სოციალურ--ეკონომიკური სტრატეგიისა და სტრუქტურული პოლიტიკის განსაზღვრა; სახელმწიფოებრივი სექტორის ფუნქციონირება; მოსახლეობის სოციალუ-რი დაცვა და სახელმწიფო რეზერვების ფორმირება; ეკონომიკაში მიმ-დინარე პროცესების ანალიზი და პროგნოზირება ისეთი პრობლემების გამოვლენის მიზნით, რომელთა გადაწყვეტა ვერ ხერხდება მხოლოდ თვით-რეგულირებით; ეკონომიკურ პროცესებზე სახელმწიფოებრივი ზემოქმედე-

ბის ყველაზე უფრო ეფექტიანი ფორმებისა და მეთოდების შერჩევა; მატერიალური ნაკადების განსაზღვრა (სახელმწიფო შეკვეთები, კვოტები, ლიცენზიები), საბიუჯეტო ასიგნებებისა და, პირველ რიგში, საბიუჯეტო კაპიტალურ დაბანდებათა და ცენტრალიზებული სავალუტო რესურსების განაწილება, საფინანსო რეგულირება (გადასახადები, ამორტიზაცია, საკრედიტო რეგულირება, ბაჟი), მიზნობრივი კომპლექსური პროგრამები და ა.შ.

აღნიშნული საკითხები ურთიერთდაკავშირებულია და აუცილებელია გადმოიცემოდეს ერთიანი სამთავრობო დოკუმენტის - ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური (ე.ი. სარეკომენდაციო - კ.ე.) გეგმის სახით, რომელიც თვისებრივად განსხვავდება დირექტიული გეგმისაგან და ფართოდ გამოიყენება განვითარებული საბაზრო მეურნეობის მქონე სახელმწიფოებში.

საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატურ დაგეგმვაზე გადასვლასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა დაადგინა, რომ, დაწყებული 1994 წლიდან, შემოღებულ იქნეს რესპუბლიკაში ინდიკატური დაგეგმვის სისტემა და პერიოდულად შემუშავდეს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური გეგმა, რომლის კორექტირება ყოველწლიურად მოხდება.

ინდიკატური გეგმის ძირითად მიზნად მიჩნეულია: 1. ქვეყნისათვის აუცილებელი და სასურველი სოციალურ-ეკონომიკური მიჯნების განსაზღვრა სამომავლო განვითარების პროგნოზირების საფუძველზე; 2. მთავრობის მიმდინარე და გრძელვადიანი ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბება; 3. პრიორიტეტული მიმართულებების შერჩევა და მათი მიღწევის გზების დასახვა; 4. პირადი საქმიანი აქტივობის მასტიმულირებელი ღონისძიებების შემუშავება დასახული მიჯნების მისა-

ღწევად. ნ. კერძო სექტორის აღორძინება-განვითარებისათვის ყოველმხრივი ხელშეწყობა იმ ვარაუდით, რომ იგი საკუთარი და ქვეყნის კეთილდღეობისათვის აქტიურად მონაწილეობდეს სამთავრობო ღონისძიებათა რეალიზაციაში.

ინდიკატური გეგმის მონაცემები, რომელიც, აგრეთვე, მოიცავს საფინანსო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, ხდება რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის ერთ-ერთი საფუძველი.

ინდიკატური გეგმა შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან:

1. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციისაგან, რომელიც მოიცავს:

ა. ეკონომიკური განვითარების სოციალურ მიზნებს, მოსახლეობის ცხოვრების დონის პარამეტრებს, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის შემოსავლების პოლიტიკას, სოციალური სფეროს განვითარებას, მოხმარების დონეს და ა.შ.

ბ. საფინანსო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს;

გ. სტრუქტურულ-ინვესტიციურ პოლიტიკას, სახალხო მეურნეობისა და მრეწველობის ცალკეული დარგების განვითარების პრიორიტეტებს;

დ. მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, მეცნიერულ კვლევათა და ტექნოლოგიური განვითარების სახელმწიფო პრიორიტეტებს;

ე. საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკას;

ვ. საწარმოო ძალთა განვითარების მიმართულებებს.

2. საპროგნოზო-ანალიზური ნაწილისაგან, რომელიც მოიცავს:

ა. ეკონომიკის, მისი ცალკეული დარგებისა და სფეროების მდგომარეობისა და სოციალური სიტუაციის კომპლექსურ ანალიზს;

ბ. პროგნოზის დამუშავების სცენარის დასაბუთებას;

ბ. რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსურ მრავალვარიანტულ პროგნოზს;

ც. საგეგმო-მარეგულირებელი ნაწილისაგან, რომელიც მოიცავს სახელმწიფო და სახელმწიფოთაშორისი მიზნობრივ პროგრამებს, რომლებიც ეხება რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს პრობლემებს.

ამრიგად, ამიერიდან საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების მიზნობრივ-სარეკომენდაციო პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია მოხდება სრულიად ახლებურად. ამ საკითხთან დაკავშირებით, მინისტრთა კაბინეტის მიერ 1993 წლის 30 მარტს მიღებული დადგენილების შესაბამისად, სათანადო ორგანოებს დავალებული აქვთ, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციიდან გამომდინარე, წინასაგეგმო წლის 1 ივლისამდე შეიმუშაონ და ეკონომიკის სამინისტროს წარუდგინონ საქვეუწყებო მეურნეობების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წინასწარი საპროგნოზო გაანგარიშებანი.

სახელმწიფოს ეკონომიკური როლის არსი და მნიშვნელობა. ეს საკითხი სათავეს იღებს შორეული წარსულიდან. ამის ნათელი "დასტურია" ბაბილონის ცნობილი მეფის ჰამურაბის კანონთა კრებული, რომელიც ძვ. წ. აღრიცხვის XVIII საუკუნის განეკუთვნება. მასში შესაფერი სამართლებრივი დასაბუთებით არის აღწერილი მიწათმოქმედების წარმოების წესები, მიწათმფლობელობის დაცვა, მიწის ყიდვა-გაყიდვის მექანიზმი და ა.შ.

ჯეროვან ინტერესს იწვევს აგრეთვე ძვ. წ. აღრიცხვის IV-III საუკუნეების ჩინური ტრაქტატი "გუანი" (მისი ავტორები უცნობია - - ჯ.ე.), რომელშიც დამაჯერებლად არის გადმოცემული ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევის აუცილებლობა, საბაზრო პროცესების მართვის საჭიროება. ამ ტრაქტატის მიხედვით, სახელმწიფოებრივი

წარმატებები დამოკიდებულია მიწათმოქმედების მართვაზე, სტაბილურ-რი ფასების დაწესებაზე, გადასახადების "სწორ პოლიტიკაზე" და ა.შ.

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების კვალდაკვალ ნაძლავ იკვეთებოდა სახელმწიფოს ეკონომიკური როლი. ამის კარგი ფაქტია ძველი ინდოეთის (ძვ. წ. აღრიცხვის IV-III სს.) ცნობილი მეცნიერის კაუტილიას ნაწარმოები "არტჰაშასტრა". მასში ახსნილია სამეურნეო ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის არსი და მნიშვნელობა.

საერთოდ, სახელმწიფოებრივი მართვის, კერძოდ, ეკონომიკური მეცნიერების თეორიული საფუძვლების დამუშავებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ანტიკური სამყაროს ისეთ დიდ მოაზროვნეებს, როგორებიც იყვნენ ბერძენი-ქსენოფონტე, პლატონი და არისტოტელე, რომაელი-კატონი, ტერენცი, კოლუმელა და სხვები. მათი შემოქმედების გარკვეული ნაწილი მიეძღვნა სწორედ სახელმწიფოს ფორმირების პირველმიზეზებს, კერძოდ, ადამიანის სუბსტანციურ ბუნებას (მოთხოვნა სხვა ადამიანთან ურთიერთობისა - კ.ე.).

ცოტა უფრო მოგვიანებით, კერძოდ, შუა საუკუნეების მოაზროვნეებმა სახელმწიფოს შექმნა დაუკავშირეს ძალადობის გამოვლინებას და იგი ღვთაებრივ წარმოშობას მიაწერეს. ცოტა უფრო გვიან, კერძოდ, ფეოდალიზმის ეპოქაში სახელმწიფო ხელისუფლება მიჩნეულ იქნა მიწაზე საკუთრების უფლების გამოვლინებად.

შემდგომ პერიოდში სახელმწიფოს არსებობა დაუკავშირდა ადამიანის უფლების მოთხოვნებს. იგი გამოცხადდა პიროვნებისა და კანონების დაცვის ორგანოდ. ასე, მაგალითად, გერმანელი ფილოსოფოსის იმანუელ კანტის (1724-1804) განმარტებით, სახელმწიფო წარმოადგენს ხალხის მასას, რომელიც ექვემდებარება ერთიან იურიდიულ კანონებს.

სახელმწიფოს ზემოქმედება ეკონომიკაზე უფრო ინტენსიური გა-

ხდა მე-19 საუკუნის დასასრულიდან, როცა მის ფუნქციაში მოექცა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები.

ამგვარად, თუ აქ მოტანილ და სხვა სახის ფაქტებს შევკრებთ და გავაანალიზებთ, მივალთ დასკვნამდე: სახელმწიფო არის ეკონომიკურად გაბატონებული კლასის ორგანიზაცია, რომლის მიზანია არსებული წყობილებისათვის ნისალები ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება და მოსახლეობის სოციალური დაცვა.

საწარმოო ძალთა მძლავრმა განვითარებამ, რომელსაც, თავის მხრივ, მოჰყვა ხშირი სამეურნეო კრიზისები, საჭირო გახადა სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გაძლიერება. ასე, მაგალითად, XX საუკუნის 30-იანი წლებიდან "ამოქმედდა" ინგლისელი მეცნიერის ჯონ მეინარდ კეინსის (1883-1946) "რეგულირებადი კაპიტალიზმის" თეორია. მის მიერ 1936 წელს გამოცემულ ნაშრომში "დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია" ამგვარი რეგულირების შემდეგი სამი ძირითადი მიმართულება გამოიყო: 1. კაპიტალისტური საწარმოს სიმტკიცის უზრუნველყოფა; 2. წარმოებისა და რეალიზაციის რეგულირება; 3. ეროვნული შემოსავლის ეფექტური გამოყენება.

ჯ. კეინსის ამ კონცეფციად ქცეულ მოძღვრებას ბევრ ქვეყანაში სპეციალურად სწავლობენ.

საქართველოს ისტორიაში მრავალი ფაქტი მოიძებნება იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ დონეზე იდგა საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების საქმე. ამ მხრივ, განსაკუთრებულ პერიოდად შეიძლება მივიჩნიოთ ჩვენი "ოქროს ხანა", ე.ი. XI-XII საუკუნის საქართველო, როცა სრული სახით იყო წარმოდგენილი სახელმწიფოს არსებობის თითქმის ყველა ნიშანი (ატრიბუტი). ქართველმა სწავლულმა - ისტორიკოსებმა ნათლად წარმოაჩინეს იმდროინდელი ეკონომიკური საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი მხარეები,

შესაბამისი თანამდებობები, მათ შორის მეჭურჭლეთუხუცესობა (ფინანსთა მინისტრი – კ.ე.). განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ვახტანგ მეექვსის მიერ გამოცემულ კანონთა კრებულს "დასტურლამალი", რომელშიც საოცარი სიზუსტით არის აღწერილი მოხელეთა უფლება-მოვალეობანი, სახელმწიფო დაწესებულებათა აგების წესი, საგადასახადო სისტემა, ფასების რეგულირების მექანიზმი, სამეფო ღლური ხელფასი და ა.შ.

XIX საუკუნის დასაწყისიდან, კერძოდ, მაშინ, როცა ჩვენი ქვეყანა ცარიზმის ორთავიანი არწივის კლანჭებში აღმოჩნდა, ფაქტობრივად, დაიკარგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. თუმცა 117 წლის შემდეგ, კერძოდ, 1918 წლის 26 მაისს მოხდა ერის მოშლილი სახელმწიფოებრიობის აღდგენა. ეს იყო ახალი ტიპის სახელმწიფო, რომელმაც თავი დააღწია უცხო, ბიუროკრატიულ-დესპოტურ წყობას და მისთვის ბუნებრივი, დასავლური, ცივილიზებული განვითარების გზა აირჩია, ახალი ორიენტაცია აიღო. თუმცა, სამწუხაროდ, ასეთი არჩევანი ხანმოკლე გამოდგა. 1921 წლის 25 თებერვალს საგარეო ინტერვენციის გზით დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება.

70 წლის შემდეგ საბჭოთა იმპერია დაიშალა. 1990 წლის 26 მაისს ოფიციალურად გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. იგი დედამიწის ხუთივე კონტინენტის 180-ზე მეტმა ქვეყანამ ცნო.

ახლა საქართველო აახლებს და აგრძელებს 1918–1921 წლების დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოს მემკვიდრეობას, რაც ეკონომიკის სფეროში გულისხმობს:

- ღრმა ეკონომიკური და ფინანსური რეფორმების, პრივატიზაციის განხორციელებას;
- კერძო სექტორის, კერძო ინიციატივის გაძლიერებას;
- ეროვნული ბანკის დამოუკიდებელი სტრუქტურისა და ინსტიტუცი-

რების ჩამოყალიბებას;

- მსოფლიო ეკონომიკაში საქართველოს ეკონომიკის ეფექტიან ინტეგრაციას;
- ექსპორტისა და იმპორტის გაწონასწორებას;
- ეროვნული ვალუტის [illegible] დაბანოებას;
- საინვესტიციო პოლიტიკის მსოფლიო სტანდარტების დონეზე აყვანას;
- ფულად-საკრედიტო რეფორმას, სამანეთო ეკონომიკური ზონიდან ფაქტობრივად გამოსვლას;
- პირველ ეტაპზე კუპონისა და მომდევნო ეტაპზე ქართული ფულის კურსის განმტკიცებას, ინფლაციის დაძლევას, ფასწარმოქმნაში საბაზრო და სხვა ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებას;
- აგროსამრეწველო კომპლექსის ძირფესვიან გარდაქმნას, ფერმერთა მოძრაობის გაძლიერებას;
- საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სრულყოფას და სხვა.

ბუნებრივია, ქართული სახელმწიფო ჯეროვან როლს შეასრულებს თავისუფალი მეწარმეობისა და კომერციის განვითარებაში, ბაზრების გაჯანსაღებაში, კრიზისის დაძლევაში, ეკონომიკის სტაბილიზაციისა და აღმავლობაში, სათანადო ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი ბაზის შექმნაში.

და ბოლოს, რამოდენიმე სიტყვით იმის შესახებ, რომ ბოლო ხანებში მეცნიერ-ეკონომისტთა ნაწილი სახელმწიფოს ეკონომიკურ როლს (ფუნქციას) მიიჩნევს წარმოების ფაქტორების ([illegible]) ერთ-ერთ, რიგით მეხუთე ფაქტორად. ასე, მაგალითად, პროფ. ლ. პაპავა სულ ახლახან დასტამბულ [illegible] (მონოგრაფია – ჰ.ე.) "სახელმწიფო ბაზარი და ეკონომიკა [illegible]", ცნობილ ოთხ ფაქტორთან ერთად ([illegible], კაპიტალი, [illegible] და მეწარმეობა), მეხუთე ფაქტორად [illegible]-

ლებს სახელმწიფოს (მთავრობის) ეკონომიკურ უნარს.

## ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. ეკონომიკური თეორიის საფუძვლები, პროფ. პ. ადეიშვილის რედაქციით, ნაწილი II, თემა XXIII, თბ., 1992
2. პ. სამუელსონი, ვ. ნორდჰაუსი, ეკონომიკსი, სახელმძღვანელო, ძირითადი შინაარსი, ნაწ. II-III, თბ., 1992.
3. ა. სილაგაძე, ნ. ენუქაშვილი, ე. მექვაბიშვილი, ეკონომიკური ცოდნის საფუძვლები, თბ., 1992.
4. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება "საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვის შესახებ", გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 11.V.93

## თემა 7: ცხოვრების დონე და მასზე მოქმედი ფაქტორები

ძირითადი საკითხები:

1. ცხოვრების დონე - ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური კატეგორია;
2. ოჯახის ბიუჯეტი და მისი გამოკვლევის ძირითადი პრინციპები;
3. საარსებო მინიმუმი და შემოსავლების ინდექსაცია.

<u>ცხოვრების დონე</u> შეიცავს ფიზიკური ცხოვრების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, კერძოდ, იმ განსაზღვრულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, რასაც წარმოშობენ საზოგადოებრივი პირობები, რომლებშიც ადამიანები ცხოვრობენ და იზრდებიან (კ. მარქსი). ეს პირობები სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა რეგიონში, ერთობ განსხვავებულია. ამის გამო, საერთოდ, ლიტერატურაში, კერძოდ, სასწავლო სახელმძღვანელოებში განსხვავებული განმარტებები გვხვდება ცხოვრების დონის, მისი არსისა და მნიშვნელობის შესახებ. რიგ შემთხვევაში იგი დაყვანილია "მატერიალური კეთილდღეობის" განმარტებამდე. ამის გამო არც თვით "კეთილდღეობაა" სწორად გაგებული. ასე, მაგალითად, ცნობილ "ეკონომიქს"-ში (იხ. თემა 5-4) იგი მიჩნეულია ეკონომიკის საერთო ქრიტერიუმად, სახელდობრ, შემოსავლების სწორ განაწილებად და კარგ საგადასახადო სისტემად.

ფაქტობრივად, ცხოვრების დონე არა მარტო მოსახლეობის შემოსავლის დონესა და მოხმარების საგნების წარმოებას გულისხმობს, არამედ ეს არის ადამიანთა შეგნებისა და კულტურის, მათ შორის ყოფისა და შრომის კულტურის გამოვლენილი ზრდა, გონივრული მოხმარების კულტურა, სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი, ჯანსაღი, რაციონალური კვება, მოსახლეობის მომსახურების მაღალი ხარისხი და

თავისუფალი დროის სრულფასოვანი გამოყენება.

ბოლო ხანებში "გამოცოცხლებას" იწყებს ზოგიერთი "ძველი" კა-
ტეგორია, მაგალითად, ისეთი, როგორიცაა "საარსებო მინიმუმი",
"ცხოვრების ხარისხი", "სიღარიბის ქვედა საზღვარი" და ა.შ.

ამრიგად, ცხოვრების დონის გარკვევასა და შეფასებას დიდი
მნიშვნელობა ენიჭება. მისი დახასიათებისათვის ბევრი სტატისტიკუ-
რი მაჩვენებელი გამოიყენება, მათ შორის, ეროვნული შემოსავალი,
მოხმარების ფონდი, საქონელბრუნვა, საოჯახო ბიუჯეტის დინამიკა
და სტრუქტურა და ა.შ.

და მაინც, ცხოვრების დონის ზუსტი შეფასება იოლი საქმე არ
არის. იგი შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ყველა აქ დასახელებული და
კიდევ სხვა მრავალი მაჩვენებლის, მათი "ყოფა-დონის" ზუსტი სი-
ნთეზის და საერთო შედეგების კომპლექსური შესწავლის მეშვეობით.
თუმცა, ჯერჯერობით არ არსებობს ისეთი მეთოდი, რომელიც საშუალე-
ბას მოგვცემს ცხოვრების დონესთან დაკავშირებული ცალკეული მოვლე-
ნა შევაფასოთ სრულად და ისეთ განზომილებაში, რომლის შედეგი
შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ერთი განმაზოგადებელი სიდიდე (მაჩვენებ-
ლით). ჩამოთვლილი ელემენტების ნაწილს არც კი აქვს რაიმე რაოდე-
ნობრივი ხასიათის განზომილებითი სიდიდე.

თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის, განსაკუთრებით სა-
ანგარიშო (ელექტრონულ-გამომთვლელი) ტექნიკისა და ეკონომიკურ
კვლევაში მათემატიკური მეთოდების გამოყენების შედეგად შეიძლე-
ბა შემუშავდეს ე.წ. ბალური სისტემა, რომელიც ცხოვრების დონეზე
მოქმედი ფაქტორების (ელემენტების), ერთიანი შეფასების საშუა-
ლებას მოგვცემს და ამ გზით უზრუნველყოფს მთელი საზოგადოებისა
და ცალკეული ადამიანის ცხოვრების დონის დახასიათებას.

ცხოვრების დონის ამაღლება ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიე-

ბაა, რომელიც უეცრად დიდის წყირე მინაკვეთში არ ჩერდება, იგი მოითხოვს დამაბულ და ნაყოფიერ შრომას, უზარმაზარ რესურსებს, მატერიალური დოვლათის სიუხვეს.

ცხოვრების დონის პრობლემა, როგორც ზემოთ ითქვა, მრავალმხრივანია. მაგალითად, მისი ერთ-ერთი განზომილება მჭიდროდ უკავშირდება სხვადასხვა კონტინენტზე და ქვეყანაში მოსახლეობის განაწილების საკითხს. ჩვენი პლანეტის ბევრ რაიონში ეკონომიკური განვითარება ვერ უსწრებს ზრდას მოსახლეობის ზრდისა და მატების ტემპებს, და, ამის გამო, თითო სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ცხოვრების დონე განუწყვეტლივ მცირდება.

ამასთან დაკავშირებით, უკანასკნელ ხანებში სხვადასხვა დემოგრაფიული ხასიათის თეორია გაჩნდა. ბევრი მათგანი ნეომალთუსიანელობის ნაკარებელია. ასე, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოიშვა მოსახლეობის ე.წ. ნულოვანი ზრდის თეორია. ამისმა ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ფილიპ ჰაუზერმა მსოფლიოს 80, შედარებით დიდი, სახელწოდებით ოთხ ჯგუფად დაყო. დაჯგუფების კრიტერიუმად აიღო [illegible] მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით მიღებული ეროვნული შემოსავლის ოდენობა. პირველი ჯგუფის ქვეყნებში, სადაც ერთ სულზე ეროვნული შემოსავალი 200 ამერიკული დოლარის ტოლია, შობადობის რიცხვი, ყოველ ათას კაცზე გაანგარიშებით, 45-ს უდრის; მეორე ჯგუფის ქვეყნებში, სადაც ეროვნული შემოსავალი 200-დან 500-მდე დოლარს აღწევს, შობადობა 35-მდე დადის...; ხოლო მეოთხე ჯგუფში, სადაც ეროვნული შემოსავალი ერთ სულზე ათას დოლარს აღემატება, შობადობა 18-ს ძლივს აღწევს.

ცხოვრების დონეზე ერთობ უარყოფით გავლენას ახდენს სამხედრო ხარჯების ზრდა. ამის გამო მსოფლიოს ბევრი ქვეყნის, მათ შორის, განვითარებადი ყოფილი "სირ კავშირის" მონაწილეები მრავალი წლით

დაავადებული არიან.

აქ აღარაფერს ვამბობთ განვითარებადი ქვეყნების შესახებ, სადაც ერთ სულ მოსახლეზე, (მათი რიცხვი კი ორი მილიარდია), - გაანგარიშებული ეროვნული შემოსავლის სიდიდე 11-ჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში. იქ სუფევს სიღარიბე, უმეცრობა და უმუშევრობა, ქრონიკული შიმშილ-უმწეობა და შიმშილი, ბავშვთა მაღალი სიკვდილიანობა და ეპიდემიები.

ოჯახის ცნება და მისი გამოკვლევის ძირითადი პრინციპები.

ფ. ენგელსის აზრით, ოჯახი "საზოგადოებრივი სისტემის პროდუქტია და მისი კულტურული განვითარების დონეს ასახავს". იგი წერს: "თანამედროვე საზოგადოება წარმოადგენს მასას, რომელიც მთლიანად ცალკეული ოჯახებისაგან – როგორც მისი მოლეკულებისაგან – შედგება".

ოჯახში იგულისხმება ერთად მცხოვრებ იმ პირთა ერთობლიობა, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან რაიმე ნათესაური კავშირით და აქვთ საერთო ბიუჯეტი.

ოჯახის შემადგენლობაში ითვლება აგრეთვე პირები, რომელიც ოჯახისაგან მოშორებით, ე.ი. დროებით სხვაგან ცხოვრობს, მაგრამ მოცემულ ოჯახთან აქვს საერთო ბიუჯეტი, ან რეგულარული კავშირი. ასეთ მოქალაქეს ეძახიან "ოჯახის ცალკე მცხოვრებ წევრს".

ისინი კი, რომლებსაც მოცემულ ოჯახთან არც ბიუჯეტური და არც ნათესაური კავშირი არა აქვთ, მიეკუთვნებიან "მარტოხელათა" კატეგორიას და მოსახლეობის აღწერისას დამოუკიდებლად აღირიცხებიან.

არსებობს, აგრეთვე, კერძო პირებთან ქირით მცხოვრებთა კატეგორია – შინამოსამსახურეების, ძიძების, მძღოლებისა და სხვათა სახით. ისინი ქმნიან ან მარტოხელა ოჯახს, ანდა მიეკუთვნებიან მიმღები ოჯახის ცალკე მცხოვრებ წევრებს. ეს იმაზეა დამოკიდე-

ბული, თუ როგორი ურთიერთობა არსებობს ამ კატეგორიის მოზარდსა და ძირითად ოჯახს შორის.

ოჯახის შემადგენლობაში აღირიცხებიან ბავშვები, რომლებიც იმყოფებიან სკოლა-ინტერნატებში და პროფტექნიკურ სასწავლებლებში, აგრეთვე, ისინი, ვინც მიღებული ოჯახის კმაყოფაზე იმყოფებიან, მაგრამ სწავლასთან დაკავშირებით ცხოვრობენ სხვაგან. ოჯახის წევრები, რომლებიც იმყოფებიან არმიის რიგებში (სამხედრო-სასწავლო შეკრებაზე მყოფთა გარდა), მოსახლეობის აღწერის დროს ოჯახის შემადგენლობაში არ ითვლებიან, წასვლის ხანგრძლივობის მიუხედავად.

ამრიგად, - ოჯახი - ეს არის ძალზე რთული და [illegible] ფენომენი. საქართველოს კათალიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის შეგონებით ჯერ ყალიბდება პიროვნება, მერე იქმნება ოჯახი. გონიერებისა და სიყვარულის ნიადაგზე იქმნება ნამდვილი ოჯახი... ქრისტიანულ სწავლებაში ოჯახის შესახებ არის მისტიკური, სულიერი და ბუნებრივი მხარე. გარკვეული ადგილი უკავია აგრეთვე ფიზიოლოგიას... რამდენადაც მომავალი დამოკიდებულია აწმყოზე, ამ ქვეყნიურ ცხოვრებაზე, იმდენად ოჯახურ ცხოვრებას გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ურწმუნოს ჰგონია, ამიტომ მეუღლენი ერთმორწმუნენი უნდა იყვნენ და ერთ სარწმუნოებაზე უნდა იდგნენ. ღვთის სიტყვა საწინდარია მათი ერთობისა.

ოჯახის კეთილდღეობისათვის, - ამბობს უწმინდესი და უნეტარესი, - სამი აუცილებელი პირობაა საჭირო: ცოლქმრული სიყვარული, მცნებების დაცვა და ეკლესიის კურთხევა.

ოჯახის არსისა და მისი შემადგენლობის სწორად განსაზღვრას ერთობ დიდი მნიშვნელობა აქვს მათი ბიუჯეტის (შემოსავალ-გასავალი) სწორი გამოკვლევისათვის. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იმსახურებს ოჯახების სულადობრივი შემადგენლობა, კერძოდ, ოჯახთა საშუალო სი-

სიღრმე.

საერთოდ, ლიტერატურაში, კერძოდ, ეკონომიკურ ლიტერატურაში ჯერჯერობით ერთიანი აზრი არაა დამკვიდრებული, თუ რა არის ოჯახის ბიუჯეტი, სათანადოდ არ არის განმარტებული მისი შინაარსი. ეს საკითხი არც სათანადო სახელმძღვანელოშია ასახული საკმარისი დამაჯერებლობითა და თანმიმდევრობით.

აღნიშნულის მიუხედავად, სტატისტიკურ წყაროებში არსებული ერთობ განსხვავებული განმარტებების შეჯერების საფუძველზე შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ოჯახის ბიუჯეტის საერთო შინაარსი. იგი არის ფული, ან ფულით შეფასებული ნატურალური შემოსავლის ერთობლიობა, რომელსაც იღებენ ოჯახის წევრები სახელმწიფო, კოოპერაციულ და კერძო საწარმოებიდან, ორგანიზაციებიდან და პირადი დამხმარე მეურნეობიდან, აგრეთვე, ინდივიდუალური საქმიანობიდან, სააქციო, საფინანსო-საბანკო, საქველმოქმედო და საზოგადოებრივი მოხმარების ფონდებიდან.

ყოფილ საბჭოთა კავშირში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სისტემატურად ხდებოდა 90 ათასი ოჯახის სპეციალური საბიუჯეტო გამოკვლევა, საიდანაც, დაახლოებით, 60 ათასი მუშა-მოსამსახურეთა ოჯახი იყო, 30 ათასი კი - კოლმეურნეთა ოჯახი. საქართველოში იკვლევენ 2100 ოჯახის ბიუჯეტს (ყველა ოჯახის 0,16 პროცენტს), აქედან, 1331 მუშა-მოსამსახურის, 724 - კოლმეურნის, 45 კი- პენსიონერის ოჯახია. გამოსაკვლევ ოჯახთა ეს რაოდენობა განისაზღვრა 1969 წლის დასაწყისიდან. მანამდე მთლიანად ყოფილ "კავშირში" 62 ათასი, საქართველოში კი - 1425 ოჯახის ბიუჯეტებს სწავლობდნენ. შერჩეული შედეგები, ე.წ. რეპრეზენტაციული მეთოდის გამოყენებით, ვრცელდება მოსახლეობის მთელ მასაზე.

საოჯახო ბიუჯეტის გამოკვლევა ტარდება ნებაყოფლობით, ე.ი.

წინასწარ შერჩეული ოჯახის თანხმობით, სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოთა სპეციალური მუშაკების – ბიუჯეტის სტატისტიკოსების მიერ.

ამგვარი გამოკვლევებით მიღებული შედეგების ანალიზი იძლევა საშუალებას გაკეთდეს დასკვნები, რომელნიც გამოხატავენ მილიონობით ადამიანის ცხოვრების დონესა და წესში მიმხდარ ცვლილებებს. ახლა მსოფლიოს 150-ზე მეტ ქვეყანაში სწავლობენ ოჯახის ბიუჯეტს, მის დინამიკასა და სტრუქტურას.

საარსებო მინიმუმი. საარსებო მინიმუმი, ვიწრო გაგებით, სიღარიბის საზღვარია, ამიტომ იგი სახელმწიფოთა და მოქალაქეთა შრომითი საქმიანობის შედეგების საერთო შეფასების ყველაზე უფრო სარწმუნო კრიტერიუმად ითვლება. თუმცა, სამწუხაროდ, ვერა და ვერ ხერხდება რეგიონალურ დონეზე მისი დადგენა-განსაზღვრა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან თანამედროვე ცივილიზებულ ქვეყნებში სხვადასხვა წესჩვეულების გამო, განსხვავებული ტრადიციები, მოთხოვნები და მათი დამოკიდებულების ერთობ შეუდარებელი საარსებო საშუალებები წარმოიშვა. ასეა ზევრგან, ასეა საქართველოშიც.

და მაინც, საინტერესოა ვიცოდეთ, როგორია ჩვენი ცხოვრების დონე. ვინ და რამდენია ჩვენთან მდიდარი და ღარიბი... ამგვარი ცოდნის საშუალებას იძლევა საარსებო მინიმუმი – სიმდიდრესა და სიღარიბეს შორის არსებული საზღვარი. მისი დადგენის ყველაზე მისაღებ წესად ითვლება ე.წ. სამომხმარებლო ბალანსი, კერძოდ, იმ საარსებო საშუალებების ერთობლიობის ფულადი შეფასება, რაც საჭიროა ადამიანთა ნორმალური ცხოვრებისათვის. უნდა ვიცოდეთ რა სახისა და რაოდენობის სურსათ-სანოვაგე, ჩასაცმელ-დასახური და სხვა ფასიანი მომსახურება ესაჭიროება ადამიანს არსებობის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის.

ამ მიზნით, ზოლი პერიოდში ფართოდ გავრცელდა საოჯახო ბიუჯეტის შესწავლა. მასში ყველაზე უფრო სრულად აისახება ადამიანებისათვის საჭირო საარსებო საშუალებების მოპოვებისა და გამოყენების ბალანსი. საოჯახო ბიუჯეტში, - როგორც ზემოთ ითქვა, თავს იყრის ფული და ფულით შეფასებული ნატურალური შემოსავლის ერთობლიობა, რომელსაც იღებენ ოჯახის წევრები ყველა სახის სამუშაოდან და სხვა წყაროებიდან.

ამრიგად, საარსებო მინიმუმი ერთი მხრივ ახასიათებს ჩვენი ცხოვრების დონეს, თანაც, თავის მხრივ, შეიცავს არა მარტო ბიოლოგიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ხარისხს, არამედ იმ განსაზღვრულ მოთხოვნილებებსაც, რასაც ის საზოგადოებრივი პირობები წარმოშობენ, რომლებშიც ადამიანები ცხოვრობენ.

ვიდრე ე.წ. საბჭოთა პერიოდის სტატისტიკა ფარდაზარი ქვეყნის მოსახლეობის საარსებო მინიმუმის ისეთ საყურადღებო მაჩვენებლებს აუმნიშვნელოვნებდა, მიღებულ საერთო საკავშირო ნორმებს ავრცელებდა უცვლელად ყველა რესპუბლიკასა და რეგიონზე. ასე, მაგალითად, 1933 წელს ამ მიზნით გაანგარიშებული სიდიდე, რასაც მაშინ "ცხოვრების ღირებულების ბიუჯეტი" უწოდეს, და რომელიც შემდეგ 1956 წლის ფასებში გადაიანგარიშეს, 60 მანეთს არ აღემატებოდა. ეს ციფრი, მისი სპეციფიკური ხასიათის გამო, არ ქვეყნდებოდა. შემდგომ, 60-იანი წლების მეორე ნახევარში, საარსებო მინიმუმის დასახასიათებლად ახალი სიდიდე - 70 მანეთი "გამოიყენეს". 1990 წელს კი შესაბამისმა ორგანოებმა, სახელდობრ, "სახკომსტატმა" და შრომის სახელმწიფო კომიტეტმა საარსებო მინიმუმის ახალი მაჩვენებელი ([illegible] მანეთი) გაიგო ეს ქვეყნის მოსახლეობამ. ორი წლის შემდეგ იგივე ყოფილმა საკავშირო ორგანოებმა კვლავ "განსაზღვრეს" საარსებო მინიმუმის ახალი სიდიდე -20[illegible]

მანეთი და 75 კაპიკი. ეს თანხა ზემოთ ხსენებულ 97 მანეთს 2,15-ჯერ აღემატებოდა, მაშინ როცა საქონლის მომატებული საცალო ფასების ინდექსი, თანაც მარტო ე.წ. ზღვრული ფასების მიხედვით, 2,9-ს შეადგენს. შედეგი, სამწუხაროდ, ყოფილი სსრ კავშირის "სახალხო" მთავრობამ მოზარდთა და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის განკუთვნილი ჩასაცმელ-დასახურის საცალო ფასები 3,5-ჯერ გაადიდა, მათ შორის, სასკოლო ფორმის შესაკერი ქსოვილის საცალო ფასები — 4,13-ჯერ, საბავშვო თხილამურებისა 3,4-ჯერ, რვეულებისა – 10-ჯერ. დაუსაბუთებლად გაიზარდა, აგრეთვე, რკინიგზის, საავიაციო, საზღვაო და საქალაქო ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის მომსახურების გადასახადები და განაკვეთები.

ყოფილი სსრ კავშირის დაშლის შემდეგ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი რესპუბლიკები (ქვეყნები) თავად ადგენენ თავიანთი მოსახლეობის საარსებო მინიმუმს. ასეა საქართველოშიც. 1993 წლის 1 ივნისისათვის ეს მაჩვენებელი სამი ათასი მანეთით განისაზღვრებოდა, მაშინ, როცა ე.წ. სამომხმარებლო კალათის ღირებულება, რაც, თავის მხრივ, საფუძვლად უნდა ედოს საარსებო მინიმუმის განსაზღვრას, ერთი-ორად უფრო მეტი იყო.

აღნიშნულის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ, ადგილობრივი საქონელწარმოების სისტემატური შემცირებისა და უკმარობის გამო, არსებული ფული სრულ ინფლაციას (გაუფასურება) განიცდის და ე.წ. ჰიპერინფლაციის ზღვარს უახლოვდება.

არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ღარიბისათვის კიდევ უფრო მძიმე ვითარებაა შექმნილი საქონლის დეფიციტისა, და, აქედან გამომდინარე, "შავი ბაზრის" მაღალი ფასების გამო.

ამგვარად, საბაზრო ურთიერთობის შემოღება-განვითარება არა მარტო საარსებო მინიმუმის სწორად დადგენის აუცილებლობას მოითხოვს,

არამედ, ოჯახთა ბიუჯეტის შესწავლის სფეროს გაფართოება-გაღრმავებასაც. არადა, ბაზრის ელემენტების გაძლიერების ნიადაგზე წარმოშობილი საკუთრების მრავალფეროვნება არსებითად ცვლის მოსახლეობის შემოსავლის არხებს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თავისუფალ მეწარმეობას, სააქციო საქმიანობასა და, აქედან გამომდინარე, პროცენტებს, დივიდენდებს, უმუშევართა დახმარებებს და ა.შ. ამასთან, როგორც ითქვა, სწრაფად იზრდება სამომხმარებლო საქონლის საცალო ფასები, რაც, თავის მხრივ, აჩქარებს ინფლაციის ტემპს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ოჯახის ბიუჯეტის ტრადიციულ კვლევის პარალელურად, შემოღებული უნდა იქნეს მისი პერიოდული, ანუ მომენტალური შესწავლის პრაქტიკა, რათა შესაძლებელი გახდეს ამ გზით მიღებული შედეგები საფუძვლად დაედოს მოსახლეობის სხვადასხვა ფენისა და მომუშავეთა კატეგორიის შემოსავლების ინდექსაციას.

<u>მოსახლეობის შემოსავლები და მათი ინდექსაცია</u>. შემოსავლების ინდექსაციის არსისა და მნიშვნელობის დასახასიათებლად საჭიროა ვიცოდეთ ისეთი კატეგორიები, როგორიცაა: ნომინალური და რეალური ხელფასი, საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობა, საგარეო ვაჭრობა, ფასები, "ცხოვრების ღირებულება" და სხვა.

ინდექსაცია საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ ცხოვრების დონეზე მოქმედი ფაქტორები და მათი გავლენის ხარისხი, ის, თუ რა იწვევს მისი ღირებულების გაძვირება-გაიაფებას, როგორია სამომხმარებლო საქონლის ფასების დონე და რეალური შემოსავლის განკარგვადი ფულის მსყიდველობითი უნარი. ჩვენი ცხოვრების დონე დამოკიდებულია არა მარტო შემოსავლების ოდენობაზე, არამედ ფასების მასშტაბზე და, რაც ერთობ მნიშვნელოვანია, ფულის მსყიდველობით უნარზე.

მოსახლეობის შემოსავლებისა და ფასების ინდექსების ზრდის ტემპი ერთმ განსხვავებულია და პირველი საგრძნობლად უსწრებს ფასების ინდექსების ტემ-პებს. ამის მიუხედავად, ბოლო ხანებში მოსახლეობის ფულადი შემოსა-ვლების დიდ ნაწილს სრულიად გაუმართლებლად "შთანთქავს" საცალო ფასების გაუგონარი ზრდა.

ყოველივე ამას, სამწუხაროდ, ემატება ჩვენში ტრადიციად ქცეული ე.წ. გათანაბრებული ფულის დიდი მასა, ანუ ხელფასად ქვე-ული ფულის ის რაოდენობა, რომელიც შრომის ნაყოფიერების ზრდისა და, აქედან გამომდინარე, შესაბამის დასაქონლებას არ ექვემდებარე-ბა, ფულს კი "გამოშიშვლება" და დასაქონლება უნდა.

თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც შემოსავლების ინდექსაციას ფართოდ იყენებენ კაპიტალისტური ქვეყნები. მათგან უპირატესად დასავლეთ ევროპაში, აშშ-ში, კანადაში და იაპონიაში. ყოველ სხვა კაპიტალიზმში ან ზოგიერთს თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცევა.

თუ აშშ-ის მაგალითის მიხედვით ვიმსჯელებთ, მაშინ არ შეიძ-ლება არ აღვნიშნოთ ის დადებითი გამოცდილება, რაც ამ ქვეყანაში არსებობს, სწორედ ხელფასის მოცულობასა და ფულის მსყიდველობით უნარს შორის თანაფარდობის დაცვის მიზნით. აქ საკანონმდებლო წესით შეისწავლება 60 მილიონი მუშა-მოსამსახურის, 36 მილიონი სახელმწიფო დახმარებას დაქვემდებარებული მოქალაქის, 3 მილიონი ყოფილი სამხედრო მოსამსახურის შემოსავლების ინდექსაცია. ისინი ფასების ინდექსით განსაზღვრავენ, აგრეთვე, მოსწავლეების კვების ღირებულებას, მათი რიცხვი კი, 24 მილიონია.

ინდექსაციის წარმართვისათვის აუცილებელია ყველა საქონლის ასორტიმენტის, ხარისხის, სამომხმარებლო თვისებებისა და ვარგისი-ანობის დადგენა, მათი ფასების ზუსტად განსაზღვრა, ბაზრის კონიუ-ნქტურის გათვალისწინება, მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების, მათი

სოციალური შემოსავლების, ჭარბმოგებისა და სხვა თვისებების გა-ნაწილება და ა.შ.

## ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. ეკონომიკური თეორიის საფუძვლები, პროფ. გ. ალფიშვილის რედაქციით, ნაწ. I, თავი VII, თბ., 1992.
2. პ. სამუელსონი, ვ. ნორდჰაუსი, ეკონომიკსი, სახელმძღვანელო, თავები 12, 13, 34, თბ., 1992.
3. ე. ელიზბარაშვილი, ძირითადი ეკონომიკური კანონი და საბაზრო პრაქტიკა, თავი V, თბ., 1999.

## თემა 8. საზოგადოების გლობალური მოდელები და ეკონომიკური რეფორმები

ძირითადი საკითხები:

1. თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკური იერ-სახე;
2. "შერეული ეკონომიკა". ტრანსნაციონალური კორპორაციები; "იმიჯის" კონცეფცია. კონვერგენციის თეორია;
3. ეკონომიკის ჩინური მოდელი.

<u>თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკური იერ-სახე</u>. თანამედროვე საზოგადოებრივი აზროვნების ერთ-ერთი ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიშანია ადამიანთა საზოგადოების გლობალური (საყოველთაო) მოდელების შექმნის ტენდენცია. მისი არსი გამოიხატება იმის ცდით, რომ გამოინახოს განვითარების რაღაც საერთო-საკაცობრიო ხაზი, რომელიც თითქოს დამახასიათებელია ცალებრივ ყველა საზოგადოებისათვის, დამოუკიდებლად მათი ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილებისა. ამ გლობალურმა მოდელებმა, მათი ავტორების აზრით, უნდა განსაზღვრის მომავალი "მსოფლიო გაერთიანების" არსებითი მხარეები.

ამასთან, ამ ტიპის სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვების პროცესს ხელს უწყობს სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის ცნობილი ცვლილებები, რაც, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია მსოფლიო სამეურნეო მექანიზმის გაუმჯობესებასთან, მათ შორის, ტრანსნაციონალური (მრავალეროვნული) კორპორაციების შექმნასთან. თითქოსდა "იდეებს" ცოტა უფრო ადრინდელი "ულტრა იმპერიალიზმის" ზე-საიმპერიალისტური თეორია, აგრეთვე, კიდევ უფრო ადრინდელი ულტრა-იმპერიალიზმის კონცეფცია, რომლის ავტორი იყო კარლ კაუცკი - (1854-1938 წწ.).

თანამედროვე ბურჟუაზიული მოდელების შექმნის ტენდენცია განპირობებულია იმ გარემოებით, რომ: ჯერ ერთი, გაუარესდა და გამწვავდა ეკოლოგიური პრობლემები, მეორე, ვიწრო ემპირიული გამოკვლევებს არ ძალუძთ დაძლიონ თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების რთული კომპლექსური პრობლემები; მესამე, ნეიტრალიზებულ იქნა კომუნისტური იდეები და მოხდა მარქსიზმ-ლენინიზმის დისკრედიტირება.

"შერეული ეკონომიკის" თეორია. თანამედროვე თეორიათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია "შერეული ეკონომიკის" თეორიას. მისი ამერიკელი წარმომადგენლების (ს. ჩეიზი, ა. ჰენსენი, ჯ. [illegible], ნ. ადლერი და სხვ) აზრით, ამჟამად, არა თუ იმპერიალიზმი არ არსებობს, რომელიც "შერეულმა ეკონომიკამ" შეცვალა, არამედ არ არსებობს თვით კაპიტალიზმიც კი. იგივეს იმეორებენ ინგლისელი პროფესორ-ეკონომისტი შაშნი, ფრანგი სოციოლოგი მ. კორლინი და სხვები.

"შერეული ეკონომიკის" თეორიის მიხედვით, თანამედროვე კაპიტალისტურ მეურნეობაში შეთანწყობილია ძირითადად ორი სექტორი – კერძო და სახელმწიფოებრივი სექტორები. კერძო სექტორის კაპიტალისტური გზით განვითარება არ ეწინააღმდეგება სახელმწიფოებრივი სექტორის განვითარებას, პირიქით, "ხელს უწყობს" მას. მეტიც, მეურნეობის ამ ორი სექტორის თანაარსებობა არის "შერეული ეკონომიკის" საფუძველი.

"შერეულ ეკონომიკაში" ერთმანეთთან შეთავსებულია "ლიბერალიზმი" და "ცენტრალური დაგეგმვა". ამ ორი სისტემას შეესაბამება ისეთი ტერმინები, როგორიცაა: "გარდაქმნილი კაპიტალიზმი", "მოწესრიგებული თავისუფალი მეწარმეობა", "კეთილდღეობის სახელმწიფო" და სხვა.

თანამედროვე კაპიტალიზმი ერთიანი საზოგადოება ხდება. [illegible]

მეურნეობის ინტერნაციონალიზმა სისწრაფეს უმატა. ფეხს იდგამს ახალი აზროვნება. ქვეყნები ერთმანეთს ეჯიბრებიან საზოგადოებრივი განვითარების უფრო მიმზიდველი "მოდელის" შექმნაში, პიროვნების თვითრეალიზაციის საუკეთესო პირობების უზრუნველყოფაში, ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტაში მეტიც, ბევრი ქვეყანა გასული საუკუნის კლასიკური კაპიტალიზმიდან პირდაპირ გადავიდა შერეულ ეკონომიკაზე. ამის გამო მსოფლიო პოლიტიკაში ხდება წესრიგის შეცვლა. საერთაშორისო ურთიერთობაში ვითარდება პოლიტიკურ-მორალური ფაქტორების როლი.

თანამედროვე მსოფლიო განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძინა ისეთმა ფაქტორებმა, როგორიცაა: ბირთვული საფრთხე, მეცნიერებისა და ტექნიკის უპრეცედენტო შედეგები, ეკოლოგიური საშიშროება, პრინციპულად ახალი სიტუაცია ინფორმატიკაში და სხვა.

ფართო გასაქანი ეძლევა ტრანსეროვნული კორპორაციების საქმიანობას. ისინი ჩვენი საუკუნის 60-იანი წლების მიწურულში აღმოცენდნენ აშშ-ში და ახლა იქ ეწევიან თავის სამეურნეო საქმიანობას, სადაც ამისათვის ყველაზე ხელსაყრელ პირობას პოულობენ. სწორედ ისინი წარმოადგენენ ამერიკის "მეორე ეკონომიკის" ბირთვს.

დამახასიათებელია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ტრანსეროვნული კორპორაციები იყენებენ "დიდი კომბლის" პოლიტიკას. მათ შეუძლიათ, როგორც სახელმწიფო დახმარების გამოყენება, ისე დამოუკიდებელი მოქმედება. ამასთან, მძლავრობენ დაიპყრონ სახელმწიფო ფუნქციები.

<u>"იმიჯის" კონცეფცია</u>. დღეს წინა პლანზე იწევს იდეალური ცხოვრების წესის ("იმიჯის") შექმნა-განვითარების კონცეფცია. ამგვარ თეორიებს უკავშირდება საზოგადოებრივი ფორმაციების შინაარსობრივი და ქრონოლოგიური შეცვლის უოლტერ როსტოუსეული (აშშ-ის სახე-

პარლამენტის მრჩეველი) სქემა. არსებული ფორმაციების ნაცვლად, იგი "გვთავაზობს" საზოგადოებრივი განვითარების შემდეგნაირ პერიოდიზაციას: 1. ტრადიციული საზოგადოება, რომელიც მოიცავს პირველყოფილ, მიწათმფლობელურ და ფეოდალურ ფორმაციებს; 2. გარდამავალი საზოგადოება (მონოპოლისტურამდელი კაპიტალიზმი); 3. ბვრის პერიოდი (ინდუსტრიალიზაციისა და სამრეწველო რევოლუციის პერიოდი); 4. სიმწიფის პერიოდი (ქვეყნებს შორის მაღალგანვითარებული ურთიერთობის პერიოდი); 5. მასიური მოხმარების უმაღლესი დონის ერა.

ეს უკანასკნელი მიღწეულია მხოლოდ აშშ-ში და ამით ჩაავრდება კიდეც ისტორია.

ფრანგმა სოციოლოგმა ა. არონმა, ეყრდნობოდა რა აღნიშნულ "კლასიფიკაციას", ცნებები - "კომუნიზმი" და "სოციალიზმი" შეცვალა ცნებით - "ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოება".

სწორედ ამგვარ თეორიებს მოყვა ორი სისტემის - კაპიტალიზმისა და სოციალიზმის "ჰიბრიდიზაცია", მათი "სინთეზის", ერთიანი, "შერეული" საზოგადოების შექმნის იდეა, ე.წ. "კონვერგენციის" ცნობილი მოდელის აგების ცდები. 1961 წელს იან ტინბერგენმა წამოაყენა ორი სისტემის კონვერგენციის თეორია. საუკეთესო წყობაა, - აღნიშნავდა იგი, - "კაპიტალისტური ეფექტიანობის" და "სოციალისტური თანასწორობის" ზოგიერთი ელემენტის სინთეზი.

1960-იანი წლების ევროპაში გავრცელებული იყო, აგრეთვე, სოციალისტური კონვერგენციის თეორია, რომელიც მალე, 1964 წელს, ჟენევაში გამართულ კონფერენციაზე თითქმის საბოლოოდ "დაიმსხვრა".

ამგვარ თეორიათა გაზიარების საფუძველზე ცნობილმა უკრაინელმა გალინა ლიონტიევამ, საერთოდ, ეკონომიკა იაღქანს შეადარა, რომელსაც ესაჭიროება: ქარი, თავი იაღქანი და საჭე იგი 1931

წლიდან ამერიკაში ცხოვრობდა. 1973 წელს იქვე მიიღო ნობელის პრემია.

ამერიკული ინსტიტუციონალიზმი, როგორც ბურჟუაზიული პოლიტეკონომიის მიმართულება, აღმოცენდა აშშ-ში, XX საუკუნის 20-იან წლებში. ამ სკოლის ფუძემდებელია ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი და სოციოლოგი ტ. ვებლენი. იგი იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც გამოიყენა ეკონომიკური მოვლენების ანალიზისადმი ტექნოლოგიური მიდგომა. მან საზოგადოების მამოძრავებელ ძალად ტექნიკა ჩათვალა და ამ გზით უარყო სოციალური რევოლუციები. მას ეკუთვნის თეზისი - "ინჟინრების რევოლუციისა" და მომავალ საზოგადოებაში ტექნოკრატიის ბატონობის შესახებ.

ტ. ვებლენის თეორია ფართოდ გავრცელდა ეკონომიკურ მეცნიერებაში და საფუძვლად დაედო ჯერ "ინდუსტრიული" (ჯ. გელბრეიტი), შემდეგ კი "პოსტინდუსტრიული" (დ. ბელი), "ინფორმაციული" და სხვა სახის თეორიების ჩამოყალიბებას.

ინსტიტუციონალიზმმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა დასავლეთის პოლიტეკონომიაზე და, საერთოდ, ეკონომიკურ აზროვნებაზეც. ინსტიტუციონალისტები იზიარებენ ისეთ იდეებს, როგორიცაა: ანტიმილიტარიზმი, კორპორაციების მონოპოლიური ძალაუფლების შეზღუდვა, ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხების გადაჭრა მიკრო და მაკრო დონეზე, გარემოს დაცვა, მშვიდობიანი თანაარსებობა და სხვ.

თანამედროვე ნეოინსტიტუციონალიზმის წარმომადგენლად გვევლინება ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი რ. ჰეილბრონერი. მან თავითვე უარყო რევოლუციური გარდაქმნები და ახალ საზოგადოებაზე გადასვლის მხოლოდ ევოლუციურ გზებზე მიგვანიშნა.

ჩვენს დროში ერთობ მრავალფეროვანი და ალტერნატიული ყაიდის სახელმწიფოებრივი მოდელები შემოვიდა "მოქმედებაში". ასე, მაგა-

ლიად, 60-იანი წლებიდან მსოფლიო ალაპარაკა ე.წ. "შვედურმა მოდელმა". იგი ყოფა-ცხოვრების მრავალ საკითხს მოიცავს, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს შრომის ორგანიზაციასა და მისი ანაზღაურების ახალ-ახალ ვარიანტებს. ბოლოს, ამ ბოლო ხანებში შვედმა სახელმწიფო მოღვაწეებმა და სპეციალისტებმა თავისი ქვეყნის პარლამენტს შესთავაზეს საქმიანობის ახალი პრიორიტეტული მიმართულება, რომელიც შემდეგ ოთხ ძირითად მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს: 1. შვეცია უნდა გახდეს ევროპული თანამეგობრობის აქტიური წევრი; 2. უნდა შემცირდეს მცირე საწარმოთა და კომპანიათა გადასახადები, რათა გააქტიურდეს "საქმიანი" ცხოვრება და არსებითად იკლოს უმუშევრობამ; 3. 25-დან 18 პროცენტამდე უნდა შემცირდეს ის ე.წ. აქტიური გადასახადები, რომლითაც იბეგრება კვების პროდუქტების გაყიდვა, ტურისტული საქმიანობა და რესტორნების მუშაობა; 4. არსებითად უნდა გაუმჯობესდეს მოხუცთა, ავადმყოფთა და ინვალიდთა მომსახურების სისტემა.

ეკონომიკის ჩინური მოდელი. ჩინეთში მიმდინარე საბაზრო რეფორმა, რომელიც "გაიგეს" სახელწოდებით არის ცნობილი და ფაქტობრივად 1978 წლიდან იღებს სათავეს, მეტად ნიშანდობლივი მოვლენაა. ასეა, რადგან დიდ წარმატებებს თან ახლავს ქვეყნის საკმაოდ სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების სიმცირე და ა.შ.

რეფორმა მოიცავს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თითქმის ყველა სფეროს: მატერიალურ წარმოებას, მართვას, დაგეგმვას, ფინანსებს, ფასებს, საქონელბრუნვას, გადასახადებს, საგარეო ვაჭრობას.

მისი ძირითადი ამოცანაა, წარმოებითი ურთიერთობების მოწესრიგების მიზნით, შექმნას ისეთი საბაზრო მექანიზმი, რომელიც [illegible]

ცხლისუნარიანს გახდის ეკონომიკას, გაააქტიურებს შრომით კოლექტივებს, მაღალ დონეზე აიყვანს ხალხის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს.

რეფორმით დასახულ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც ჩვენ ჩინური იდეოლოგიის სახელმძღვანელოებით ხორციელდება, ოთხი ცნებით (ტერმინით) არის შედუღაბებული, ესენია: "განმტკიცება", "ათვისება", "დალაგება", "გაუმჯობესება".

ეკონომიკის ჩინური მოდელი, რასაც იქ "გეგმიან საქონლურ მეურნეობასაც" უწოდებენ, საკუთრების სამ ძირითად ფორმას ეყრდნობა: სახელმწიფოს, კოლექტიურს და კერძოს. ამის მიუხედავად, მიმდინარე გარდაქმნებს სოციალისტური ხასიათი აქვს, თვით ჩინელი სპეციალისტების თქმით, ქვეყნის სპეციფიკური სამეურნეო სისტემა არსებითად განსხვავდება მსგავსი კაპიტალისტური მოდელებისაგან.

ჩინური რეფორმა იმდენად მასშტაბურ სამეურნეო უფლებებსა და პასუხისმგებლობას ანიჭებს წარმოების ხელმძღვანელებს (დირექტორებს), რომ მათი ნაწილი პირველ ხანებში ვერც კი ეგუება გაზრდილ მოთხოვნებს, ზოგმა უარი განაცხადა დაკავებულ თანამდებობაზე.

ამასთან, ენერგიულ, საქმიან და მოწოდებულ დირექტორთა დიდ ნაწილს ესმის რეფორმით დასახულ გარდაქმნათა მნიშვნელობა, თავგანწირვით იცავს მინიჭებულ უფლებებს: დამოუკიდებლობასა და პასუხისმგებლობას.

იცვლება პარტიული ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდები: ამიერიდან საწარმოო პარტკომების ძირითადი ფუნქციაა მშრომელთა იდეოლოგიური აღზრდა. ისინი გარკვეულ კონტროლს უწევენ აღზრდას, პარტიის ხაზის განხორციელების საქმეს.

• ჩინეთში მიმდინარე სამეურნეო რეფორმის ყველაზე მთავარი მიზანი შეიძლება გამოიხატოს ფორმულით: საკუთრების უფლებისა და

მეწარმეობის გამოყენება. განსაკუთრებით, ეს იმას ნიშნავს, რომ ძირითადი საწარმოო ფონდები, ქარხნები და მიწა სახელმწიფოს საკუთრებაა, საქონლის მარაგი სახელმწიფო საწარმოთა და ცალკეული გლეხური ოჯახების ხელშია, მეწარმეობის სხვა ფორმები კი იმდენად განსხვავებული და თავისუფალია, რომ შეიძლება საამქროთა იჯარით აღება, აქციონერულ საწარმოთა შექმნა, სამუშაო ძალის დაქირავება და ა.შ.

ჩინეთის მოქმედი საკანონმდებლო აქტების მიხედვით, მთავრობა ახალისებს კერძო მეწარმეობას, იგი სახელმწიფო სექტორის არსებითად დამატებად არის მიჩნეული. ამ კატეგორიის მუშაკთა რიცხვი 1978 წელს 150 ათასი იყო, 1985 წელს 17 მილიონი გახდა, 1990 წლისათვის კი, 60 მილიონს მიაღწია.

ასეთი საქმიანობა უპირატესად ვითარდება საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და ვაჭრობის დარგებში. არანაკლები მნიშვნელობა აქვს საწარმოო ინიციატივის განვითარებისათვის შემუშავებულ მექანიზმს. მთავარი "ეშხი და მარილი" თავგამოცანაშია. წარმოების ერთი მესამედი ექვემდებარება რესურსებით უზრუნველყოფილ სახელმწიფო სადირექტივო გეგმას. შემდეგ მოდის ე.წ. მიმართულებითი, ქოსტურსო გეგმა. იგი მხოლოდ დადგენილი ფასებით პროდუქციის გასაღების გარანტიას იძლევა. დანარჩენი საქმიანობა ექვემდებარება საბაზრო კონიუნქტურას. ეს იმას ნიშნავს, რომ შესაბამისი ქარხანა თვითონ აწარმოებს სათანადო რესურსებით უზრუნველყოფის საქმეს და თვითონვე ასაღებს წარმოებულ პროდუქციას.

ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში ყალიბდება კონკურენციული მოტივაცია – საბაზრო ეკონომიკის ნაირსახეობა. ეს იმას ნიშნავს, რომ მაღალი ხარისხის და ტექნიკურად სრულყოფილი პროდუქციის გამომშვები საწარმო ხელსაყრელ სარეალიზაციო ფასებს დაიწესებს და გამო-

ტრდება, წინააღმდეგ შემთხვევაში გაკოტრება ელის. თანაბარ პირობებში მომუშავე საწარმოებიდან ის იქნება რენტაბელური, რომელიც მიაღწევს ცოცხალი და განივთებული შრომის დანახარჯთა ეკონომიას, ე.ი. საერთო დანახარჯების შემცირებას.

ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში განვითარების უმაღლეს საფეხურზე აყავთ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა. საბაზრო მეურნეობას ექვემდებარება თითქმის ყველაფერი: წარმოების საშუალებები, სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევები, ფინანსები, შრომითი რესურსები, მასიური მოხმარების საგნები. სხვანაირად რომ ვთქვათ, მოქმედებას იწყებს წარმოების ეფექტიანობის ზრდაზე მიმართული ეკონომიკური ბერკეტების მთელი სისტემა.

ეკონომიკის ჩინური მოდელი ითვალისწინებს, აგრეთვე, წარმოების სტრუქტურულ სრულყოფას. ყალიბდება, მაგალითად ე.წ. "ჰორიზონტალური" გაერთიანებები, რომლებშიც შედის სხვადასხვა დარგის საწარმოები.

ჩინელები ეკონომიკაში ინიციატივის გაძლიერების სხვა ფორმებსაც ახალისებენ. საწარმოებს უფლება ეძლევათ გამოუშვან აქციები და ფასიანი ქაღალდი, რათა მიიზიდონ მოსახლეობა.

აქციონერული ეკონომიკის განვითარებას არა მარტო სამეურნეო, არამედ პოლიტიკური და უფლებრივი მნიშვნელობაც აქვს. ერთი-ორი აქციის შემსყიდველი მუშა აქტიურად მონაწილეობს შესაბამისი საწარმოს მართვაში, სამეურნეო ანგარიშის გააქტიურებაში, მომგებიანობისათვის ბრძოლაში.

როგორც ცნობილია, ჩინეთის მოსახლეობის უმრავლესობა (800 მლნ) სოფლად ცხოვრობს. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას თავისთავად, არამედ მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასაც. ამ მიმართულებით ზო-

ლო ხანებში, კერძოდ, 1979 წლიდან, უმეტესად ტევადი და ელექტრო ღონისძიებები ხორციელდება.

1985 წელს ჩინეთმა მოიწია მარცვლეულის არნახული მოსავალი – 407 მილიონი ტონა, ასეთი მოსავალი არ ჰქონია მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას. მაგრამ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, იგი ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა, ერთ სულ მოსახლეზე წარმოების მიხედვით. ასე, რომ, როგორც ქუხს, ისე არ წვიმს ხოლმე.

ჩინეთში ფართოდ გავრცელდა საოჯახო იჯარა. ახლა ქვეყნის გლეხურ მეურნეობათა 96 პროცენტი საოჯახო იჯარის საწყისებს იყენებს. ოჯახებზე და ცალკეულ კოლექტივებზე გადაცემული მიწის ნაკვეთები, რაც 15 წლიანი ხელშეკრულებით ფორმდება, 0,5 ჰექტარიდან 40 ჰექტარამდე აღწევს. ამ ნაკვეთებს იღებენ უმეტესად ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონების მაზრებში შემავალი სასოფლო თემების მცხოვრებნი; ასეთ ამ ნაკვეთებზე, მარცვლეულის გარდა, მოჰყავთ ბოსტნეული და სხვა სახის სასოფლო-სამეურნეო კულტურები.

ჩინეთში მიმდინარე სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა მეტ-ნაკლებად ნიშით ეხება ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებას, ფინანსებსა და საკრედიტო საქმიანობას.

აქ მოსახლეობის რეალური შემოსავლის ზრდამ გამოიწვია ვაჭრობის გაცხოველება: გაჩნდა სპეციალიზებული ბაზრები, იმატა სამომხმარებლო საქონლის რაოდენობამ, გაუმართლებელი ხასიათი მიიღო მასიური მოხმარების საქონლის იმპორტმა, დაიწყო საცალო ფასების კლება. არადა, სულ ახლახან, ქვეყანაში წარმოებული მსუბუქი და საკვები მრეწველობის პროდუქციის 15–20 პროცენტი საერთოდ ვერ საღდებოდა.

ქვეყნის მსხვილი სახელმწიფო ვაჭრობის გვერდით ადგილს იმკვიდრებს კერძო საქმიანობა, შერეულ სავაჭრო ორგანიზაციებში არსებობს

საიჯარო და საარენდო ურთიერთობა. გაჩნდა კერძო მაღაზიები და სა-რესტორნო სახელოსნოები. ისინი, რაოდენობრივი სიმცირის მიუხედა-ვად, კონკურენციას უწევენ სახელმწიფო საწარმოებს, ხელს უწყობენ შრომითი მოწყობის პროცესს. ახლა 17 მილიონი შრომისუნარიანი ჩი-ნელი სამუშაოს ელოდება.

დაბოლოს, არც ისე დიდი ხნის წინათ ჩინეთს უცხოური ტურიზმის დარგში სიმბოლური "ჩინური კედელი" ჰქონდა შემოვლებული, რომელსაც ჩიტიც ვერ გადაუფრენდა. ახლა კი მსოფლიოს 140 ქვეყნიდან 20 მი-ლიონამდე ტურისტი და სხვა მოგზაური შედის ქვეყანაში. ამ გზით სახელმწიფო ხაზინას მილიარდობით დოლარი ემატება.

ყოველივე თქმულის მიუხედავად, აქა-იქ წარმოიშვა ქვეყნისთვის შეუფერებელი ნეგატიური მოვლენები: ფასების უკანონო ზრდა, გადა-სახადის მიმალვა, კონტრაბანდა, სპეკულაცია. ყოველივე ამას ეკო-ნომიკურ დანაშაულობებს უწოდებენ.

ამასთან ერთად, როგორც დასაწყისში ითქვა, ბევრი უკმარობა ახლავს თავად ეკონომიკას. 1990 წელს აქ გამომუშავებული ელე-ქტროენერგია მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით 552 კილოვატ-საათს არ აღემატება, მაშინ როცა აშშ-ში 12659 კილოვატსაათს აღ-წევს. ჩინეთში გამოდნობილი ფოლადი, იგივე, ერთ სულზე გაანგარი-შებით, 55 კგ-ის ტოლია, მაშინ როცა ჩეხოსლოვაკიაში 939 კგ-ს უდრის. ჩინელი მეავტომობილეები ყოველ ათას სულზე ერთ მსუბუქ ავტომობილსაც კი ვერ უშვებენ, მაშინ როცა იაპონიაში იგივე მა-ჩვენებელი 81 ცალს აღწევს. ქვეყანაში მოიკოჭლებს ქსოვილებისა და ფეხსაცმლის, შაქრის ჭარხლის, კარტოფილის, ხორცისა და რძის წარმოება.

სოფლის მეურნეობაში რეფორმით მიღწეული ზემოხსენებული წარ-მატებების მიუხედავად, ჩინეთი მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებ-

ლი მარცვლეულის მიხედვით, ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზე განვითარებულ სახელმწიფოთა შორის. ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალმოსავლიან, 1990 წელს, 338 კილოგრამს უდრიდა, მაშინ როცა აშშ-ში იგი 1253 კილოგრამს აღწევდა, ყოფილ სსრ კავშირში კი-764 კგ-მი იყო.

ახლა ბევრი საზრუნავი აქვთ ქვეყნის მიწათმოქმედებს. დიდ სირთულეებს ქმნის წარმოების ინტენსიური ფაქტორების გამოლევა. ძნელდება კადრების, კერძოდ, სპეციალისტების გამოყენება: ერთი მილიონი სწავლული აგრონომიდან მხოლოდ ნახევარია დასაქმებული. ქვეყანაში შესამჩნევად მცირდება სავარგულები, კერძოდ, სახნავ-სათესი ფართობები. ახლა ჩინეთის მოსახლეობის ერთ სულზე ჰექტარი სახნავი მოდის, ეს კი 3-ჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე საშუალოდ მსოფლიოში.

ახლა ჩინეთში ყველაზე მთავარ საკითხად ითვლება კერძო საკუთრების ბედი, ის, თუ რამდენად შეესაბამება იგი სოციალიზმს. ამაზე მუშაობს მთავრობა, სწავლული მოსახლეობა, საზოგადოებრივი მეცნიერების წარმომადგენლობა.

ამ პრობლემების ფონზე მეტად საჭიროა იმის თქმა, თუ საით მიდის თანამედროვე, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გზაზე მდგარი საქართველო. ამასთან დაკავშირებით, 1992 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ე. შევარდნაძემ თავის წინასაარჩევნო სიტყვაში თქვა: ჩვენ ვაშენებთ ეროვნულ სახელმწიფოს ცივილიზაციის თანამედროვე მოთხოვნების, თანამედროვე დემოკრატიული სტანდარტების გათვალისწინებით. ცოცხალი საზოგადოება იქნება სინთეზი (ხაზი ჩემია – ქ. ე.) იმისა, რაც კი რამე პროგრესული შეუქმნია კაცობრიობას ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის დროს, თავისი განვითარების ყველა

ეტაპზე.

## ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. პ. სამუელსონი, ვ. ნორდჰაუსი, ეკონომიკსი, თბ., 1992.
2. ეკონომიკური თეორიის საფუძვლები, პროფ. გ. ადეიშვილის რედაქციით, ნაწ. II, თავები XXIV-XXV, თბ., 1992.
3. კ. ელიზბარაშვილი, სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი და სამეურნეო პრაქტიკა, თავი XII, თბ., 1989.

## თემა 9. უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური თეორიები

ძირითადი საკითხები:

1. ძველი სამყაროს ადამიანთა წარმოდგენები და შეხედულებანი;
2. ფეოდალურ-ბატონყმური ეპოქის ეკონომიკური მოძღვრებანი;
3. მერკანტილიზმი;
4. კაპიტალიზმის ეპოქის ეკონომიკური თეორიები;
5. ფიზიოკრატები. ადამ სმითი და დავით რიკარდო;
6. ავსტრიული სკოლა. მალთუსი;
7. უტოპიური სოციალიზმი, მარქსიზმი;
9. ილია ჭავჭავაძე, თ. ვებლენი, ჯ. გელბრეიტი, ჯ. კეინსი.

### ძველი სამყაროს ადამიანთა წარმოდგენები და შეხედულებანი.

ადამიანის წარმოშობა დედამიწის ისტორიის ახლანდელი მეოთხეული პერიოდის დასაწყისს მიეკუთვნება. ეს პერიოდი, მეცნიერთა აზრით, მილიონ წელიწადზე ცოტა ნაკლებს ითვლის. ევროპის, აზიისა და აფრიკის სხვადასხვა მხარეში, სადაც თბილი და ნესტიანი ჰავა იყო, ცხოვრობდა ადამიანის მსგავს მაიმუნთა მაღალგანვითარებული ჯიში. მეტად ხანგრძლივი განვითარების შედეგად, რომელიც რიგ გარდამავალ საფეხურს მოიცავს, ამ შორეულ წინაპართაგან წარმოსდგა ადამიანი.

ადამიანის გაჩენა ერთ-ერთი უდიდესი მობრუნება იყო ბუნების განვითარებაში. ეს მობრუნება მოხდა მაშინ, როცა ადამიანის წინაპრებმა შ რ ო მ ი ს ი ა რ ა ღ ე ბ ი ს კ ე თ ე ბ ა ი წ ყ ე ს.

შრომამ და დანაწევრებულმა მეტყველებამ გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ადამიანის ორგანიზმის სრულყოფაზე, მისი თ ა ვ ი ს ტ ვ ი ნ ი ს განვითარებაზე. ენის განვითარება მჭიდროდაა დაკავ-

შირებული აზროვნების განვითარებასთან. შრომის პროცესში ყალიბ-დებოდა ადამიანის აღქმათა და წარმოდგენათა წრე, სრულყოფილი ხდე-ბოდა გრძნობათა ორგანოები. ადამიანის შრომითმა საქმიანობამ, ცხო-ველთა ინსტინქტური მოქმედებისაგან განსხვავებით, შეგნებული ხა-სიათი შეიძინა.

ამრიგად, შრომა "ადამიანის მთელი სიცოცხლის პირველი ძირითა-დი პირობაა და მასთან, იმდენად, რომ როგორც აღნიშნავენ, "შრომამ შექმნა თვით ადამიანი" (ფ. ენგელსი). შრომის მეოხებით წარმოიშვა და განვითარება იწყო ადამიანთა საზოგადოებამ.

პირველყოფილ ადამიანს რამდენადმე დალაგებული წარმოდგენა არ ჰქონდა არც თავის თავზე, არც თავისი არსებობის ბუნებრივ პირო-ბებზე. შემდგომ თანდათანობით გაუჩნდა მეტად პრიმიტიული და შე-ზღუდული წარმოდგენები ზებუნებრივ არსებებზე, სულებზე, ჯადოსნურ ძალებზე. წარმოიშვა ე.წ. ანიმიზმი (ლათ. "ანიმი"-სული).

ამ ბუნდოვანი წარმოდგენებიდან წარმოიშვა პირველყოფილი მითე-ბი და პირველყოფილი რელიგია.

პირველყოფილ-თემური წყობილების რღვევის პერიოდში დაიწყო სუ-ლების უმაღლეს და დაბალ სულებად დაყოფა. გაჩნდა გვარის ფუძემდე-ბელ-წინაპართა კულტი - "მე" და "ჩემის" გაცნობიერება. დაიწყო ქონებრივი უთანასწორობის პროცესი, წარმოიშვა კერძო საკუთრება და ქონებრივი უთანასწორობა.

აზროვნება, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების გარკვეული ფორმა, ჩაისახა და განვითარდა მონათმფლობელურ საზოგადოებაში. ასეთი საზოგადოება კი უფრო ადრე ჩამოყალიბდა ძველი აღმოსავლე-თის ქვეყნებში, ვიდრე საბერძნეთსა და რომში.

გაბატონებული კლასების შეხედულებანი გამოიხატა რელიგიაში. ასეთი იყო, მაგალითად, ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნეში გა-

წოდებული ბ ე ლ ი ზ მ ი.

ფეოდალურ-ბატონყმური ეპოქის ეკონომიკური მოძღვრებანი. მო-ნათმფლობელური წყობილების საწარმოო ძალების განვითარებამ გამო-იწვია ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობის ელემენტების ჩასახვა მონათმფლობელურ ეპოქაში. რომში, მონათმფლობელური წყობილების კლასიკურ ქვეყანაში, ფეოდალიზმი აღმოცენდა მონათმფლობელური იმ-პერიის ნანგრევებზე.

სახელმწიფოთა სათავეში მდგომი მეფეები დაპყრობილ მიწებს სა-ჩუქრად აძლევდნენ მათთან დაახლოებულ და ბრძოლაში თავნასახელებ პირებს, ხოლო ეს უკანასკნელნი ვალდებულნი იყვნენ მეფისათვის სამსახური გაეწიათ. ასეთ გაცემულ მიწებს ფ ე ო დ ე ბ ი ეწო-დებოდა. აქედან აღმოცენდა ამ წყობილების სახელი – ფ ე ო დ ა -ლ ი ზ მ ი.

ფეოდალიზმის ეპოქა კაცობრიობის უდიდესმა ნაწილმა გაიარა. მისი აღმოცენება იწყება რომის იმპერიის დაცემიდან (V საუკუნე) და გრძელდებოდა ინგლისში – XVII საუკუნემდე, საფრანგეთში – – XVIII საუკუნემდე. რუსეთში ფეოდალიზაციის პროცესი დაიწყო IX საუკუნეში და გრძელდებოდა 1861 წლის რეფორმამდე.

საქართველოში ეს პროცესი დაიწყო IV–V საუკუნეში და გრძელ-დებოდა XIX საუკუნის 70-იან წლებამდე.

ფეოდალურ-ბატონყმურ ეპოქას დიდი წინააღმდეგობრივი ხასიათი ჰქონდა საქართველოში. ერთიანი ქართული სახელმწიფო, რომელიც XI–XII საუკუნეებში კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძლიე-რეს სახელმწიფოდ იქცა, სწორედ ფეოდალიზმის პერიოდში, კერძოდ, მე-15 საუკუნეში რიგი სამეფოების (ქართლი, კახეთი, იმერეთი) გვერდით ჩამოყალიბდა სათავადოები (სამცხე-საათაბაგო, ოდიში, აფხაზეთი, გურია). ყველა ისინი მეფისაგან დამოუკიდებლობის

მოპოვებას აძლევდნენ თავიანთ ძალებს. ასეთ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ბატონყმობას და მის ნიადაგზე წარმოშობილ ს ა თ ა ვ ა დ ო ე ბ ი ს  ს ი ს ტ ე მ ა ს.

და მაინც, საწარმოო ძალების განვითარების შედეგად სულ უფრო და უფრო მტკიცდებოდა ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობები, კერძოდ, შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, დაქირავებული შრომის ექსპლოატაცია და ქონებრივი დიფერენციაცია.

ფეოდალურ-ბატონყმური ეპოქის ეკონომიკურ შეხედულებებში აისახა იმ დროის გაბატონებული საზოგადოებრივ ურთიერთობათა წყობა. იმ დროინდელ საზოგადოებაში მთელ გონებრივ ინტელექტს სამღვდელოება განაგებდა და იგი რელიგიურ-სქოლასტიკური ფორმით ნიღბნარეობდა. ამიტომ სამეურნეო ცხოვრებაზე მსჯელობა ღვთისმეტყველურ ტრაქტატებში აისახებოდა.

ფეოდალიზმის ეპოქაში თანდათანობით ვითარდებოდა სასაქონლო ფულადი ურთიერთობა. აქედან გამომდინარე, საქონელმწარმოებლები, რომლებსაც უფრო ხელსაყრელი სრულყოფილი იარაღები ჰქონდათ, ერთი და იმავე საქონლის წარმოებაზე ნაკლებ შრომას ხარჯავდნენ, სხვა საქონელმწარმოებლებთან შედარებით. ამასთან, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა განსხვავებას ცალკეულ მუშაკის ძალას, სიმარჯვეს, გახელოვნებას და ა.შ. მაგრამ იმდროინდელ ბაზარს არაფერი "ესაქმება", თუ რა პირობებში და რა იარაღებით არის წარმოებული ესა თუ ის საქონელი. ერთნაირ საქონელში ერთსა და იმავე ფულად თანხას იხდევიან, მიუხედავად შრომის იმ ინდივიდუალური პირობებისა, რომლებშიც წარმოებული იყო ეს საქონელი.

ამიტომ, აქედან გამომდინარე, ძლიერდება კონკურენცია ხდება წვრილი საქონელმწარმოებლების ფენებად დაყოფა: მათი უმრავლესობა სულ უფრო ღარიბდება, მცირე ნაწილი კი, მდიდრდება.

სასაქონლო წარმოების განვითარებასთან ერთად, იზრდება ფულის ძალა. ფეოდალ-მემამულეებს ღალა და სხვა ბეგარა ნატურალურიდან ფულად ფორმაზე გადაჰყავდათ.

სასაქონლო გაცვლის განვითარების შედეგად ფული გამოეყო საქონელთა სამყაროს. გაიზარდა ფულადი დაგროვების როლი. ფული სხვისი შრომის მითვისების საშუალებად იქცა.

ასე, ფული აღიქმება, როგორც "აბსოლუტური საზოგადოებრივი მატერიალიზაცია სიმდიდრისა საერთოდ" (კ. მარქსი). ფული იქცა კაპიტალად.

**მერკანტილიზმი.** კაპიტალიზმის წარმოშობა XVI საუკუნეს მიეკუთვნება. ამავე საუკუნეს მიეკუთვნება კაპიტალიზმის რიგ მოვლენათა გაანალიზებისა და ახსნის პირველი ცდები. ასე წარმოიშვა და განვითარდა XVI-XVIII საუკუნეებში ეკონომიკური აზრისა და პოლიტიკის მიმართულება, რომელიც ცნობილია მერკანტილიზმის სახელწოდებით.

მერკანტილიზმი არის ვაჭართა კლასის ეკონომიკური პოლიტიკის დასაბუთების ცდა, ან ადრინდელი კაპიტალიზმის პერიოდის ეკონომიკური პოლიტიკა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევა.

მერკანტილიზმმა ორი ძირითადი ეტაპი გაიარა: ადრინდელი (XV საუკუნის 70-იანი წლებიდან XVI საუკუნის II ნახევრამდე) და გვიანდელი (XVI საუკუნის II ნახევრიდან XVII საუკუნის ჩათვლით). მერკანტილიზმი ინგლისში წარმოიშვა, შემდეგ იგი გაჩნდა საფრანგეთში, იტალიასა და სხვა ქვეყნებში. მერკანტილისტები აყენებდნენ საკითხს ქვეყნის სიმდიდრის შესახებ, სიმდიდრის ფორმებისა და მისი ზრდის გზების შესახებ.

სიმდიდრის ბუნების თავიანთ გაგებაში მერკანტილისტები მიმო-

ქვეყნის ზღვისპირეთის მოვლენებიდან გამოდიოდნენ. მათ ყურადღება მიაპყრეს არა წარმოებას, არამედ ვაჭრობასა და ფულად მიმოქცევას, განსაკუთრებით ოქროსა და ვერცხლის მოძრაობას.

მერკანტილისტთა თვალში ერთადერთი ნამდვილი სიმდიდრე იყო არა საზოგადოებრივი წარმოება და მისი პროდუქტები, არამედ ფული-ოქრო და ვერცხლი.

მერკანტილიზმმა თავისი დროისათვის პროგრესული როლი შეასრულა. პროტექციონისტულმა პოლიტიკამ, რომელსაც მერკანტილიზმის იდეები ასულდგმულებდა, საგრძნობლად შეუწყო ხელი მანუფაქტურების გავრცელებას. მაგრამ მერკანტილისტების შეხედულებანი სიმდიდრეზე კაპიტალისტური წარმოების მაშინდელ განუვითარებლობას ასახავდნენ. კაპიტალიზმის შემდგომში განვითარება სულ უფრო ცხადყოფდა მერკანტილური სისტემის წარმოდგენათა მცდარობას.

<u>კაპიტალიზმის ეპოქის ეკონომიკური თეორიები</u>. კაპიტალისტური წარმოების წესი დამკვიდრდა, უპირველეს ყოვლისა, ინგლისში. აქ ჩაისახა კლასიკური პოლიტიკური ეკონომიაც. მისი წარმომადგენლები კაპიტალისტური წარმოების საფუძვლად კერძო საკუთრების ურთიერთობებს მიიჩნევდნენ და ყველა დანარჩენი თეორია აქედან გამოყავდათ. მათ საფუძველი ჩაუყარეს ღირებულების შრომის თეორიას.

კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ დასძლია მერკანტილისტებისა და ფიზიოკრატების ცალმხრივობა და ერთობლივი პროდუქტის — შემქმნელად აღიარა მატერიალურ წარმოებაში დასაქმებული ყველა სახეობის შრომა. მაგრამ იგი დაიბნა და წინააღმდეგობაში მოექცა კაპიტალისტური კვლავწარმოების მამოძრავებელი ძალებისა და მისი მექანიზმის გაგებაში. ამის ერთ-ერთი გამოხატულებაა ა. სმიტის ცნობილი დოგმა, რომლის მიხედვითაც მთელი ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი, საბოლოო ანგარიშით, დაიყვანება შემოსავლებამდე:

ხელფასზე, მოგებასა და რენტაზე.

უ ი ლ ი ა მ  პ ე ტ ი (1623-1687). სიმდიდრის ბუნებისა და წყაროების შესახებ ძიებას უნდა გამოეწვია პოლიტიკური ეკონომიის ნოვატორის გაჩენა. ასეც მოხდა. არენაზე გამოვიდა პროფესიით მღვდელი, ინგლისელი მკვლევარი და მოაზროვნე ეკონომისტ-სტატისტიკოსი უილიამ პეტი. მან მეტად ზობიქარი; სახიფათო და ბრძოლებით სავსე გზა განვლო იუნგიდან მსხვილ მეწარმეებამდე. ამ დაუდეგარი სულის ადამიანმა საფუძველი ჩაუყარა ინგლისურ კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიას, მის ძირითად კრედოს - შრომითი ღირებულების თეორიას.

ეკონომიკური თეორიის განვითარებაში ჯეროვანი წვლილი მიუძღვის კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ფრანგული სკოლის დამწყებ - ეკონომისტს პიერ ბუაგილბერს (1646-1714). მან, განათლებით იურისტმა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, საერთოდ, მსოფლიოს, განსაკუთრებით, საფრანგეთის ეკონომიკური აზროვნების ისტორიაში კაპიტალიზმის უაღრესად წინააღმდეგობრივ პირობებში, უილიამ პეტისაგან დამოუკიდებლად, საფუძველი ჩაუყარა ღირებულების შრომით თეორიას.

<u>ფიზიოკრატები</u>. ფიზიოკრატია ფრანგულ-ბერძნული წარმოშობის ტერმინია და ქართულად ნიშნავს ბუნებისა და ხელისუფლების ბატონობას. თავად ფიზიოკრატები იყვნენ კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი მიმართულების წარმომადგენლები.

ფიზიოკრატია წარმოიშვა მე-18-ე საუკუნის შუა წლებში, როგორც რეაქცია მერკანტილიზმზე. მისი ფუძემდებელი იყო ფრანსუა კენე - ფრანგი ეკონომისტი, პროფესიით ექიმი. ფიზიოკრატიზმის გამოჩენილ წარმომადგენლებად ითვლებიან - ა.რ.ჟ. ტიურგო, ვ. მირაბო და სხვ. ფიზიოკრატიული თეორიები დამუშავდა აგრეთვე იტალიაში, დიდ

ბრიტანეთში, გერმანიაში, შვეციასა და სხვა ქვეყნებში.

ფიზიოკრატებმა ზედმეტი ღირებულების წარმოშობის კვლევის საკითხი მიმოქცევის სფეროდან წარმოების სფეროში გადაიტანეს და ამით საფუძველი ჩაუყარეს კაპიტალისტური წარმოების ანალიზს. მაგრამ ისინი წარმოების სფეროს ზღუდავდნენ მიწათმოქმედებით, დანარჩენ დარგებს კი არამწარმოებლურად თვლიდნენ. ამასთან დაკავშირებით ისინი ზედმეტი ღირებულების ერთადერთ ფორმად თვლიდნენ მიწის რენტას.

ფიზიოკრატები აღიარებდნენ ეკონომიკური კატეგორიების ობიექტურობას. ამასთან, კაპიტალისტურ წყობილებას ბუნებრივად და მარადიულად მიიჩნევდნენ.

ფ რ ა ნ ს უ ა კ ე ნ ე (1694–1774) – ფრანგი ეკონომისტი, პროფესიით ექიმი. გარდა იმისა, რომ იგი იყო ფიზიოკრატიზმის დამაარსებელი, მას ეკუთვნის, აგრეთვე, საზოგადოებრივი კვლავწარმოების ანალიზის გაბედული და ნაყოფიერი ცდა. მეტიც, კ. მარქსი კენეს პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთ დამაარსებელთაგანს უწოდებდა.

ადამ სმიტი და დავით რიკარდო. ადამ სმიტი (1723–1790) – კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენელია. დაიბადა შოტლანდიის ქალაქ კერკოლდში, საბაჟოს მოხელის, ადამ სმიტის ოჯახში.

სმიტმა თავის მოძღვრებაში დაასაბუთა, რომ კაპიტალისტის პირადი ინტერესები და მოგებისადმი მისი გამოდევნება სიკეთის მომტანი საქმიანობაა მთელი საზოგადოებისათვის.

სმიტის აზრით, შრომაა სიმდიდრის წყარო, რომ კაპიტალისტების შემოსავალია მუშის მიერ შექმნილი პროდუქტების ნაწილის უსასყიდლო მითვისება. იგი, მანუფაქტურული პერიოდის შესაბამისად, შრო-

მის დანაწილებას თვლიდა შრომის ნაყოფიერების გადიდების გადამწყვეტ საშუალებად.

სმიტმა განიხილა ფულის საკითხი. იგი ფულს თვლის საქონელთა გაცვლის საშუალებად, "გაცვლის ბორბლად".

ა. სმიტმა განავითარა შრომითი ღირებულების თეორია. "შრომა შეადგენს ყველა საქონლის ნამდვილ საზომს".

სმიტის დამსახურება და მისი ეკონომიკური მოძღვრება კარგად გააანალიზა აკ. წულუკიძემ.

სმიტის "მრავალფეროვან ახსნებაში არ არის ერთ იდეაზე აცმული მსჯელობა"-ო წერდა იგი.

დავით რიკარდო (1772-1823) - ინგლისური კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი და დამაარსებელია. მისი ეკონომიკური შეხედულებები მეტად ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მძაფრი პაექრობის ობიექტად იქცა. განსჯა მიმდინარეობდა მის სიცოცხლეშიც და მის შემდეგაც.

დ. რიკარდომ ნათლად დაინახა წინააღმდეგობა კაპიტალისტებისა და მუშების ინტერესებს შორის, ანუ პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის და ყოველივე ამას ბუნებრივ მოვლენად თვლიდა. ამასთან, მათ მოგვარებას იგი სავსებით შესაძლებლად მიიჩნევდა რეფორმებისა და გარდაქმნების გზით.

დ. რიკარდოს კლასიკური განათლება არ მიუღია. თავისი სიცოცხლის თითქმის ოცი წელი (1793-1812) კომერციულ საქმიანობას ეწეოდა. 1809 წლიდან აქვეყნებდა ნაშრომებს, 1817 წელს დასტამბა წიგნი "პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები", რომელმაც მსოფლიო აღიარება მოუტანა.

დ. რიკარდოს შემოქმედება ხშირად იხსენიებოდა ქართულ პრესაში. ასე, მაგალითად, სხვებთან ერთად (ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი და

სხვ.) მის შრომებში გაშუქებულ საკითხებს, განსაკუთრებით პროტექ-ციონისტული ეკონომიკური პოლიტიკის შინაარსს, [illegible] დებულე-ბებს მხარს უჭერდა ილია ჭავჭავაძე.

**ავსტრიული სკოლა. [illegible].** მე-19-ე საუკუნის 80-იან წლებში აღმოცენდა ავსტრიული სკოლა. მას ზოგჯერ ვენის სკოლასაც უწოდებენ. იგი იყო ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის ნაირსახეობა. ავსტრიული სკოლა დააარსა კ. მენგერმა. მე-19-ე და მე-20-ე საუკუნეთა მიჯნაზე მას ხელმძღვანელობდნენ აგრეთვე ფ. ვიზერი, ე. ბემ-ბავერკი, ე. საქსი. 20-იან წლებში მისი მემკვიდრე გახდა "ახალი ავსტრიული სკოლა" (ლ. მიზესი, ფ. ჰაიეკი, რ. შტრიგლი და სხვ.), რომელმაც შემდგომ დიდი როლი ითამაშა ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის განვითარებაში.

ავსტრიული სკოლის ძირითად მიმართულებად ითვლება შრომითი ღირებულების თეორიისადმი ზღვრული სარგებლიანობის თეორიის დაპირისპირება, რომლის მიხედვითაც ღირებულებას განსაზღვრავს ნივთის სარგებლიანობა და არა მასზე გაწეული შრომა. ამასთან, მისი წარმომადგენლები ეკონომიკური ცხოვრების ამოსავალ ელემენტებად მიიჩნევენ ინდივიდუალურ მოთხოვნილებას დოვლათზე და ამ დოვლათის არსებულ მარაგს.

ზღვრული სარგებლიანობის თეორიის მიხედვით, ყველა დოვლათი იყოფა დღევანდელ დოვლათად (მოხმარების საგნები) და შორეულის დოვლათად (წარმოების საშუალებები). შრომაც წარმოების საშუალებებს მიეკუთვნება და შორეულის დოვლათად ითვლება. ამიტომ იგი (შრომა) ყოველ მომენტში მის მიერ შექმნილი პროდუქტის ღირებულებაზე ნაკლებად ანაზღაურდება. ამით უარყოფილია კაპიტალისტური ექსპლუატაცია.

ზღვრული სარგებლიანობის საფუძველზე აღმოცენდა ე.წ. [illegible]-

[illegible] ღერძია.

თომას რობერტ მალთუსი (1766–1834) – ინგლისელი ეკონომისტი, მღვდელი, იყო ინგლისში პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. იცავდა გაბატონებული კლასების ინტერესებს, მშრომელთა სავალალო მდგომარეობასა და უმწეობას ხსნიდა მოსახლეობის აბსოლუტური სიჭარბით, "მოსახლეობის ბუნებრივი კანონის" მოქმედებით. მისი თეორიის მიხედვით, მშრომელთა ფართო მასების სიღატაკე შეპირობებული იყო იმით, რომ ადამიანები უფრო სწრაფად მრავლდებიან, ვიდრე შეიძლება მატულობდეს ბუნების მიერ მოცემული არსებობის საშუალებათა რაოდენობა. მისი თეზისის შესაბამისად, მოსახლეობა იზრდება არითმეტიკული პროგრესიით, მათთვის საარსებო საშუალებანი კი – გეომეტრიული პროგრესიით.

უტოპიური სოციალიზმი[1] – ხალხის თავისუფლებასა და თანასწორობაზე დამყარებული მოძღვრება, რომელიც ეფუძნება წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივ საკუთრებასა და საყოველთაო შრომას. იგი მშრომელთა საუკუნოვანი ოცნების თეორიული გამოხატულებაა. მისი წინამორბედია ადრინდელი კომუნიზმი, რომელიც ქადაგებდა საერთო ასკეტიზმსა (რელიგიურ-მისტიკური შეხედულება) და უხეშ გათანაბრებას.

სამართლიანი საზოგადოებრივი წყობილების იდეები ჯერ კიდევ მონათმფლობელურ და ფეოდალურ წყობილებათა წიაღში ჩაისახა ხალხური თქმულებების სახით.

თომას მორი (1478–1535) და ტომაზო კამპანელა (1568–1639). უტოპიური სოციალიზმის ფუძემდებელი გახდა ინგლისელი ჰუმანისტი-

1. სიტყვა "უტოპია", ისევე როგორც "სოციალიზმი", ფრანგულ-ლათინური წარმოშობის ტერმინებია. პირველი ნიშნავს ადგილს, რომელიც არსად არაა, ხოლო მეორე – საზოგადოებრივს, საერთოს. "სოციალიზმი" პირველად 1833 წელს იხმარა ფრანგმა უტოპისტმა პიერ ლერუმ.

-მოაზროვნე თ ო მ ა ს   მ ო რ ი. იგი ფართოდ განათლებული ადამიანი იყო. მას მაღალი თანამდებობანი ეკავა ინგლისის პარლამენტში და მეფე ჰენრიხ მე-8-ს კარზე. მან ყურადღებით შეისწავლა ცხოვრება და გამოთქვა ზოგიერთი მოსაზრება სოციალური პრობლემების შესახებ. 1516 წელს მორმა გამოსცა წიგნი გამონაგონ კუნძულზე საზოგადოებრივი წყობის შესახებ, რომლის მოკლე სახელწოდებაა "უტოპია". სწორედ ამ წიგნის სახელი მიეკუთვნება მე-16- მე-19-ე საუკუნეების ერთ-ერთ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიმდინარეობას - უ ტ ო პ ი უ რ   ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ს.

მორმა პირველად დააყენა საკითხი წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრების საფუძველზე წარმოების ორგანიზაციის აუცილებლობის შესახებ და დახატა მომავალი საზოგადოების მოწყობის სურათი. იგი გამოდიოდა კერძო საკუთრების შეგნებულ მოწინააღმდეგედ.

მორის შემდეგ გამოჩნდა ჰუმანიზმისა და სოციალური სამართლიანობის მგზნებარე იტალიელი მოაზროვნე თ ო მ ა ზ ო   კ ა მ პ ა ნ ე ლ ა. იგი დაიბადა სამხრეთ იტალიაში, სადაც ესპანელები ბატონობდნენ. დამპყრობთა წინააღმდეგ შეთქმულების მომზადებისათვის კამპანელა დილეგში ჩააგდეს, სადაც 27 წელი დაჰყო. ბორკილებდადებულმა მაგრამ ქედმოუხრელმა ოპტიმისტმა აქ დაწერა ცნობილი რომანი "მზის ქალაქი" (1602), რომელიც წარმოადგენს ვინმე გენუელი მოგზაურის ნაამბობს, რომელმაც შორეულ ქვეყანაში თითქოს ნახა ახალი საზოგადოებრივი წყობილება. ცხოვრება "მზის ქალაქში" დაახლოებით ისეთ პრინციპებზეა აგებული, როგორც - "უტოპიაში".

ანრი სენ-სიმონი (1760-1825). მან ერთ-ერთმა პირველთაგანმა სცადა პასუხი გაეცა საზოგადოების წინაშე დასმული ახალი კითხვებისათვის. მკაცრად გააკრიტიკა რა ბურჟუაზიის მიერ დამყარებული წყო-

ბიძგია, კაპიტალი დაეუფლება წინასწარმეტყველა მას. სენ-სიმონი ამტკიცებდა, რომ კაპიტალიზმს აუცილებლად შეცვლის ახალი, უფრო სამართლიანი საზოგადოებრივი წყობილება. "ოქროს საუკუნე, — წერდა ის, — რომელსაც ბრმა რწმენა აქამდე წარსულს მიაკუთვნებდა, მომავალშია".

შარლ ფურიე, (1772-1837). XIX საუკუნის ევროპის საზოგადოებრივ აზროვნებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეორე ფრანგი მოაზროვნის შ ა რ ლ ფ უ რ ი ე ს მოძღვრებას.

ფურიე სენ-სიმონივით მწვავედ აკრიტიკებდა ბურჟუაზიულ წყობილებას. საზოგადოების ახალი სოციალური ორგანიზაციის გარეშე, — ამბობდა ის, — წარმოების განვითარებას მოჰყვება არა მშრომელი ხალხის ბედნიერება, არამედ უბედურება. ფურიე წერდა, რომ ბურჟუაზიული ცივილიზაციის დამახასიათებელი თვისებაა უწესრიგო წარმოება. სიმდიდრე იზრდება, მაგრამ მწარმოებლებს არა აქვს თანაბარი წილი სიმდიდრისაგან.

რობერტ ოუენი (1771-1858) სენ-სიმონისა და ფურიეს სახელებთან ერთად დგას ინგლისელი სოციალისტ-უტოპისტის რ ო ბ ე რ ტ ო უ ე ნ ის სახელი. მან დიდი როლი შეასრულა ინგლისის მუშათა კლასის განვითარებაში XIX საუკუნის პირველ ნახევარში. ოუენის შეხედულებებზე გავლენა მოახდინა იმ ფაქტმა, რომ მაშინდელი ინგლისი იყო ყველაზე მეტად განვითარებული სამრეწველო ქვეყანა. იმათ საწინააღმდეგოდ, ვისაც მეცნიერებისა და მრეწველობის პროგრესი ყველა სოციალური უბედურების მიზეზად მიაჩნდა, ოუენი მაღალ შეფასებას აძლევდა სამრეწველო რევოლუციას, რომელიც მოასწავებდა მანქანების შექმნასა და გამოყენებას.

<u>მარქსიზმის ეკონომიკური მოძღვრება</u>. მარქსისტებმა გააანალიზეს ინგლისური კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენელთა სა-

ქმე. დაასაბუთეს და განავითარეს მათი თეორია – ღირებულების შრომითი თეორია. მათ ცხადყვეს, რომ ყოველი საქონლის ღირებულება განისაზღვრება იმ საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დროის რაოდენობით, რაც საქონლის წარმოებას სჭირდება.

ამასთან, იქ, სადაც ბურჟუაზიული ეკონომისტები საგანთა ურთიერთობას (საქონლის გაცვლას საქონელზე) ხედავდნენ, იქ მარქსისტებმა აღმოაჩინეს ურთიერთობა ადამიანთა შორის.

კარლ მარქსი (1818–1883): დაიბადა ტრირში (გერმანია). მის იდეურ განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა მამამ–ჰაინრიხ მარქსმა (ადვოკატი), აგრეთვე, მათი ოჯახის მეგობარმა ლუდვიგ ფონ ვესტფალენმა. მათი მეშვეობით ეზიარა იგი ჰუმანისტურ და განმანათლებელ იდეებს.

კ. მარქსის ძირითადი ნაშრომი "კაპიტალი" დაწერილია ოთხ ტომად და შვიდ წიგნად ("კაპიტალი", ტ.I, "კაპიტალი" ტ. II, "კაპიტალი" ტ. III, ნაწილი I, ნაწილი II, "კაპიტალი" ტ. IV, სამ ნაწილად).

კ. მარქსის "კაპიტალის" ყველა წიგნს წითელ ზოლად გასდევს შრომისა და კაპიტალის არსისა და მნიშვნელობის დახასიათება. შრომა, მარქსის მიხედვით, არის უპირველეს ყოვლისა, პროცესი ადამიანსა და ბუნებას შორის ("კაპიტალი", ტ.I, გვ. 227). მარქსი ამ ფონზე დედამიწას ადამიანის შრომის საყოველთაო საგანს უწოდებს (გვ. 229), ამასთან, დასძენს, რომ "შრომის პროცესი ... მარადიული ბუნებრივი პირობაა ცხოვრებისა" (გვ. 235–236).

კ. მარქსმა მოგვცა კაპიტალის შემდეგნაირი განმარტება: ჯერ ერთი, იგი არის თვითმზარდი ღირებულება; მეორე, იგი ნივთი კი არ არის, არამედ –ნივთების მეშვეობით დამყარებული ურთიერთობაა ადამიანებს შორის; მესამე, იგი არის დაგროვილი შრომა.

კ. მარქსმა, როდესაც გააანალიზა ამერიკის ჩრდილოეთი შტატების ეკონომიკა და, საერთოდ, საზოგადოებრივი ცხოვრების წესი, თავისი მოძღვრების (კლასობრივი ბრძოლისა და სოციალისტური რევოლუციის) ალტერნატიული ვარიანტი დაუშვა. მან ხაზგასმით მიუთითა, რომ საზოგადოების ჰუმანიზაციისა და დემოკრატიზაციის შედეგად, როდესაც იქმნება სამართლებრივი სახელმწიფო, როდესაც უქონელი ადგილს იკავებს რა ხელისუფლების ორგანოებში და მქონებლის (კერძო მესაკუთრის) კანონმდებელი ხდება, კერძო საკუთრება, როგორც ასეთი (მისი კლასიკური გაგებით, როგორც ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის წყარო), კარგავს თავის აღრინდელ შინაარსს. ამით მარქსმა აღიარა საზოგადოების ბუნებრივი განვითარების კანონზომიერი პროცესის იდეა.

ვ.ი. ლენინმა ეს არ გაიზიარა, მეტიც, მან მთლიანად დაამახინჯა მარქსის სოციალისტური რევოლუციის თეორია და იგი ნახევრად ფეოდალურ რუსეთს მოახვია თავს. შედეგი, როგორც ზემოთ ითქვა, ყველასათვის ნათელია.

დღეს ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ დასავლეთის საზოგადოებრივი განვითარება სწორედ მარქსის ამ ალტერნატიული ვარიანტით წარიმართა, რაც, ფაქტობრივად, უტოპისტების კეთილშობილურ იდეას ესადაგება.

ამრიგად, ყოველგვარი თეორიის ჭეშმარიტების კრიტერიუმი პრაქტიკაა.

საყოველთაოდ აღიარებულ სახელმძღვანელოში "ეკონომიქს"-ში (იხ. თემა 4) ჯეროვან დონეზეა შეფასებული მარქსიზმი, კერძოდ, კ. მარქსზე ნათქვამია, რომ მისი მიზანი იყო აეხსნა ჩაგრების, როგორც კაპიტალისტების "უშუალო შემოსავლის" ზრდება. თავის თეორიაზე დაყრდნობით მარქსმა აღწერა საზოგადოების გადასვლა სოციალიზმ-

ზე, საზოგადოებაზე, სადაც ექსპროპრიატორების ექსპროპრიაციით "მუშები თვით ითვისებენ ზედმეტ ღირებულებას" (პ. სამუელსონი, ვ. ნორდჰაუსი, ეკონომიკსი, გვ. 189, თბ., 1992).

თუმცა, – ნათქვამია იქვე, – გავიდა ათეული წლები და თვალნათელი გახდა, რომ დრამა მარქსის მიერ დაწერილი სცენარის მიხედვით არ განვითარდა ... მუშათა კლასის წილი ეროვნულ შემოსავალში იზრდებოდა.

ფრიდრიხ ენგელსი (1820–1895) – დაიბადა პრუსიის სამეფოს რაინის პროვინციის ქალაქ ბარგენში. 1839 წელს ენგელსი ოჯახური პირობების გამო ერთ-ერთ სავაჭრო ფირმაში ნოქრად იწყებს მუშაობას. ამას ხელი არ შეუშლია მისთვის მიეღო მეცნიერული და პოლიტიკური განათლება.

ფ. ენგელსის თქმით, "მთელი ფილოსოფიის უმაღლესი საკითხი არის საკითხი აზროვნების დამოკიდებულებისა ყოფიერებისადმი, სულისა – ბუნებისადმი ... ფილოსოფოსები ორ დიდ ბანაკად გაიყვნენ, იმის შესაბამისად, თუ როგორ უპასუხებდნენ ისინი ამ კითხვას. ისინი, ვინც ამტკიცებდა, რომ სული ბუნებაზე უფრო ადრე არსებობდა... შეადგინეს იდეალისტური ბანაკი. ხოლო ისინი, ვისაც ძირითად საწყისად ბუნება მიაჩნდა, მიემხრნენ მატერიალიზმის სხვადასხვა სკოლებს".[1]

ფ. ენგელსმა 1878 წელს გამოცემულ წიგნში "ანტი-დიურინგი" (შედგება შესავლისა და სამი განყოფილებისაგან) – გადმოსცა ფილოსოფია, პოლიტიკური ეკონომია, სოციალიზმი. წიგნი მარქსის მონაწილეობით იწერებოდა (მეტიც, მეათე თავი "პოლიტიკური ეკონომია" დაწერა მარქსმა).

ფ. ენგელსმა ამ ნაშრომის მეორე განყოფილება მიუძღვნა მარქსის

---

1 ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, თბ., 1938, გვ. 319.

ეკონომიკური მოძღვრების ძირითად დებულებებს, კერძოდ: ღირებულებას, მარტივ და რთულ შრომას, კაპიტალსა და ზედმეტ ღირებულებას, მიწის რენტას ...

ამ წიგნში გაკრიტიკებულია ევგენი დიურინგის (ბერლინის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი) "ძალმომრეობის თეორია", რომლის მიხედვითაც ძალმომრეობა არის საზოგადოების ეკონომიკური განვითარების საფუძველი. ენგელსის აზრით, პირიქით, საზოგადოების განვითარებაში გადამწყვეტია ეკონომიკა. ძალადობა ასრულებს ბებია-ქალის როლს, როცა ძველი წყობილება ახალზეა ფეხმძიმედ.

ილია ჭავჭავაძე (1837-1907). დიდმა ილიამ მრავალფეროვანი მემკვიდრეობა დაგვიტოვა ეკონომიკურ აზროვნებაში. მან მრავალი დისციპლინა შეისწავლა პეტერბურგის უნივერსიტეტში: ევროპული ქვეყნებისა და რუსეთის სახელმწიფო სამართალი, პოლიტიკური ეკონომია, სტატისტიკა, ბუნების ისტორია, ტექნოლოგია, აგრონომია, არქიტექტურა, მსოფლიო ისტორია...

ილია ამბობდა: - ყმაწვილკაცობა უნდა მომზადდეს შეძლების და ხელმიწვდენის ცოდნითა, უნდა, რამდენადაც შესაძლოა, წინ გაიმძღვაროს ევროპის გამოცდილება და ამ თვალსაზრისით შეუდგეს ჩვენი ქვეყნის საქმეს.

მდიდარია ილიას ეროვნული და სოციალური იდეები. იგი სხვადასხვა სოციალურ ფენათა შორის "ჩატეხილი ხიდის" აღდგენაზე ზრუნავდა. ზეპარტიული ცნობიერების სიმაღლიდან დაუღალავად ქსოვდა მომავალი საქართველოს პოლიტიკურ და სამეურნეო ინფრასტრუქტურას, რათა ერი მომზადებული შეხვედროდა დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს.

დიდი ილიას ფილოსოფიური და ეკონომიკური შეხედულებების ერთობ საგრძნობი ნაწილი ზუსტად ესადაგება თანამედროვეობას, იმას, რომ

ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და, აქედან გამომდინარე, სა-ლხის კეთილდღეობის ზრდის საფუძველია შრომა და ცხოვრება წესია.

ი. ჭავჭავაძე საზოგადოების განვითარების ყველაზე ეკონომიკურ ცხოვრებაში, ეკონომიკის სფეროში ხედავდა. ამას ადასტურებს მის ნაწარმოებებში მრავალ პოლიტეკონომისტთა სახელები, ამონაწერები, დამოწმება, ციტირება. მას სწამდა, რომ ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა განპირობებულია ეკონომიკური კანონების, ანუ როგორც თვითონ წერს, საპოლიტიკო ეკონომიის კანონების მოქმედებით:[1] ყოველი ეკონომიკური მოქმედების თავი და ბოლო გამორჩენაა – ხშირად მიუთითებდა იგი. როგორც მისივე შესაბამისი ნაწერების კონტექსტიდან ჩანს, ტერმინი "გამორჩენა" ნიშნავს მომგებიანობას, რენტაბელობას.

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნა-განახლების კურსსა და 70-80-იანი წლების მოდუნებულ სამეურნეო პოლიტიკას ესადაგება ილიას სიტყვები, რომელიც მან ჯერ კიდევ 1886 წელს წარმოთქვა: "ქვეყნის წარმატებისათვის მარტო ცარიელი სურვილი უქმი თანასუ-ქია. ამიტომაც ბევრი რამ დაწყებულა ქვეყნის საკეთილდღეოდ, მაგრამ უქმად ჩავლილა და ქვეყანასაც გული გასტეხია და ნდობა დაჰ-კარგვია ყოველის ახლის დაწყებულების მიმართ".[2]

დიდი ილიას ნააზრევს გვაგონებს ნიკო ნიკოლაძის მიერ გაზეთ "დროებაში" (№ 17, 1870) გამოთქმული აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ "ჩვენი საზოგადოება უნდა დაეკითხოს ნამდვილ ექიმს, რომელმაც მისი მოვლა და, იქნება, შველაც იცის. ეს ექიმია ის მეცნიერება, რომელსაც მიზნად საზოგადოების განწყობილება და კანონების გამო-კვლევა აქვს, ან სახელად "პოლიტიკური (ანუ სოციალური) ეკონომია"

1 ილია ჭავჭავაძე, თხზ., სრული კრებული, ტ. VII, თბ., გვ. 18

2 ილია ჭავჭავაძე, ტ. IV, გვ. 349.

ჰქონია. მაშ, ცუდი რამე იქნება, ჩვენი საზოგადოება ხელიანად ყურადღებას არ მიაქცევდეს ამ საგანს და გულგრილად მოითმენდეს ამ სწავლისაგან გამოძებნილი საშუალებების ხმარებას".

თ. ვებლენი (1857–1929) – ინსტიტუციონალიზმის[1] ერთ-ერთი სოციალურ-ფსიქოლოგიური მიმართულების მთავარი წარმომადგენელი.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პირველ ეტაპზე კაპიტალისტური სისტემის წინააღმდეგობათა მკვეთრად გამწვავებამ, უმუშევრობის ზრდამ, კრიზისების გაღრმავებამ და მშრომელი მასების მდგომარეობის უკიდურესად გაუარესებამ აიძულა ბურჟუაზიის იდეოლოგები გადაესინჯათ ვულგარული პოლიტეკონომიის ტრადიციული, მოძველებული დოგმები. ასეთ პირობებში, კერძოდ კი, მე-20 საუკუნის 20–30-იან წლებში, ფართოდ გავრცელდა "ინსტიტუციონალური" მიმდინარეობა. მისი იდეები წარმოიშვა მე-19 – მე-20 საუკუნის მიჯნაზე. ნასხი ძველად გამოიყენეს გერმანული ისტორიული სკოლისა და "ავსტრიული სკოლის" მეთოდოლოგია. ცნობილია, რომ ასეთი სკოლები, თავის დროზე, მონოპოლისტური კაპიტალიზმის ბურჟუაზიის ინტერესებს იცავდა. კაპიტალიზმის აპოლოგეტიკის განვითარებამ ცხადყო, რომ მონოპოლისტური გაერთიანებები თავს ისე წარმოადგენდნენ, თითქოს ისინი საზოგადოების ინტერესებს გამოხატავდნენ. აქედან გამომდინარე, "ინსტიტუციონალიზმის" მეთოდოლოგიით აუცილებელია ჯერ ცალკეული სუბიექტის ფსიქოლოგიისა და მისი იზოლირებული მოქმედების, არამედ "კოლექტიური ფსიქოლოგიის" შესწავლა. აქ ნაგულისხმევია მონოპოლისტური გაერთიანებები და ბურჟუაზიული სახელმ-

1 ინსტიტუციონალიზმი იყოფა სოციალურ-ფსიქოლოგიურ, სოციალურ-სამართლებრივ და კონიუნქტურულ-სტატისტიკურ მიმართულებებად. ზოგან, ეთიკურ-სოციალურ-მიმართულებასაც ასახელებენ (იხ. ა. სილაგაძე, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, თბ., 1987, გვ. 19).

წილი.

ტერმინი "ინსტიტუციონალიზმი", რომელიც პირველად ამერიკელმა ეკონომისტმა უ. ჰამილტონმა გამოიყენა, წარმოიშვა ლათინური სიტყვისაგან და ნიშნავს ჩვეულებას, წესს, ადათს, დაწესებულებას, ანდა მითითებას. ამ მიმართულების მომხრეთა შეხედულებით, პოლიტეკონომიის შესწავლის საგანს წარმოადგენს ადამიანთა კულტურა, ხოლო მისი ძირითადი ცნებაა სოციალურ ფსიქოლოგიაზე დამყარებული "მორიგება-შეთანხმება".

ჯონ კენეტ გელბრეიტი — ცნობილი ეკონომიკური აზრის [illegible]ქი, ამერიკელი ეკონომისტი და საზოგადო მოღვაწე, დაიბადა 1908 წელს კანადაში. 1941-1943 წლებში რედაქტორობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთს, 1961-1963 წლებში იყო აშშ-ის ელჩი ინდოეთში ...

ჯ. გელბრეიტმა მრავალი ნაშრომი მიუძღვნა თანამედროვე კაპიტალიზმის ეკონომიკური განვითარების აქტუალურ პრობლემებს. ერთ-ერთ ნაშრომში ("ახალი ინდუსტრიული საზოგადოება", 1963) დაწვრილებით გადმოგვცა სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის არსი და მისი ინდუსტრიულ საზოგადოებად გარდაქმნის კანონზომიერებანი. იგი მხარს უჭერს ორი სისტემის კონვერგენციის თეორიას, მოითხოვს განვითარებადი ქვეყნებისადმი სოციალურ-ეკონომიკურ დახმარებას.

ჯონ მეინარდ კეინსი (1883-1946) ინგლისელი ეკონომისტი იყო. იგი კემბრიჯის სკოლის დამაარსებლის ა. მარშალის მოწაფეა. მისგან გამოიღო მან კ. მარქსის მოძღვრების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები.

ჯ. კეინსმა სახელი გაითქვა 1936 წელს გამოცემული შრომით: "დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია". გააანალიზა რა [illegible] კაპიტალიზმის ღრმა უმუშევრობისა და კრიზისების ნამდვილი მიზეზები, კეინსმა დაასკვნა, რომ საზოგადოების ამ

ნაკლოვანებათა მიზეზი ჩაქსოვილია არა კაპიტალიზმის ბუნებაში, არამედ იგი მოხმარების საგამთა მოთხოვნის არასაკმარისობის შედეგია. ეს კი, თავის მხრივ, "კაპიტალის რენტაბელობის" საერთო შემცირების გამო ხდება. ამიტომ იგი კაპიტალდაბანდებათა გაფართოებას მოითხოვდა, რისთვისაც სახელმწიფოს უნდა განეხორციელებინა სათანადო ღონისძიებები.

ჯ. კეინსის მოძღვრებიდან სამი ძირითადი მიმართულება უნდა გამოიყოს: 1. წარმოებისა და რეალიზაციის რეგულირება; 2. კაპიტალისტური სამყაროს სიმტკიცის უზრუნველყოფა; 3. ეროვნული შემოსავლის ეფექტური გამოყენება.

ყველა ერთად ქმნის კეინსის "რეგულირებადი კაპიტალიზმის" თეორიას.

## ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. კ. მარქსი, "კაპიტალი", ტომი I, თბ., 1954.
2. ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, თბ., 1938.
3. ილია ჭავჭავაძე, თხზ, სრული კრებული, ტ. 4, 7. თბ., 1966
4. ეკონომიკური თეორიის საფუძვლები, პროფ. ნ. ადეიშვილის რედაქციით, თბ., 1992.
5 პ. სამუელსონი, ვ. ნორდჰაუსი, ეკონომიკსი, თბ., 1992.

## თემა 10. ეკონომიკურ კანონთა სისტემა

ძირითადი საკითხები:

1. ეკონომიკური კანონები და მისი ობიექტური ხასიათი;
2. საყოველთაო, საერთო და სპეციფიკური ეკონომიკური კანონები;
3. ძირითადი ეკონომიკური კანონის კონცეფცია.

ნებისმიერი საზოგადოების წარმოების წესის განვითარება ექვემდებარება ეკონომიკური კანონების მოთხოვნებს. "კანონის" ცნებაში, როგორც ფილოსოფიური მოძღვრებიდან არის ცნობილი, იგულისხმება ისეთი ობიექტური, საყოველთაო, აუცილებელი და არსებითი კავშირი, რომელიც მყარი და განმეორებადია.

ეკონომიკური კანონები – ეს არის ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების არსის ამსახველი განსაზღვრულობა.

ეკონომიკური კანონები წარმოიშობიან და მოქმედებენ ადამიანთა ნებისაგან დამოუკიდებლად, ესე იგი, მათ აქვთ ობიექტური ხასიათი. ეს იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია მათი შექმნა, ჩამოყალიბება, გარდაქმნა, ან გაუქმება ადამიანთა ნებით.

ეკონომიკური კანონების ობიექტური ხასიათის უარყოფა ნიშნავს იმას, რომ მოსპო პოლიტიკური ეკონომია, როგორც მეცნიერება, მოუსპო საზოგადოებას შესაძლებლობა განჭვრიტოს მოვლენათა მსვლელობა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში და მოაგვაროს თუნდაც ყველაზე ელემენტარული ეკონომიკური ხელმძღვანელობა. ასეთი უარყოფა ნიშნავს სუბიექტური იდეალიზმის პოზიციებზე გადასვლას, იგი აუცილებლად იწვევს სუბიექტივიზმსა და ვოლუნტარიზმს პოლიტიკაში, თვითნებობას მეურნეობის ხელმძღვანელობის პრაქტიკაში.

ამასთან, ეკონომიკური კანონების ობიექტური ხასიათი სრულია-

დაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი მოქმედებენ, როგორც ადამიანებზე გაბატონებული სტიქიური ძალები, რომ ადამიანები თითქოს უძლურნი არიან ეკონომიკური კანონების წინაშე. ეკონომიკური კანონების ასეთი ფეტიშიზაცია იწვევს თვითდინებისა და სტიქიურობის თეორიის პოზიციებზე გადასვლას. თანამედროვე პირობებში, წარმოების საშუალებათა საკუთრების შეცვლის გამო, უდიდესი ზომით ფართოვდება საზოგადოების მიერ ეკონომიკური განვითარების კანონების შეცნობისა და გამოყენების შესაძლებლობა. ფ. ენგელსი წერდა: "ადამიანთა საკუთარი საზოგადოებრივი მოქმედების კანონები, რომლებიც მათ დღემდე უპირისპირდებოდა როგორც უცხო, მის მიმართ გაბატონებული ბუნების კანონები, ამიერიდან საქმის სრული ცოდნით გამოყენებული და დამორჩილებული იქნება ადამიანის მიერ. ადამიანთა საკუთარი საზოგადოებრივი ყოფიერება, რომელიც მათ დღემდე უპირისპირდებოდა, როგორც ბუნებისა და ისტორიის მიერ ზევიდან თავსმოხვეული რამ, ახლა მათი საკუთარი, თავისუფალი საქმე ხდება. ობიექტური, უცხო ძალები, რომლებიც დღემდე ისტორიაზე ბატონობდნენ, თვით ადამიანის კონტროლს დაექვემდებარებიან. მხოლოდ ამიერიდან შექმნიან თვით ადამიანები თავიანთ ისტორიას სრული შეგნებით, მხოლოდ ამიერიდან მოჰყვება მათ მიერ ამოძრავებულ საზოგადოებრივ მიზეზებს უმთავრესად და თანდათან მზარდი ზომით მათ მიერ სასურველად მიჩნეული შედეგები".[1]

ამაში მდგომარეობს თავისუფლება, როგორც შეცნობილი აუცილებლობა.

ამრიგად, ეკონომიკური კანონების ობიექტური ხასიათი ისაა, რომ ეს კანონები არსებობენ ადამიანთა ნებისა და შეგნებისაგან დამოუკიდებლად; შეუძლებელია მათი შეცვლა ან გარდაქმნა ადამიანის

---

1. ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, თბ., 1952, გვ. 337-338.

წესით; ამ კანონების მოთხოვნების შეუსრულებლობა კი გარდუვალად იწვევს ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების მოშლას.

როგორც ცნობილია, ცხოველუნარიანია მხოლოდ ის მეცნიერული შიმართულებანი, რომლებიც პრაქტიკისაგან მომდინარეობს და მასვე უბრუნდება, ღრმა განზოგადებებითა და გონივრული რეკომენდაციებით გამდიდრებული. სქოლასტიკა, ნეტავითნეობა და დოგმატიზმი ყოველთვის ბორკავდა ნამდვილი ცოდნის შეძენას. ისინი აძუნებენ აზროვნებას, შეუვალი კედლით ყოფენ მეცნიერებას ცხოვრებისაგან, ამუხრუჭებენ მის განვითარებას. ჭეშმარიტებას ვერ იპოვი დეკლარაციებსა და მითითებებში, იგი იბადება მეცნიერულ კამათსა და პაექრობაში, მოწმდება მოქმედებაში.

ყოველგვარი ცდა – გადააქციო თეორია, რომლითაც ჩვენ ვხელმძღვანელობთ, გაქვავებული სქემებისა და ზნამზარეული რეცეპტების კრებულად, პირდაპირ ეწინააღმდეგება ცხოვრების არსს და სულისკვეთებას. მარქსი და ენგელსი სამართლიანად დასცინოდნენ ... იმ "ფორმულების" გაზეპირებას და ჭარაჭარა გამეორებას, რომელთაც, უკეთეს შემთხვევაში, შეუძლიათ მხოლოდ დასახონ ზოგადი ამოცანები, რომელნიც აუცილებლად იცვლებიან ისტორიული პროცესის ყოველი განსაკუთრებული ხ ა ნ ი ს  კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარებით. ერთ ბრძენს უთქვამს: – ისეთი რეცეპტის, ან ისეთი საერთო წესის შეცნობა, რომელიც ყველა შემთხვევისათვის გამოდგება, სისულელეა. იმისათვის, რომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გაერკვე, საკუთარი თავი უნდა [illegible]

მაშასადამე, ეკონომიკური კანონების შეცნობისა და მათი მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე არაფერი გამოვა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეკონომიკა ვითარდება მხოლოდ მაშინ, როცა თვით ხალხი, რომელიც წარმართავს თავის საქმეებს, შეიარაღებულია ეკონომი-

კური კანონების ცოდნით.

აღნიშნულის მიუხედავად, ეკონომიკური კანონების მოქმედებისა და გამოყენების საკითხი სუსტად არის დამუშავებული.

საყოველთაო, საერთო და სპეციფიკური ეკონომიკური კანონები. ესა თუ ის საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილება /ფორმაცია/ უნდა ვითარდებოდეს საყოველთაო, რიგი საერთო და მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა გათვალისწინების შესაბამისად. საყოველთაო კანონთა ჯგუფს მიეკუთვნება ისეთი კანონები, რომლებიც ყველა ფორმაციაში მოქმედებენ. ესენია: 1. საწარმოო ძალთა ხასიათისადმი წარმოებითი ურთიერთობის შესაბამისობის კანონი; 2. მოთხოვნილებათა მუდმივად ამაღლების კანონი; 3 წარმოების საშუალებათა წარმოების მოხმარების საგნებთან უპირატესი ზრდის კანონი; 4. შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდის კანონი.

ეკონომიკურ კანონთა სისტემაში არსებობს მეორე ჯგუფის, ე.წ. საერთო კანონები. მათი მოქმედების სფერო შემოიფარგლება მხოლოდ რამდენიმე ფორმაციით. ასეთად ითვლება, მაგალითად, ღირებულების კანონი, რომელიც დაკავშირებულია საქონელწარმოების წარმოშობა--განვითარებასთან. მესამე ჯგუფის, ანუ სპეციფიკური ეკონომიკური კანონები მოქმედებენ მხოლოდ ერთ ფორმაციაში. ამგვარი კანონის არსი, მაგალითად, პირველყოფილი თემური წყობილების პირობებში ემყარებოდა ადამიანის მიერ აუცილებელი საარსებო საშუალებების მოპოვებას "კოლექტიური" შრომისა და პრიმიტიული ტექნიკის გამოყენების გზით. მონათმფლობელური წარმოების წესის განვითარების საფუძველს შეადგენდა ზედმეტი პროდუქტის წარმოება, მონათმფლობელების დაკმაყოფილებისათვის ბარბაროსული ექსპლუატაციის გზით მონებისა, რომლებიც მონათმფლობელების სრულ საკუთრებას წარმოადგე-

ნდა.

ფეოდალური წარმოების წესის სპეციფიკური ეკონომიკური კანონი ემყარებოდა ყმა-გლეხების ექსპლოატაციას, გარეეკონომიკური იძულების გზით. ზედმეტი პროდუქტის წარმოება და მისი მითვისება /რენტის სახით/ ხორციელდებოდა ფეოდალების მიერ მათი პარაზიტული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

რაც შეეხება კაპიტალიზმს, აქ წარმოების უშუალო მიზანი გახდა ზედმეტი ღირებულების წარმოება და მითვისება. სხვანაირად რომ ვთქვათ, მოქმედი სპეციფიკური ეკონომიკური კანონის საფუძველზე წარმოების საშუალებები გამოყენებულია დაქირავებით შრომის ექსპლოატაციისათვის, ზედმეტი ღირებულების წარმოებისათვის. თუმცა, თანამედროვე პირობებში, კერძოდ, სახელმწიფო-მონოპოლისტურმა კაპიტალიზმმა ბევრი რამ "შეცვალა" ზედმეტი ღირებულების წარმოება-განაწილება-მითვისების თვალსაზრისით.

ამრიგად, ესა თუ ის ფორმაცია გამოიყოფა არა მარტო მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ეკონომიკური კანონებით, არამედ ისინი დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან ყველა ფორმაციისათვის საერთო და საყოველთაო ეკონომიკური კანონებით.

ძირითადი ეკონომიკური კანონის კონცეფცია. კანონი, როგორც ზემოთ ითქვა, ერთობ ტევადი, თანაც აბსტრაქტული ცნებაა. იგი არის მოვლენათა და საგანთა ობიექტური, საყოველთაო, აუცილებელი და არსებითი კავშირი. ახასიათებს მდგრადობა და განმეორებადობა. ის განაპირობებს მოწესრიგებულ ცვალებადობას. მისი ცოდნის გარეშე შეუძლებელია შესაბამისი პროცესების სარწმუნო ცოდნა.

არსებობს ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების კანონები. მათგან მოკლედ შეეხებით მოცემული საზოგადოებრივი წყობილების, ანუ ფორმაციის ძირითად ეკონომიკურ კანონს.

ასეთი კანონის არსისა და მნიშვნელობის გარკვევას საკმაოდ ხანგრძლივი და წინააღმდეგობრივი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ოციანი წლების მეორე ნახევარში გამართულ დისკუსიებზე გამოიკვეთა ორი მიმართულება: 1. იდეალისტური, რომელიც ი. ბუხარინის სახელთანაა დაკავშირებული და 2. მექანისტური, რომლის მამამთავარი იყო ა. ბოგდანოვი. ორივე ამ მიმართულების წარმომადგენლებს არასწორად ესმოდათ საზოგადოებრივი წარმოების არსი, საწარმოო ძალებს აიგივებდნენ ტექნიკასთან, წარმოების საშუალებებთან და, ამრიგად, უგულებელყოფდნენ მშრომელს, როგორც მთავარ საწარმოო ძალას.

სწავლულმა ეკონომისტებმა დაძლიეს ამგვარი "თეორიები", აღიარეს ეკონომიკური კანონების, კერძოდ, იმ დროისათვის ყველაზე სადავოდ მიჩნეული ძირითადი კანონის ობიექტური ხასიათი. აქედან გამომდინარე, დამკვიდრდა აზრი იმის შესახებ, რომ ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში აუცილებელია სამეურნეო ანგარიშის დანერგვა.

ამის მიუხედავად, ჯერ კიდევ 30-40-იან წლებში დამკვიდრებული მართვის მბრძანებლურ-ბიუროკრატიული სისტემის, შემდგომ კი, 60-იანი წლების დასაწყისში ვოლუნტარისტული მეთოდების გამო, სრულად არ ხორციელდებოდა ობიექტური ეკონომიკური კანონების მოთხოვნები.

60-იანი წლების შუა ხანებში, ერთგვარი სასიკეთო ცვლილებების მიუხედავად, დაიშვა ბევრი სუბიექტივისტური შეცდომა, რომლებმაც სახელი გაუტეხეს პროგრესულ წამოწყებებს. საშინაო და საგარეო პოლიტიკის, სამეურნეო მშენებლობის თვისებრივად ახალი ამოცანები ხშირად წყდებოდა ვოლუნტარისტული მეთოდებით, ძველი, პოლიტიკური და ეკონომიკური მექანიზმის მეშვეობით.

1954 წელს მოსკოვში გამოცემულ პოლიტიკური ეკონომიის სახელ-

მძღვანელში შემდეგნაირად ჩამოყალიბდა სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის არსებითი ნიშნები და მოთხოვნები: "მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა, უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით".

1960 წელს ხელახლა, უკვე მესამედ, გამოიცა პოლიტიკური ეკონომიის იგივე სახელმძღვანელო. მისი ავტორები, – ნათქვამია წინასიტყვაობაში, – ცდილობდნენ მოეცათ ეკონომიკური კანონებისა და კატეგორიების, მათი გამოვლინების ფორმების და ეკონომიკისადმი გეგმიანი ხელმძღვანელობის პრაქტიკაში გამოყენების გზების უფრო გაშლილი თეორიული ანალიზი. ამ სახელმძღვანელოში სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი ასე ჩამოყალიბდა: წარმოების განუწყვეტელი გაფართოება და სრულყოფა, მოწინავე ტექნიკის ბაზაზე საზოგადოების ყველა წევრის მუდმივად მზარდი მოთხოვნილებათა, რაც შეიძლება, სრულად დაკმაყოფილებისა და ყოველმხრივი განვითარების მიზნით.

მას შემდეგ დაუსრულებელი სჯა-ბაასი მიმდინარეობდა ფორმულირების სრულყოფაზე, პრაქტიკული გამოყენების მნიშვნელობაზე და ა.შ. მას მიეძღვნა უამრავი ნაშრომი, გაიმართა დისკუსიები.

მეცნიერ-ეკონომისტთა ნაწილმა პოსტულატურად /დაუსაბუთებლად/ ჩათვალა ი. სტალინის ფორმულირება, ნაწილმა კი საერთოდ უარყო ძირითადი კანონის არსებობის ფაქტი.

სამწუხაროდ, არის შემთხვევებიც, როდესაც ამ პრობლემისადმი მიძღვნილი ბევრი სქელტანიანი ნაშრომი ჯეროვან პასუხს ვერ იძლევა. მეტიც, ზოგიერთი ავტორი აკრიტიკებს სხვის მოსაზრებებს, თვითონ კი არ იძლევა საკუთარ წინადადებებს. დამახასიათებელია ისიც,

რომ პოლიტიკური ავტორი თავისსავე ნაშრომებში განსხვავებულ აზრებს სთავაზობს მკითხველს.

ამასთან, ყველაზე უხერხულ და მეცნიერულად გაუმართლებელ ფაქტად მიგვაჩნია, რომ პოლიტიკური ეკონომიის ძირითად და დამხმარე სახელმძღვანელოებში ვერ იქნა და ვერ ჩამოყალიბდა ერთიანი თვალსაზრისი ამ მეტად მნიშვნელოვანი პრობლემის შესახებ. თავი რომ დავანებოთ 50-იანი და 60-იანი წლების სპეციალურ ლიტერატურაში არსებულ განსხვავებებს, ახლაც, ჩვენს დროშიც, შეინიშნება სხვადასხვაგვარი განსაზღვრებები ფუნდამენტურ და ცნობილ სახელმძღვანელოებშიც კი, რომლებიც გამოცემულია ისეთ საყოველთაოდ აღიარებულ მეცნიერთა ხელმძღვანელობით, ან რედაქტორობით, როგორებიც არიან ბ. რუმიანცევი, ვ. მედვედევი, ლ. აბალკინი და სხვა.

შესაბამისი წყაროების, უახლესი პოლიტიკურ-ეკონომიკური ხასიათის ლიტერატურის, ცალკეულ ავტორთა ნაშრომების შესწავლის და გაანალიზების შედეგად ძირითადი ეკონომიკური კანონის არსებითი ნიშნები და მოთხოვნები შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: მთელი მოსახლეობის მუდმივად მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილებისა და საზოგადოების ყველა წევრის თავისუფალი, ყოველმხრივი განვითარების უზრუნველყოფა საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისა და წარმოების სისტემატური სრულყოფის გზით.

ამ განმარტებაში თავს იჩენს რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი. მათგან პირველი ცხოვრების დონის საერთო შინაარსს შეეხება. ეს არის საზოგადოების მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების უზრუნველყოფა. არადა სწორედ ამით, მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ხარისხით, გამოიხატება ცი-

[illegible] ეკო-

ნომიკური კანონის არსი, მისი საერთო ნიშან-თვისებები. ამ განსა-ზღვრების მეორე უმნიშვნელოვანესი მომენტია ის, რომ იგი, ვიაქტის ყველა სხვა ბოლოდროინდელისაგან განსხვავებით, მუდმივად ზრდადად სახავს როგორც მატერიალურ, ისე სულიერ მოთხოვნილებებს.

და ბოლოს, მესამე უმნიშვნელოვანესი თავისებურება: კანონის მოთხოვნათა რეალიზაცია ემყარება საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიე-რების განუხრელ ზრდას, იმას, რაშიც თავს იყრის წარმოების გაფარ-თოებისათვის საჭირო ღონისძიებათა ერთობლიობა, სამეცნიერო-ტექნი-კური პროგრესი, ფონდების გამოყენების ეფექტიანობა და საწარმოო პირობების გაუმჯობესება, კვალიფიკაციის ამაღლება და ა.შ.

ძირითადი ეკონომიკური კანონის ფორმულირებაში "ჩადებული" მიზანი /მუდმივად მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება/ და მისი მიღწევის გზები-საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების განუ-ხრელი ზრდა-იყო, არის და კვლავაც იქნება განვითარებადი საზოგა-დოების მამოძრავებელი ძალა, საშუალება, პირობა.

სამწუხაროდ, ჩვენს ეკონომიკურ ლიტერატურაში ამ მეტად მნი-შვნელოვან პრობლემაზე თითქმის არ არის საუბარი. საზოგადოებათ-მცოდნეები ბევრს ვერაფერს ვეუბნებით მოსწავლე ახალგაზრდობას. ყველამ როდი იცის, თუ როგორ და რატომ მაღლდება კაპიტალისტურ ქვეყნებში ეკონომიკური განვითარების ტემპები, როგორ და რატომ მცირდება სამომხმარებლო პროდუქციის ფასები და ა.შ.

ბოლოდროინდელი სტატისტიკის მიხედვით, სწორედ 80-იანი წლების დასაწყისში, აშშ-თან შედარებით, ყოფილ სსრ კავშირის ეკონომიკუ-რი განვითარების ტემპების დაახლოების პროცესი შეჩერდა და ეს გამოიხატა არა მარტო წარმოების რაოდენობრივ, არამედ თვისობრივ--ხარისხობრივ მაჩვენებლებშიც, უპირველეს ყოვლისა, შრომის ნაყო-ფიერებაში.

თანამედროვე კაპიტალიზმის ეკონომიკური განვითარების ძირითადი ნიშან-თვისებაა მისი სტრუქტურული გარდაქმნა, კერძოდ, ტექნოლოგიური თვალსაზრისით ისეთი მოწინავე დარგების განვითარება, როგორიცაა: მიკროელექტრონიკა, კომპლექსური ავტომატიზაციის საშუალებათა წარმოება, უახლესი ბიოტექნოლოგია და ა.შ.

სწორედ ამ გზით, როგორც ამას დასავლეთის სწავლულები ვარაუდობენ, მთავარი კაპიტალისტური ქვეყნები ჩვენი საუკუნის ბოლოს ეკონომიკური განვითარების ისეთ ტემპებს მიაღწევენ, რომელიც, მართალია, 60-იან წლებისას ჩამორჩება, მაგრამ უფრო მაღალი იქნება 70-იან წლებთან შედარებით.

თქმულიდან გამომდინარე, განხილული და ჩამოყალიბებული ძირითადი ეკონომიკური კანონი თავისი არსითა და ხასიათით /მოთხოვნებით/ გამოხატავს საერთოდ განვითარებული, კერძოდ, ცივილიზებული /"ტექნოლოგიური იმპერიალიზმის"/ მსოფლიო ქვეყნების მიზანსა და მისი მიღწევის საშუალებებს. ნათელია, რომ შრომის სტიმულირებადი ბერკეტებით "შეიარაღებული" მსოფლიო კაპიტალიზმი ადამიანთა საყოველთაო კეთილდღეობაზე ზრუნავს.

## ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა


1. ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, თბ., 1952.
2. პ. სამუელსონი, ვ. ნორდჰაუსი, ეკონომიკსი, თბ., 1992.
3. ეკონომიკური თეორიის საფუძვლები, პროფ. გ. ადეიშვილის რედაქციით. ნაწ. I, II, თბ., 1992.
4. კ. ცლიჩარაშვილი, ძირითადი ეკონომიკური კანონი და სამეურნეო პრაქტიკა, თავი I, თბ., 1988.

# ს ა რ ჩ ე ვ ი

გვ.

შ ე ს ა ვ ა ლ ი . . . . . . . . . . . . . . . . . . 3

თემა 1. საკუთრება-ეკონომიკურ ურთიერთობათა საფუძველი . . . 5

თემა 2. ერთობლივი ეროვნული (საზოგადოებრივი) პროდუქტის კვლავწარმოება . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 12

თემა 3. აგრარულ-სამრეწველო ურთიერთობა 28

თემა 4. "ეკონომიკს"-ის არსი და მნიშვნელობა . . . . . . . 41

თემა 5. საბაზრო ურთიერთობა და მისი ეკონომიკური ასპექტები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 55

თემა 6. მაკროეკონომიკა და ინდიკატური დაგეგმვა 79

თემა 7. ცხოვრების დონე და მასზე მოქმედი ფაქტორები 91

თემა 8. საზოგადოების გლობალური მოდელები და ეკონომიკური რეფორმები . . . . . . . . . . . . . . . . 103

თემა 9. უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური თეორიები 116

თემა 10. ეკონომიკურ კანონთა სისტემა . . . . . . . . . . . 137

Элизбарашвили Клименти Сергеевич

Основы экономической теории

(краткий курс лекции)

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского Университета

Тбилиси, 1994

გამომცემლობის რედაქტორი ც. ხეთერელი

კორექტორი ი. წერეთელი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 31.04.94 საბეჭდი ქაღალდი
60X84 პირობითი ნაბეჭდი თაბახი 9,25 სააღრ.-საგამომც.
თაბახი 5,92 ტირაჟი 500 შეკ.№ 244
ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი,
380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, თბილისი,
390028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.